ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჯულიეტა ჯულაყიძე

ტერორიზმი და ეკონომიკური კეთილდღეობა

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი **ინგა ბალარჯიშვილი**

თბილისი
2019

ანოტაცია

ტერორიზმის პრობლემამ თანამედროვე ეტაპზე გადალახა ეროვნული საზღვრები და საერთაშორისო ხასიათი მიიღო. მსოფლიო ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციის პირობებში ტერორიზმის მოვლენა გადაიქცა რეალურ საფრთხედ არა მარტო ცალკეული ქვეყნების და რეგიონებისთვის, არამედ მთლიანად მსოფლიო ეკონომიკისთვის. ტერორისტული აქტები ნეგატიურად აისახება ისეთ დარგებზე, როგორიცაა ტურიზმი, ტრანსპორტი და დაზღვევა, ამცირებს მთელი რიგი რეგიონების ინვესტიციურ მიმზიდველობას. ტერორისტული აქტების შედეგად ძლიერდება განუსაზრვრელობის ფაქტორი ეკონომიკაში, მცირდება შრომის მწარმოებლურობა და დასაქმების დონე, აღმოცენდება საფონდო ბაზრის რყევები.

ნაშრომში განხილულია ტერორიზმის სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები, მისი წარმოშობა და განვითარება, ტერორისტული ქცევის მიკრო- და მაკროეკონომიკური ინდიკატორები, კერძოდ, განათლების და შემოსავლების დონის გავლენა ტერორისტული ქცევის მოტივაციაზე. გაანალიზებულია ტერორიზმის დაფინანსების წყაროები, შედარებულია დაფინასების სხვადასხვა მოდელის სფეციფიკა.

ნაშრომში განსაკუთერბული აქცენტი გაკეთებულია ტერორიზმისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ურთიერთკავშირზე. კერძოდ, რა შედეგები მოაქვს ტერორიზმს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებისთვის. გამოკვლეულია ტერორიზმის გავლენა ინვესტიციებზე, საერთაშორისო ვაჭრობასა და ცალკეულ დარგებზე. შეფასებულია ტერორისა და ანტიტერორისტული საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობა.

დადგენილია, რომ თანამედროვე ტერორიზმი - ესაა ექსტრაორდინალური ძალმომრეობის გამოყენება (ან გამოყენების მუქარა) მარგინალური პოლიტიკური ჯგუფების მიერ საზოგადოებაში, შიშისა და დაშინების ატმოსფეროს შექმნის გზით, რაიმე პოლიტიკური მიზნის მისაღწევად.

Terrorism and Economic Welfare

Julieta Julakidze

The problem of terrorism has overcome the national boundaries of the modern stage and has received international character. Under globalization of world economic process the event of terrorism has become a real threat not only for individual countries and regions, but for the whole world Economy. Terrorist acts are negatively impacted on the sectors such as tourism, transport and insurance, reduces investment attractiveness in a number of regions. As a result of terrorist acts the uncertainty factor in the economyincreases, labor productivity and employment levelsdecrease, the stock market fluctuations emerge.

The paper deals with socio-economic causes of terrorism, its origin and development, micro and macroeconomic indicators of terrorist behavior, in particular, the impact of education and income levels on motivation of terrorist behavior. There are analyzed the sources of funding for terrorism. The definitions of different models of financingare compared.

The work has a special emphasis on the relationship between terrorism and economic well-being. More precisely, what are the consequences of terrorism for the developed and developing countries' economies. The impact of terrorism on investments, international trade and individual sectors is researched. Economic efficiency of terror and anti-terrorism activity is estimated.

It is established that modern terrorism - this is the use of extraordinary violence (or threats of use) by marginal political groups by creating an atmosphere of fear and intimidation in society to achieve any political goal.

შინაარსი

შესავალი 5

თავი 1. ტერორიზმის სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები 9

1.1. ტერორიზმის ისტორიული წარმოშობა და განვითარება 9

1.2. ტერორიზმის განვითარების კონცეფციები 13

1.3. ტერორისტული ქცევის მიკრო- და მაკროეკონომიკური ინდიკატორები . 26

1.4. ტერორიზმის შეკავების ოპტიმალური სტრატეგიის არჩევა 37

თავი 2. ტერორიზმის ფინანსური წყაროები 42

2.1. ტერორიზმის დაფინანსების წყაროები და მასშტაბები 42

2.2. ტერორიზმის დაფინანსების მოდელები 50

თავი 3. ტერორიზმის გავლენა კეთილდღეობაზე 56

3.1. ტერორიზმის ეკონომიკური შედეგები განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისთვის 56

3.2. ტერორიზმის გავლენა ინვესტიციებზე, საერთაშორისო ვაჭრობასა და ცალკეულ დარგებზე 58

3.3. ტერორიზმის ეკონომიკური დანახარჯების გაზომვა 68

3.4. ტერორისა და ანტიტერორისტული საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობა 79

დასკვნა 83

ლიტერატურა 87

შესავალი

თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ტერორიზმის პრობლემამ თანამედროვე ეტაპზე გადალახა ეროვნული საზღვრები და მიიღო საერთაშორისო ხასიათი. მსოფლიო ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციის პირობებში ტერორიზმის მოვლენა გადაიქცა რეალურ საფრთხედ არამარტო ცალკეული ქვეყნების და რეგიონებისთვის, არამედ მთლიანად მსოფლიო ეკონომიკისთვის. ტერორისტული აქტები ნეგატიურად აისახება ისეთ დარგებზე როგორიცაა ტურიზმი, ტრანსპორტი და დაზღვევა, ამცირებს მთელი რიგი რეგიონების ინვესტიციურ მიმზიდველობას. ტერორისტული აქტების შედეგად ძლიერდება განუსაზრვრელობის ფაქტორი ეკონომიკაში, მცირდება შრომის მწარმოებლურობა და დასაქმების დონე, აღმოცენდება საფონდო ბაზრის რყევები. ტერორისტულ აქტებს, განსაკუთრებით, ბირთვული ან ბიოლოგიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში, შეუძლია გლობალური ეკონომიკური კრიზისის პროვოცირება.

ტერორიზმი, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, ასევე, სულ უფრო გლობალურ ხასიათს იძენს. თუ XX საუკუნის 90-იან წლებამდე ტერორიზმის მიზნები დმგომარეობდა უპირატესად ლოკალური საკითხების გადაწყვეტაში (მაგალითად, დასავლეთის ქვეყნებზე ზეწოლაში სამხედრო ძალების გაყვანის მიზნით ისლამური სახელმწიფოების ტერიტორიებიდან), ამჟამად, ტერორისტები ისწრაფვიან იდეოლოგიის გავრცელებისკენ, პოლიტიკური ზეგავლენისკენ, ხოლო უკანასკნელ ათწლეულში ტერორიზმი სულ უფრო მეტად ემსგავსება ორგანიზებულ დანაშაულს და ისახავს ეკონომიკურ მიზნებს ტერორისტული აქტებიდან მოგების სახით. ტერორისტული ორგანიზაციები, ფაქტობრივად, გადაიქცნენ განვითარებული სტრუქტურის და მომზადების მაღალი კონსპირაციულობის მქონე საერთაშორისო კორპორაციებად, რომლებსაც აქვთ საკუთარი ქსელი მრავალ ქვეყანაში და სარგებლობენ სერიოზული სახელმწიფო და კერძო ფინანსური მხარდაჭერით.

ამ პირობებში, ტერორიზმთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი მიმართულება ხდება მისი დაფინანსების არხების გადაკეტვა. როგორც უკანასკნელმა ტერორისტულმა აქტებმა აჩვენა, ცალკეული სახელმწიფოების შესაძლებლობები

აშკარად არასაკმარისია იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ტერორისტთა შეღწევას მსოფლიო ფინანსურ სისტემაში. ამისათვის აუცილებელია ყველა ქვეყნის მოქმედებების კოორდინირება. მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში ეკუთვნის საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც შეიმუშავებენ საერთაშორისო სტანდარტებს ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სფეროში, და თვალს ადევნებენ მათ შესრულებას ცალკეული ქვეყნების მიერ.

ტერორის ისტორია დაიწყო ძალაუფლებისთვის ბრძოლის ისტორიასთან ერთად. მაგრამ სწორედ XX საუკუნეში გახდა ის არამარტო შიდა სახელმწიფოებრივი, არამედ საერთაშორისო საფრთხე. დღეისათვის ტერორიზმისგან დაზღვეულნი არ არიან არც მაღალგანვითარებული და არც ეკონომიკუდად ჩამორჩენილი ქვეყნები, განსხვავებული პოლიტიკური რეჟიმებით. თუ ჯერ კიდევ 20 წლის წინ ტერორიზმის კვლევას ძირითადად სამეცნიერო-თეორიული ხასიათი ჰქონდა და ორინეტირდებოდა დასავლურ გამოცდილებაზე, XXI საუკუნის ნაშრომებმა ამ სფეროში მაღალი პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძინა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია ტერორიზმისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ურთიერთკავშირის დადგენა. ამ მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებია:

- ტერორისტული ქცევის მიკრო-, და მაკროეკონომიკური ინდიკატორების ანალიზი, განათლებისა და შემოსავლების დონის კავშირის გამოვლენა ტერორისტთა ქცევის მოტივაციაში;
- გეოეკონომიკური და ეროვნულ-ორიენტირებული კონცეფციების შედარებითი ანალიზი ტერორიზმის განვითარების მიზეზების ახსნაში;
- ტერორიზმის დაფინანსების წყაროების და მოდელების გამოკვლევა და მასთან ბრძოლის შესაძლებლობების საზღვრების დადგენა;
- განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ტერორიზმისაგან მიყენებული ზარალის შეფასება „დანახარჯები-სარგებლიანობის“ კონტექსტით;
- ტერორისტულ ორგანიზაციათა საქმიანობის გავლენის შეფასება ცალკეული დარგების ფუნქციონირებაზე.

კვლევის საგანია ტერორიზმი როგორც სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი.

კვლევის ობიექტია ტერორისტულ ორგანიზაციათა საქმიანობა და მისი გავლენა როგორც მსოფლიოს, ასევე ცალკეული დარგების და ქვეყნების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კვლევის სისტემური, სტრუქტურულ-ფუნქციონალური, შედარებითი, სოციოლოგიური და კონკრეტულ-ისტორიული მეთოდების ერთობლიობა, რაც იძლევა მოცემული პრობლემის კომპლექსურად გამოკვლევის საშუალებას, მისი ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით. ამასთან ერთად, გამოყენებულია ინდუქციის და დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ანალოგიის, ცხრილური და გრაფიკული მოდელირების, ეკონომეტრიკული მეთოდები. კვლევა ეფუძნება ქართველი და უცხოელი მკვლევარების სამეცნიერო პუბლიკაციებს, ოფიციალური პირების გამოსვლებს, იმ საერთაშორისო ორგანიზაციების (FATF (Financial Action Task Force),UN (United Nations), HRW (Human Rights Watch),APEC(Asia-Pacific Economic Cooperation),IMF (International Monetary Fund), World Bank, WTO (World Trade Organization), Council of Europe, IEP (Institute for Economics and Peace), GTD (Global Terrorism Database)) მასალებს, რომლებიც იკვლევენ ტერორიზმის პრობლემას.

ტერორიზმის პრობლემის მეცნიერული დამუშავების დონე. ტერორიზმის იურიდიული, კრიმინალისტური და პოლიტოლოგიური ასპექტები შედარებით უკეთესადაა გამოკვლეული. ეკონომიკური თვალსაზრისით, ტერორიზმი არასაკმარისადაა შესწავლილი. პირველ კვლევრად, რომელიც ტერორიზმის ეკონომიკურ ასპექტებს ეხებოდა, ითვლება ამერიკელი ეკონომისტ-კრიმინოლოგის უ. ლანდესი. უ. ენდერსის და ტ. სალდლერის კვლევებში ტერორიზმი გაანალიზებულია რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით. ის ეფუძნება რაციონალური ქცევის მოდელს, რომლის თანახმადაც, დამნაშავე იქცევა ისე, როგორც ნებისმიერი მოქალაქე, ანუ, ეკონომიკური თვალსაზრისით, ტერორისტად გახდომის გადაწყვეტილება არ განსხვავდება გადაწყვეტილებისგან, გახდე მასწვალებელი, ექიმი ან მშენებელი.

ტერორიზმის ეკონომიკური ასპექტების შესწავლის თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს რუსი მეცნიერების ი. ლატოვის, ი. ვორონოვის, ს. ჟავორონკოვის, ს. იანოვსკის, ვ. როტენბერგის კვლევები. ტერორიზმის პრობლემის უცხოელი მკვლევარებიდან აღსანიშნავია ა. აბადი, ლ. ნაპოლეონი, რ. ვაინტრობი, ჯ. კრუგერი, ბ. ფრეი, ს.კაიზერი, ფ. შნეიდერი და ა.შ.

ქართველი ეკონომისტების დაინტერესება ტერორიზმის პრობლემატიკით ნაკლებად შეინიშნება. გამონაკლისს წარმოადგენს პროფესორ ინგა ბალარჯიშვილის ნაშრომი - „დანაშაულისა და სასჯელის ეკონომიკა“, რომელშიც ტერორიზმი განხილულია როგორც დანაშაულის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი.

თავი1. ტერორიზმის სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები

1.1. ტერორიზმის ისტორიული წარმოშობა და განვითარება

ტერორიზმი კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია. ჯერ კიდევ ჩვ.წ. I საუკუნეში მოქმედებდა სიკარიელების[1] სექტა, რომლის წევრებიც ანადგურებდნენ ებრაელების წარმომადგენლებს, რომლებიც რომაელებთან თანამშრომლობდნენ. თომა აქვინელი და ქრისტიანული ეკლესიის მამები უშვებდენენ ისეთი მმართველის მკვლელობის იდეას, რომელიც, მათი აზრით, ხალხის მტერი იყო.

შუა საუკუნეებში ასოშაფინების მუსლიმანური სექტის წარმომადგენლები კლავდნენ პრეფექტებს და ხალიფებს. ამავე პერიოდში პოლიტიკური ტერორით დაკავებული იყო ზოგიერთი საიდუმულო საზოგადოება ინდოეთსა და ჩინეთში. თანამედროვე ირანის, ავღანეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მოწინააღმდეგეებს სუნიტების მუსლიმანური შტოდან ისმაილიტების უკიდურესად დახურული და მძლავრი სექტა ებრძოდა, რომელიც არასასურველი პირების გასანადგურებლად ბრძოლის სრულყოფილებამდე ასულ მეთოდებს იყენებდა.

პირველ მსოფლიო ომამდე ტერორიზმი ითვლებოდა მემარცხენეთა იარაღად, თუმცა მას მიმართავდნენ პოლიტიკური პლატფორმის არმქონე ინდივიდუალისტებიც და არამხოლოდ მემარცხენე სოციალისტური ორიენტაციის ნაციონალისტები. ომის დამთავრების შემდეგ, ტერორის გამოყენება დაიწყეს მემარჯვენეებმაც (ნაციონალ-სეპარატისტები და ფაშისტური მოძრაობა - გერმანიაში, საფრანგეთსა და უნგრეთში, „რკინის გვარდია“- რუმინეთში). იმ დროის უმსხვილესი ტერაქტები იყო კარლ ლიბკნეხტის და როზა ლუქსემბურგის პოლიტიკური მკვლელობები 1919 წელს, იუგოსლავიის მეფის ალექსანდრეს და საფრანგეთის პრემიერ მინისტრ ბარტის მკვლელობა 1934 წელს. ამ მოძრაობებს საფუძვლად ედო სხვადასხვა იდეოლოგიური პლატფორმა, მაგრამ, ფაქტობრივად,

[1] სიკა - მოკლე ხმალი ანუ ხანჯალი

ერთიც და მეორეც ხელმძღვანელობდა „ბომბის ფილოსოფიის“[2] დოქტრინის დებულებებით.

XX საუკუნეში ტერორის გამოყენების მოტივების სპექტრი არსებითად გაფართოვდა. თუ რუსი „ნაროდნიკები“ და ესერები ტერორს განიხილავდნენ როგორც თვითშეწირვას საზოგადოების საკეთილდღეოდ, „წითელი ბრიგადებისთვის“ ის თვითდამკვიდრების საშუალება იყო. „წითელი ტერორი“ და ფაშისტური ნეონაცისტური „შავი ტერორი“ ერთმანეთისგან არც ისე შორს დგას და არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც აკეთებდნენ „ნაროდნიკები“. თანამედროვე ტერორიზმის მიზანი კი ძალაუფლების მიტაცებაა და საზოგადოების კეთილდღეობასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

XX საუკუნეში ტერორიზმი გადავიდა სახელმწიფო სტადიაზე, რაც მანამდე არ მომხდარა. ტერორისტული სახელმწიფო თრგუნავდა თავის მოქალაქეებს უკანონობით ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ, აიძულებდა მათ, მუდმივად შეეგრძნოთ საკუთარი უძლურება. ამის ისტორიული მაგალითი ფაშისტური გერმანიაა.

მეორე მსოფლიო ომმა წარმოაჩინა ტერორიზმის განვითარებაში კიდევ ერთი ეტაპი. ომის შემდგომ პერიოდში ტერორიზმი ვრცელდება პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში და განიცდის მორიგ ხარისხობრივ გარდაქმნას. ომამდე ტერორიზმის ობიეტქები უპირატესად იყვნენ სამხედროები, ხელისუფლების წამრომადგენლები, რომლებიც თანამშრომლობდნენ რეჟიმთან და არა - მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელიც არ იყო დაკავშირებული ხელისუფლებასთან. მაგრამ მსოფლიო ომმა, ჰოლოკოსტის და ჰიროსიმის გამოცდილებამ შეცვალა ადამიანური სიცოხლის ფასისადმი დამოკიდებულება. ომის შემდეგ ყალიბდება თანამედროვე ტერორიზმის პრაქტიკა. ახლა ტერორიზმის სუბიექტია ძლიერი, პროფესიონალური ორგანიზაცია, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო სპონსორის მხარდაჭერას. ტერაქტი გადაიქცა ხელისიფლებაზე ზეწოლის მექანიზმად. ტერორისტების შანტაჟის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ლიბერალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელია

[2] Гейфман А. Революционный террор в России, 1894-1917 / А. Гейфман; Пер. с англ. Е. Дорман. - М.: Крон-Пресс, 1997.

ბუნებრივი პაციფიზმი და სისხლის შიში. ტერორისტის და ლიბერალური სახელმწიფოს დაპირსპირება ეს არის ორი კულტურის დაპირისპირება, რომელიც კარდინალურად განსხვავდება ადამიანური სიცოცხლის ღირებულების აღქმით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქრება ტერორიზმის სპონსორი ფაშისტური სახელმწიფოების წრე, მაგრამ არსებითად ფართოვდება კომუნისტური სპონსორების წრე.

1960-იან წლებში ყალიბდება ტერორიზმის სპონსორ-სახელმწიფოების არაბული ანუ ისლამური წრე. ამ სახელმწიფოების სათავეში დგანან ფაშისტური ტიპის პანარაბული ნაციონალისტები და ისლამელი ფუნდამენტალისტები. 1960-იანი წლების ბოლოს ევროპაში ჩნდება ყველაზე ცნობილი ურუგვაული ორგანიზაცია „ტუპამაროსი“. იგი ახდენდა ღატაკებისთვის იმ ფულის გათანაბრების განაწილებას, რომელსაც ექსპროპრიაციის შედეგად იღებდა. ფართოდ იყენებდნენ პოლიტიკური მოღვაწეების და უცხოელების მოტაცების პრაქტიკას. ბრაზილიაში მოქმედებდა რამდენიმე დამოუკიდებელი ტერორისტული ორგანიზაცია. ისინი თავს ესხმოდნენ იარაღის საწყობებს, ბანკებს, უცხოურ ფირმებს, პოლიციის და არმიის ოფიცრებს, სისტემატურად იტაცებდნენ უცხოელ დიპლომატებს და აყენებდნენ პოლიტიკურ მოთხოვნებს. ანალოგიური ჯგუფები წარმოიშვა სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებშიც - ჩილეში, პერუში, კოლუმბიაში, ბოლივიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, პერუული ორგანიზაცია „სანდერო ლუმინოსო“ (ნათელი გზა), რომელიც აღმოცენდა 1978 წელს. მისი ლიდერები ამ მოძრაობას განიხილავდენენ, როგორც „ახალი ტიპის მარქსისტულ-ლენინურ ორგანიზაციას“. ორგანიზაციის ბირთვს შეადგენდნენ ინდიელები, უნივერსიტეტის მასწავლებლები და სტუდენტები პერუს უღარიბეს რაიონებში. მათი მიზანი იყო ქალაქების დანგრევა, ტექნიკის და შენობების განადგურება, ფსონი ნატურალურ მეურნეობაზე. ისინი იცავდენენ საკუთარი ისტორიისა და ცივილიზაციის გარეშე ცხოვრების უფლებას.

სპეციფიკური სიტუაცია ჩამოყალიბდა თურქეთში, ევროპისა და აზიის საზღვარზე. ქურთ სეპარატისტებთან ერთად, აქ მოქმედებდნენ როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე ტერორისტული ორგანიზაციები. 1970-იან წლებში

ქვეყანა განიცდიდა მწვავე მოდერნიზაციულ კრიზისს, რომელიც გამოიხატებოდა მემარჯვენე და მემარცხენე ექსტრემიზმის დაპირისპირებაშიც. მემარჯვენე ფაშისტური ტიპის ორგანიზაციები და მემარცხენე მაოისტები ებრძოდნენ მთავრობას და ერთმანეთს. ფართოდ გავრცელდა უმისამართო ტერორი: აფეთქებები მასობრივი თავშეყრის ობიექტებზე. აქტიურობის პიკი იყო 1970-იანი წლების ბოლოს. შემდეგ მთავრობამ მოახერხა საკუთრივ თურქი ტერორისტების ლოკალიზება (და არა განადგურება). ამ პერიოდში ყალიბდება საერთაშორისო ტერორიზმის სისტემა. ტერორისტული ორგანიზაციებიც და სახელმწიფო-სპონსორებიც მოქმედებდნენ ერთი მიზნით, ეს იყო დასავლეთის დესტაბილიზაცია. მაგალითად, ცნობილი ვენესუელელი ტერორისტი ილიჩ რამირეს სანჩესი (კარლოს შაკალი) მომზადებას გადიოდა საბჭოთა და კუბის სასწავლო ბანაკებში. 1970-იანი წლების ბოლოს დასავლეთის ქვეყნებში ჩამოყალიბდა ტერორიზმთან ბრძოლის სპეცგანყოფილებები.

1990-იან წლებში ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე აღმოცენდა ტერორიზმის ახალი კერები, ალბანელების, ბოსნიელების, ხორვატების და სერბების სახით. უკანასკნელ პერიოდში პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციასთან ერთად, შეინიშნება ტერორისტული აქტიურობის დაქვეითება, მაგრამ იუგოსლავური ტერორიზმი ისევ ცოცხალია. 2003 წელს სერბიის პრემიერ მინისტრის ზორან ჯინჯიჩის პოლიტიკურმა მკვლელობამ შეძრა მთელი ქვეყანა. 1990-იან წლებში გაჩნდა ტერორიზმის ახალი კერა ალჟირში. 1992 წელს მმართველმა რეჟიმმა გააუქმა არჩევნების შედეგები, რომელშიც გაიმარჯვა ფუნდამენტალისტურმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „გადარჩენის ისლამური ფრონტი“. ამას შედეგად მოჰყვა ტერორიზმის ტალღა, რასაც ხელისუფლებამ უმკაცრესი რეპრესიებით უპასუხა. ქვეყანაში გაჩაღდა სამოქალაქო ომი. დაიღუპა ათი ათასობით ადამიანი. სიტუაციის ნორმალიზება მოხდა მხოლოდ ასწლეულის ბოლოს. ამ ასწლეულის დამახასიათებელია, ასევე, დაუსრულებელი ომი ავღანეთში, ჩეჩნეთსა და იუგოსლავიაში. იქმნება ჯიჰადის მებრძოლების ინტერნაციონალური საზოგადოება.

ავღანეთის ომში ჩამოყალიბდა ოსამა ბინ ლადენის „ალ-ქაიდა“, ისლამი ფუნდამენტალისტების ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებდა ოპერაციებს მთელ მსოფლიოში. მისი ძირითადი მიზანი იყო შარიათზე დაფუძნებული ისლამური წესრიგის დამყარება, ხოლო მთავარი მოწინააღმდეგე - ამერიკის შეერთებული შტატები. 1998 წელს ბინ ლადენმა გამოაცხადა საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ („ისლამური მსოფლიო ფრონტი ჯიჰადისთვის ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ“), რომელშიც ალ-ქაიდასთან ერთად შევიდნენ ალჟირის, პაკისტანის, ავღანეთის, ქაშმირის და სხვ. ტერორისტული ორგანიზაციები.

დღეისათვის ტერორიზმი უკვე არა მხოლოდ მარტოხელა დივერსანტები, თვითმფრინავის გამტაცებლები ან მკვლელი კამიკაძეებია, არამედ წარმოდგენილია მძლავრი სტრუქტურების შესაბამისი აღჭურვილობით. ტერორიზმი გადაიქცა გლობალური მასშტაბის მეტად მომგებიან ბიზნესად განვითარებული შრომის ბაზრით (დაქირავებულები და სხვები) და კაპიტალდაბანდებით[3].

თანამედროვე ტერორიზმის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი სტრუქტურირებული და ორგანიზებული ხასიათი. დღეს ტერორიზმი წარმოდგენილია როგორც ბრმა ძალადობა. ტერაქტების რაციონალურობა არ არის დამოკიდებული არც რეალურ შედეგებზე, არც მის ფასზე: მნიშვნელოვანია არა თვით ტანჯვა და მსხვერპლის სიკვდილი, არამედ შთაბეჭდილება, რომელსაც ის ახდენს საზოგადოებაზე. თანამედროვე ტერაქტი ეს არის „გზავნილი“ საზოგადოებისთვის და ამიტომ ის უაზროა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენების გარეშე. სწორედ ისინი აძლიერებენ ტერორის ეფექტიანობას ხილვადობის ელემენტის შექმნით. მისდევენ რა საკუთარ კორპორატიულ მიზნებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თითქოსდა, ტერორიზმის თანამონაწილენი ხდებიან.

[3] Старцев, Г. В. Экономические аспекты противодействия финансированию терроризма / Г. В. Старцев // Административное право и процесс. – 2013. – № 1. – С. 39–43.

1.2. ტერორიზმის განვითარების კონცეფციები

დანაშაულის სხვადასხვა სახეობაში ტერორისტულ დანაშაულს განსაკუთრებული ადგილი უკავია.იგი აღიქმება როგორც ყველაზე საშიში დანაშაული საზოგადოებისთვის, რომელიც მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების დესტაბილიზაციას ახდენს.

ტერორიზმის ეკონომიკურ ანალიზში მეცნიერთა ყურადღების კონცენტრაცია მის სამ ძირითად ასპექტზე შეინიშნება: 1) მისი წარმოშობისა და განვითარების მიზეზების ეკონომიკური ახსნა; 2) მისი დაფინანსების წყაროების ანალიზი; 3) ტერორისტული აქტების შედეგების ეკონომიკური ანალიზი.

მას შემდეგ, რაც ტერორიზმი ჩამოყალიბდა რთულად განსასაზღვრ დანაშაულად, შესაძლებელია განვიხილოთ ფართოდ გავრცელებული შემდეგი ორი განსაზღვრება ტერორისტული აქტის მოტივის, დამნაშავისა და მსხვერპლის გათვალისწინებით. პირველი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1999 წლის კონვენციის მიხედვით, ტერორიზმი არის ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს სიკვდილს ან სერიოზულ სხეულის დაზიანებას სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა პირისთვის, რომელიც არ მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტში, როდესაც ასეთი ქმედების მიზანი, თავისი ბუნებით ან კონტექსტით, არის მოსახლეობის დაშინება ან მთავრობისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების იძულება, გააკეთოს ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედებისგან[4]. მეორე, აშშ-ის მიერ განსაზღვრული ტერორისტული აქტი არის ქვენაციონალური ჯგუფების ან საიდუმლო აგენტების მიერ განზრახ ჩადენილი, პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა, რომლის სამიზნეც არაძალადობრივი საზოგადოებაა, აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით[5]. ორივე განმარტება ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ტერორიზმის

[4] Terrorism https://www.un.org/News/dh/infocus/terrorism/sg%20high-level%20panel%20report-terrorism.htm (მონახულების დრო: 12.05.2019)

[5] Terrorism - https://www.fbi.gov/investigate/terrorism (მონახულების დრო: 12.05.2019)

მსხვერპლი აუცილებლად არის სამოქალაქო პირი, რომელიც არ არის ჩართული ძალადობრივ კონფლიქტებში.

იმისათვის, რომ კრიმინალი ტერორიზმად განისაზღვროს, უნდა არსებობდეს პოლიტიკური ან სოციალური მოტივი. მაგალითადდ, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის 16 აპრილს, ვირჯინიის ტექნიკურ უნივერსიტეტში მომხდარი თავდასხმის დროს 32 ადამიანი დაიღუპა, თავდამსხმელი - სეუნგუ-ჰიუ ჩო ტერორისტი არ იყო, რადგან მას პოლიტიკური მოტივი არ გააჩნდა. ტერორიზმის ორივე განსაზღვრება ასევე მიუთითებს იმაზე, რომ ტერორისტის მოტივები დაფუძნებულია უფრო ფართო აუდიტორიის დაშინებაზე, ვიდრე მყისიერ მსხვერპლთა რაოდენობაზე. მიუხედავად იმისა, რომ პალესტინაში დაბადებულმა სერჰან ბიშარა სიხანმა განაცხადა, რომ მან მოკლა რობერტ კენედი ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის პოზიციის გამო, ბევრი მიიჩნევს, რომ ის მკვლელია, მაგრამ არა ტერორისტი, რადგან არ ცდილობდა ფართო აუდიტორიაზე გავლენის მოხდენას. ამის საპირისპიროდ, ანვარ სადატის მკვლელი - ხალიდ ისლამბოული, აშკარად ტერორისტი იყო, რადგან მისი ქმედება მიმართული იყო მსოფლიო შედეგებზე. აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს განმარტების მიხედვით, ტერორისტული აქტის დამნაშავე უნდა იყოს სუბნაციონალური ჯგუფი ან საიდუმლო აგენტი. ამის საპირისპიროდ, გაერთიანებული ერების განმარტება არ ახსენებს დამნაშავეს. ამასთან, ის საშუალებას იძლევა, მთავრობის მიერ განხორციელებული ზოგიერთი ქმედება ტერორიზმად ჩაითვალოს. მაგალითისთვის, 2008 წლის 8 ნოემბერს ისრაელის შეიარაღებული ძალების მიერ საარტილერიო შეტევამ ღაზას წინააღმდეგ პალესტინის 23 მოქალაქის სოცოცხლე იმსხვერპლა და 40 ადამიანი კი დაშავდა. Human Rights Watch[6] იუწყება, რომ არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ საბრძოლო მოქმედება სამოქალაქო ტერიტორიებზე გასროლილი საარტილერიო ჭურვების შედეგად მოხდა. ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტერორიზმის განსაზღვრების გათვალიწინებით, შეიძლება ამ ფაქტს ტერორიზმის კლასიფიკაცია მიენიჭოს, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის შეიარაღებული

[6] Palestinian Rocket Attacks on Israel and Israeli Artillery Shelling in the Gaza Strip http://www.hrw.org/en/node/10911/section/3 (მონახულების დრო: 12.05.2019)

ძალების თავდასხმა მოხდა ისრაელის ტერიტორიაზე აფეთქებული რამდენიმე ათასი რაკეტის საპასუხოდ.

ანალოგიურად, მეორე მსოფლიო ომის დროს დაბომბილი დრეზდენი, გერმანიასა და იაპონიაში აფეთქებული ატომური ბომბები, შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ტერორიზმი. ამგვარად, ჩვენ ვიყენებთ ტერმინებს სახელმწიფო ტერორიზმს ან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ტერორიზმს იმ გარემოებების დასაფიქსირებლად, როდესაც მთავრობები ჩართულია მოქმედების დაგეგმვაში, დაფინანსებასა თუ შესრულებაში. ტერმინი ტერორიზმი, აქედან გამომდინარე, ეხება ქმედებებს, სადაც დანაშაულის ჩამდენი ქვენაციონალური ჯგუფია. ტერორიზმი ტრანსნაციონალურია, როდესაც ერთი ქვეყნის ინციდენტი მოიცავს დამნაშავეებს, დაზარალებულებს, ინსტიტუტებს, მთავრობებს ან მოქალაქეებს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ტერორიზმის ცნების განსაზღვრისას გამოირჩევა ორი მიდგომა: კრიმინოლოგიური, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ტერორიზმის მეთოდებზე (ტერორიზმი - ესაა დემონსტრაციული დანაშაულებრივი აქციები, რომლებიც მიმართულია შიშის ატმოსფეროს შექმნისკენ) და პოლიტოლოგიური, რომელიც აქცენტირებულია დამნაშვეთა საქმიანობის შინაარსზე (ტერორიზმი - ესაა არაკანონიერი შეიარაღებული ბრძოლა პოლიტიკური რეჟიმის შეცვლისათვის).

პირველი მიდგომის დომინირებისას ტერორისტთა რიცხვში ხვდებიან, მაგალითად, ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლები („სისხლის სამართლებრივი ტერორი") ან კომპიუტერული ჰაკერები („კიბერტერორი"), რომელთა მოტივები მკვეთრად განსხვავდება ისლამური ტერორიზმის მოტივებისგან. მეორე მხრივ, ტერორიზმის განსაზღვრა დამნაშავეთა მიერ დეკლარირებული მიზნების კრიტერიუმით, აგრეთვე, არასრულყოფილია, ვინაიდან საკითხი, თუ რომელი ანტისამთვარობო ორგანიზაცია უნდა ჩაითვალოს ტერორისტულად, ხშირად წყდება პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით. მაგალითად, 1970-იან წლებში აფრიკის ეროვნული კონგრესის (აეკ) წევრებს ქვეყნების ერთ ნაწილში თვლიდნენ ტერორისტებად, რომლებიც იბრძოდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, ხოლო სხვებში

- სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლებად აპარტეიდის წინააღმდეგ. 1990-2000-იან წლებში ჩეჩენი სეპარატისტების ორგანიზაციათა მიმართაც ასეთივე ორაზროვნება შეინიშნება.

თანამედროვე ტერორიზმი - ესაა ექსტრაორდინალური ძალმომრეობის გამოყენება (ან გამოყენების მუქარა) მარგინალური პოლიტიკური ჯგუფების მიერ საზოგადოების დაშინების გზით რაიმე პოლიტიკური მიზნის მისაღწევად[7].

ტერორიზმის განვითარების მიზეზების ანალიზისას გამოიყოფა ორი მიდგომა - გეოეკონომიკური და ეროვნულ-ორიენტირებული. გეოეკონომიკური მიდგომა, რომელიც ეფუძნება განვითარების ეკონომიკური თეორიის მემარცხენე-რადიკალურ კონცეფციას (ლ. ვალერსტაინი) თანამედროვე ტერორიზმს განიხილავს როგორც მსოფლიო ეკონომიკის წარმოშობის პროდუქტს. ეროვნულ-ორიენტირებული მიდგომა, რომელიც დაკავშირებულია ან კრიმინომეტრიკის მეთოდებთან, ან ნეოინსტიტუციურ (ინსტიტუციურ-სამართლებრივ) მიდგომასთან, პირიქით, ძირითად აქცენტს აკეთებს ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მათში ტერორიზმის განვითარებას.

პოლიტიკური ტერორიზმი მსოფლიო ისტორიის ფონად იქცა 1970-იან წლებში, როდესაც იგი ეპიზოდური მოვლენიდან გადაიქცა პლანეტის თითქმის ყველა რეგიონის ცხოვრების მუდმივ ფაქტორად (ნიშანდობლივ მოვლენებად ითვლება ისრაელელი სპორტსმენების მკვლელობა პალესტინელი ტერორისტების მიერ მიუნხენის ოლიმპიადაზე 1972 წელს და იტალიის ექს-პრემიერ-მინისტრის ა. მოროს მკვლელობა „წითელი ბრიგადების“ მიერ 1978 წელს). თანამედროვენი თვლიან, რომ ტერორიზმის განვითარების მთავარი მიზეზი იყო მესამე მსოფლიო ომი („ცივი ომი“) კაპიტალისტურ და კომუნისტურ ბანაკებს შორის. ამასთან, ტერორისტები განიხილებოდნენ როგორც ერთ-ერთი მხარის აშკარა ან ფარული

---

[7] Латов, Ю.В., Экономический анализ современного терроризма, Учебное пособие для вузов, М.: Академия управления МВД России, с.7, 2009.

Sandler T., Enders W., An economic perspective on transnational terrorism // European Journal of Political Economy, Vol. 20, p.302, 2004.

აგენტები. ტერორიზმი, ფაქტობრივად, ითვლებოდა პარტიზანული ბრძოლის ანალოგად ომის დროს. მსოფლიო დაყოფილი იყო გავლენის სფეროებად და თითოეული მხარე „გმობდა“ „სხვის“ ტერორისტებს და მხარს უჭერდა „საკუთარს“.

როდესაც 1990-იან წლებში ცივი ომი დასრულდა, ივარაუდებოდა, რომ ტერორიზმი, როგორც პოლიტიკური ბრძოლის მეთოდი, ასევე დაკარგავდა აქტუალობას. მოლოდინები არ გამართლდა. ერთი მხრივ, განვითარებული ქვეყნების ტერორისტებმა თავიანთი საქმიანობა მნიშვნელოვნად შეამცირეს: იტალიაში, იაპონიასა და გერმანიაში - მემარცხენე-რადიკალური ტერორიზმი, ხოლო ირლანდიასა და ესპანეთში - ნაციონალური ტერორიზმი აღარ აღიქმებოდა რეალურ საფრთხედ ეროვნული უსაფრთხოებისთვის. მაგრამ, ამავე დროს, მკვეთრად გაიზარდა ტერორისტების აქტივობა „მესამე სამყაროდან“ (ახლო აღმოსავლეთი. კოლუმბია. ცეილონი), რომლებიც არა იმდენად იდეოლოგიური, რამდენადაც ნაციონალისტური და რელიგიური ფასეულობებით ხელმძღვანელობდნენ. ზოგიერთი შეფასებით, 2002 წელს მემარცხენე და მემარჯვენე ექსტრემისტულ დაჯგუფებებზე მოდიოდა ყველა ტერაქტის, დაახლოებით 36%, მაშინ, როცა მხოლოდ ისლამელ ტერორისტებზე - 56%[8]. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტს ნიუ-იორკში, რომელზე პასუხისმგებლობაც საკუთარ თავზე აიღო ისლამურმა „ალ-ქაიდამ“, უწოდებენ მეოთხე მსოფლიო (ტერორისტული) ომის დასაწყისს.

თუ შევადარებთ მესამე და მეოთხე მსოფლიო ომების პერიოდებს, ტერაქტების საერთო რაოდენობა შემცირდა (დიაგრამა 1.1.), მაგრამ ტერორის მსხვერპლთა რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა (დიაგრამა 1.2., 1.3.). რაც მთავარია, გაიზარდა მათი გავლენა მსოფლიო თანამეგობრობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

ტერორიზმი ადრე ცალკეული ქვეყნების პრობლემად ითვლებოდა, მაგრამ 1990-იან წლებში იგი მსოფლიოს გლობალურ პრობლემათა რიცხვში შევიდა, რომელიც ყველა ქვეყანას ეხება და რომლის გადაწყვეტაც მხოლოდ გაერთიანებული

[8] Степанова Е.А., Роль наркобизнеса в политэкономии конфликтов и терроризма, М.: Издательство «Весь мир», 2005

ძალისხმევითაა შესაძლებელი. სწორედ მაშინ გაჩნდა „საერთაშორისო ტერორიზმის“ (როგორც გლობალიზაციის ნეგატიური გამოვლინების) ცნება.

დიაგრამა 1.1.

საერთაშორისო ტერაქტების რაოდენობის დინამიკა 1970-2017 წლებში



შედგენილია Global Terrorism Database-ის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 1.2.

საერთაშორისო ტერაქტების მსხვერპლთა რაოდენობის დინამიკა 1970-2017 წლებში



შედგენილია Global Terrorism Database-ის მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 1.3.

საერთაშორისო ტერაქტებში დაშავებულთა რაოდენობის დინამიკა 1970-2017 წლებში



შედგენილია Global Terrorism Database-ის მონაცემების საფუძველზე

ტერორიზმის პრობლემის გამწვავებას სერიოზული მიზეზები გააჩნია. „ცივი ომის“ დასრულება დასავლეთში აღქმულ იქნა, როგორც ლიბერალური ცივილიზაციის სრული გამარჯვება. თუ პოლიცენტრულ მსოფლიოში „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს თავიანთი ცივილიზაციური თვითმყოფადობის შენარჩუნება ორ მოწინააღმდეგე „ბანაკს“ შორის ლავირებით შეეძლოთ, ახლა ასეთი მანევრირების შესაძლებლობა გაქრა. „მესამე სამყარომ“ დაიწყო თავისი ჩამორჩენილობის უფრო მტკივნეულად აღქმა და უფრო აქტიური წინააღმდეგობა დასავლური ფასეულობების დამკვიდრებისადმი. ფ. ფუკუიამას „ისტორიის დასასრულის“ ნაცვლად დადგა ს.ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების“ ეპოქა.

ყველაზე ანტიდასავლურ ცივილიზაციას თანამედროვე მსოფლიოში წარმოადგენს ისლამური ცივილიზაცია. მაგრამ, განსხვავებით კონფუციანური, ბუდისტური ან იბერიული ცივილიზაციებისგან, ისლამურ ცივილიზაციას არ ჰყავს ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი ქვეყანა-ლიდერები, რომლებიც შეძლებდნენ ლეგალურ ოპოზიციას დასავლეთთან. ამიტომ სწორედ ისლამური

ტერორიზმი გახდა, ფაქტობრივად, „საერთაშორისო ტერორიზმის“ სინონიმი. ამასთან, მკვეთრად შესუსტდა ტერორიზმის შემზღუდავი გარე ფაქტორებიც.

გეოეკონომიკური მიდგომის თანახმად, თანამედროვე ტერორიზმი არის „ღარიბი სამხრეთის“ „მდიდარ ჩრდილოეთთან“ (ი. ვალერსტაინის ტერმინებში - თანამედროვე მსოფლიო-სისტემის პერიფერიისა და ბირთვის) ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა, თანამედროვეობის გლობალური პრობლემა. ვინაიდან ჯერჯერობით არ არსებობს არც აღმოსავლეთში დასავლური ფასეულობების გამარჯვების იმედი და არც დასავლეთის მიერ იძულებითი ევროპიზაციის უნაყოფობის გაცნობიერება, როგორც ჩანს, ისტორიის ავანსცენაზე „ანტიდასავლური“ ტერორიზმი კიდევ დიდხანს დარჩება.

გეოეკონომიკური მიდგომა უშვებს ტერორიზმის კონსპიროლოგიურ ინტერპრეტაციასაც. საუბარია იმაზე, რომ ბევრი ავტორის აზრით, „სისტემის ბირთვის“ ქვეყნებს ტერორისტულ დაჯგუფებებზე კონტროლი მთლიანად არ დაუკარგავთ, მაგრამ ამას უფრო ფარულად ახორციელებენ. არსებული მოსაზრებით, საერთაშორისო ტერორიზმმა დაიკავა „მთავარი მტრის“ დაცარიელებული ნიშა, რომელთან ბრძოლითაც ობიექტურად დაინტერესებულნი არიან ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკოსები, რომ სპეცსამსახურები აგრძელებენ ტერორისტებით მანიპულირებას და ზოგჯერ თვითონაც კი ახდენენ ტერაქტების ორგანიზებას მათი სახელით[9].

გეოეკონომიკური მიდგომა ტერორიზმის განვითარებას განიხილავს მსოფლიო მასშტაბით. მაგრამ ტერორიზმის დონე მკვეთრად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნაში მაშინაც კი, როდესაც ისინი ერთ ცივილიზაციას მიეკუთვნებიან. ამიტომ საჭიროა მსოფლიო ეკონომიკური ანალიზის შევსება იმ ეროვნული თავისებურებების შესწავლით, რომლებიც ხელს უწყობს ტერორიზმის განვითარებას.

ტერორიზმის სტიმულირება-შეკავების ეროვნული ფაქტორების ანალიზისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრიმინომეტრიკის (დანაშაულის ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზის) მეთოდები, რომელიც ორიენტირდება

[9] Горяинов С., Деньги террора. Кто оплатил Беслан? М.: Издательство «Европа», 2005.

გ.ბეკერის სამართალდამრღვევის რაციონალური ქცევის მოდელზე. რაციონალური ინდივიდუალიზმის პოზიციიდან შესაძლებელია ტერორიზმის გაანალიზებაც.

ამერიკელი ეკონომისტი ე. გლეიზერი თავის ნაშრომში „სიძულვილის პოლიტიკური ეკონომია“[10] განიხილავს სტიმულების და ანტისტიმულების ჩამოყალიბებას პოტენციური ტერორისტებისთვის. ამგვარი მიდგომისას სიძულვილის მიწოდება განისაზღვრება პოლიტიკური კონკურენციის სიმძაფრის ხარისხით. ტერორიზმს ხელს უწყობს სამოქალაქო ომები და სხვა პოლიტიკური კონფლიქტები, რომელიც ამრავლებს ძალმომრეობის გამოყენების მცოდნე ადამიანთა რიცხვს. მოთხოვნა განისაზღვრება მოცემული ქვეყნის მოქალაქეთა კონტაქტების ხარისხით უცხოელებთან (ტურისტებთან, სამხედრო პირებთან, სამოქალაქო სპეციალისტებთან) ან რომელიმე სხვა უმცირესობებთან (მაგალითად, ებრაელებთან), რომელთა წინააღმდეგ შეიძლება მიიმართოს ტერორი, აგრეთვე, გავლენიან ჯგუფთა რესურსებით, რომლებიც მოგებას სიძულვილის გაღვივებით იღებენ.

ცნობილია, აგრეთვე, ტერორიზმის როგორც „ნაციონალური თვითმკვლელობის“ კონცეფცია, შემოთავაზებული რ. ვაინტრობის მიერ[11]. ამ მიდგომის თანახმად, ინდივიდი ირჩევს ორი სულიერი დოვლათის - ინტელექტუალური დამოუკიდებლობის და ჯგუფური დარაზმულობის - ოპტიმალურ კომბინაციას. დარაზმულობის მაღალი უპირატესობა რაციონალურს ხდის ტერორისტი-მკვლელის კარიერის არჩევას. ამ თვალსაზრისით, სრულიად გასაგებია, რატომაცაა კარგად განვითარებული ისლამური ტერორიზმი, მაგრამ არ არსებობს ბუდისტური ან კონფუციანური ტერორიზმი: ისლამი მსოფლიო რელიგიაა, რომელიც ყველაზე მეტად მოითხოვს ინდივიდისაგან, მთელი თავისი ცხოვრება რელიგიურ ერთობას დაუქვემდებაროს.

ე. გლეიზერის და რ. ვაინტრობის კონცეფციები ეფუძნება ეკონომიკური ლოგიკის გამოყენებას პოლიტიკური ან კულტურული ფაქტორების ანალიზისათვის. თუმცა ლიტერატურაში ხშირად გვხვდება მოსაზრებები

[10] Glaeser E.L., The Political Economy of Hatred // Quarterly Journal of Economics, 2005, P. 45-86

[11] Wintrobe R., Can Suicide Bombers Be Rational? University of Western Ontario, 2003.

ტერორიზმის დონეზე წმინდა ეკონომიკური ფაქტორების პირდაპირი გავლენის შესახებ. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების დონე და შემოსავლების დიფერენციაცია. ამგვარი მიდგომით, ტერორიზმი განიხილება როგორც სიღატაკით გამოწვეული სოციალური პროტესტის ფორმა. მოცემული მიდგომა ყველაზე ადვილად ექვემდებარება კრიმინომეტრულ შემოწმებას, თუმცა ჯერ კიდევ არ დასტურდება ამგვარი გათვლებით.

ტერორიზმის დეტერმინანტების რაოდენობრივი შეფასების თვალსაზრისით, საინტერესოა ამერიკელი ეკონომისტის ალბერტო აბადის[12] და ავსტრიელი ეკონომისტების - ანდრეას ფრაითაგის, იენს კრუგერის და ფრიდრიხ შნაიდერის[13] ნაშრომები. ა. აბადი მუშაობდა მონაცემებზე ტერორიზმის რისკების შესახებ მსოფლიოს 186 ქვეყნისთვის 2003-2004 წლებში. ავსტრიელმა მეცნიერებმა გამოიყენეს მონაცემები 2000-2002 წწ. განხორციელებული 500-მდე ტერაქტის შესახებ. სხვადასხვასოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლის მქონე ქვეყნებისათვის (მშპ მოსახლეობის 1 სულზე, მუსლიმანური მოსახლეობის წილი, ჯინის კოეფიციენტი და სხვ.) ტერაქტების საშიშროების კორელაციის შემოწმებით, მკვლევარები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მსგავს დასკვნებამდე მივიდნენ. პირველი, შემოსავლების დიფერენციაცია და საშუალო შემოსავალი ტერორიზმის დონეზე ძლიერ გავლენას არ ახდენს. მეორე, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პოლიტიკური თავისუფლების და ღიაობის მაჩვენებლები. მაგრამ ეს დამოკიდებულება არაწრფივია: თავდაპირველად, პოლიტიკური თავისუფლების და ქვეყნის ღიაობის ზრდასთან ერთად, ტერორიზმის საფრთხე იზრდება, შემდეგ კი იწყებს კლებას (ნახ. 1.1.). ა. აბადი, აქედან გამომდინარე, აკეთებს დასკვნას ტერორიზმის დროებითი აფეთქების გარდუვალობის შესახებ ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასვლისას (როგორც ეს იყო, მაგალითად, ესპანეთში 1980-ია ნ წლებში).

[12] Abadie A. Poverty, Political Freedom and the Roots of Terrorism, 2004

[13] Freytag A., Krüger J., Schneider F., The Origins of Terrorism. Cross-Country Estimates with Discrete Choice and Count Data Methods, 2006.

მიღებული შედეგი ტერორიზმის საერთაშორისო-პოლიტიკური დეტერმინანტების ეროვნულ-ეკონომიკურზე დომინირებას ადასტურებს. ღიაობა და პოლიტიკური თავისუფლება ქმნის ქვეყანაში ტერორისტულ ორგანიზაციათა სტრუქტურების და იდეოლოგიის შეღწევის შესაძლებლობას ეროვნული მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებისგან თითქმის დამოუკიდებლად. მხოლოდ დემოკრატიის მაღალი დონე ამცირებს მოქალაქეთა მისწრაფებას პოლიტიკური წინააღმდეგობის ძალადობრივი ფორმებისადმი.

ტერორიზმის განვითარების ეროვნულ ფაქტორთა ახსნის სხვაგვარ მიდგომას გვთავაზობენ ნეოინსტიტუციონალისტები. პერუელი ეკონომისტი ერნანდო დე სოტო, ავტორი ეკონომიკური ბესტსელერისა „სხვა გზა“, ძირითად ყურადღებას ამახვილებს იმ ეკონომიკურ ინსტიტუტებზე, რომლებიც არეგულირებენ მცირე ბიზნესის განვითარებას[14]. მისი აზრით, „მერკანტილისტურმა სახელმწიფომ“ ბევრ განვითარებად ქვეყანაში შექმნა მრავალრიცხოვანი ადმინისტრაციული ბარიერები, რომლებიც პრაქტიკულად მოკვეთენ ღარიბ მოქალაქეებს მეწარმეობიდან. კანონმორჩილი საქმიანობის შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ღარიბი ადამიანები მიდიან ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში, ხოლო ბევრი მათგანი უფრო შორს - პოლიტიკურ ტერორში მიდის.



[14]Сото Э.де., Иной путь. Экономический ответ терроризму, Челябинск: Социум, 2008

ნახაზი 1.1. ტერორიზმის რისკის კავშირი პოლიტიკური თავისუფლების დონესთან ა. აბადის მიხედვით (ჰორიზონტალურ ღერძზე განლაგებულია Freedom House's Political Rights Index[15]1-დან 7-მდე - რაც უფრო მაღალია პოლიტიკური თავისუფლება, მით უფრო მაღალია ინდექსი).

ე. დე სოტოს მსგავსად, ამერიკელი ეკონომისტი ტ. კურანი ისლამური ტერორიზმის ანალიზისას ყურადღებას ამახვილებს ისლამური ქვეყნების ეკონომიკურ ინსტიტუტებზე[16]. ისევე, როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნებში, ისლამურ ქვეყნებშიც მეწარმეობის განვითარებისთვის რთული პირობებია. ისლამური სამართალი მოითხოვს მემკვიდრეობის გაყოფას ყველა მემკვიდრეს შორის, რაც აძნელებს კაპიტალის დაგროვებას და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. ამასთან, სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში მუდმივად იყენებდა მაღალ გადასახადებს და პირდაპირ კონფისკაციას. მისთვის ტიპურია მაღალი კორუფცია. რამდენადაც დაბალი ფენიდან გამოსული ადამიანისთვის რთულია საკუთარი თავის რეალიზება ბიზნესში, ტერორისტის კარიერა მისთვის უფრო მიმზიდველი ხდება.

ამგვარად, თუმცა თანამედროვე ტერორიზმი წარმოადგენს გეოეკონომიკურ ფენომენს, მისი განვითარების ხარისხზე კონკრეტულ ქვეყანაში გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკური მოდელის თავისებურებანიც. ყველაზე ძლიერად იგი ვითარდება „ჩავარდნილ“ სახელმწიფოებში (კოლუმბია, ავღნეთი, ერაყი, ნაწილობრივ პოსტსაბჭოთა რუსეთი), სადაც მთავრობამ ვერ შეძლო (ან არ მოისურვა) მოსახლეობის ძირითადი მასის უზრუნველყოფა მთავარი საზოგადოებრივი დოვლათით (უსაფრთხოება, საკუთრების უფლებების დაცვა). თუ ტერორიზმის მიზეზების მსოფლიო-სისტემური გაგება ამტკიცებს, რომ წარმატებული ანტიტერორისტული პოლიტიკა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო დონეზე, ნეოინსტიტუციური ფორმულირება გვიჩვენებს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც გააჩნიათ ეროვნულ მთავრობებს.

---

[15] FREEDOM IN THE WORLD https://freedomhouse.org/sites/default/files/FH_FIW_2017_Report_Final.pdf (მონახულებისდრო: 01.07.2019)

[16] Kuran T., Why the Middle East is Economically Underdeveloped: Historical Mechanisms of Institutional Stagnation//Journal of Economic Perspectives, Vol. 18, 2004

1.3. ტერორისტული ქცევის მიკრო- და მაკროეკონომიკური ინდიკატორები

დანაშაულებრივი საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის პრინციპებს, რომლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ტერორიზმი, საფუძველი ჩაუყარა ამერიკელმა ეკონომისტმა გერი ბეკერმა. 1969 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „დანაშაული და სასჯელი: ეკონომიკური მიდგომა“[17]. მან შემოგვთავაზა დანაშაულის შესწავლისადმი ახალი მიდგომა, დაფუძნებული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების ნეოკლასიკურ მეთოდოლოგიაზე. გ. ბეკერი განიხილავს დამნაშავეს როგორც რაციონალურ ეკონომიკურ აგენტს, რომელიც ფლობს სტრატეგიულ კომპეტენციებს, რაც მას საშუალებას აძლევს მართოს თავისი საქმიანობა დასახული მიზნების მისაღწევად. დამნაშავე, ნებისმიერი კანონმორჩილი ინდივიდის მსგავსად, მიისწრაფვის მოსალოდნელი სარგებლიანობის მაქსიმიზაციისკენ, ანუ მის განკარგულებაში არსებული ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალის ეფექტიანი გამოყენებისკენ. ამგვარად, გ. ბეკერის მიხედვით, დანაშაულებრივი(მათ შორის ტერორისტული) საქმიანობის არჩევა ჩვეულებრივი ინვესტიციური გადაწყვეტილებაა რისკის და განუსაზღვრელობის პირობებში. დამნაშავის მიერ მიღებული სარგებლიანობა განისაზღვრება ლეგალური და არალეგალური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს შორის სხვაობით. რაც უფრო მკაცრია სასჯელი და დაკავების ალბათობა, მით უფრო მაღალია დანაშაულებრივი საქმიანობის ხარჯები და სუსტია ამ საქმიანობის არჩევის სტიმულები. ამგვარად, ბეკერის თანახმად, დამნაშავის ქცევაზე მოქმედ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს დანაშაულიდან მიღებული სარგებლიანობა, სასჯელის სიმძიმე, დასჯის ალბათობა და დამნაშავის რისკისადმი მიდრეკილება. ამ მოდელიდან გამომდინარე, ერთ-ერთი პრაქტიკული დასკვნა ისაა, რომ დამნაშავეთა უმრავლესობა რისკისადმი მიდრეკილი ადამიანები არიან.

[17] Becker G.S. Crime and Punishment: An Economic Approach // Journal of Political Economy. – Chicago, 1968. – Vol. 76., N 2. – P. 169–217.

ამიტომ დანაშაულის დონის შემცირებას უფრო მეტად შეუწყობს ხელს დასჯის ალბათობის გაზრდა 1%-ით, ვიდრე სასჯელის სიმძიმის გაზრდა 1%-ით.

გ. ბეკერის მიდგომამ, რომელიც ვარაუდობს ინდივიდის ქცევის რაციონალურობას, დიდი გავლენა იქონია კრიმინოლოგების მიერ დამნაშავის ქცევის აღქმაზე, რომელთა შორის დომინირებდა მოსაზრება[18], რომ დამნაშავის ქცევას საფუძვლად უდევს ირაციონალურობა და ამორალურობა (თანდაყოლილი ან შეძენილი). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინდივიდები იყოფიან არა „შეგნებულებად“ და "შეუგნებლებად“ (ბუნებით ან აღზრდით), არამედ ინდივიდებად, რომელთათვისაც ხელსაყრელია კანონმორჩილება და ვისთვისაც ხელსაყრელია კანონის დარღვევა.

რაციონალური ინდივიდუალიზმის კონცეფციიდან გამომდინარე, ტერორისტული დაჯგუფების წევრებს აქვთ საერთო მიზანი, რომელიც მდგომარეობს იმ სარგებლიანობის მაქსიმიზაციაში, რომელიც წარმოიქმნება ტერორისტული და ლეგალური საქმიანობის პროცესში შექმნილი საერთო დოვლათის მოხმარების შედეგად. საერთო დოვლათის წარმოებისთვის ტერორისტულმა ჯგუფმა უნდა გააკეთოს არჩევანი ტერორისტულ და ლეგალურ საქმიანობას შორის, სხვადასხვა ტერორისტულ ტაქტიკებს შორის (მიზნის და თავდასხმის წესის არჩევა), სხვადახვა ლეგალურ მოქმედებებს შორის. ამასთან, ტერორისტული ჯგუფის ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს ჯგუფის რესურსებს ანუ შემოსავალს ტერორიზმიდან. ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯები უდრის „წარმოებული“ პროდუქციის ერთეულის (ტერორისტული აქტის) ფასს, რომელიც მოიცავს მის განხორციელებაზე დახარჯული დროის და რესურსების ღირებულებას.

გარკვეული წვლილი ტერორიზმის ეკონომიკურ ანალიზში შეიტანა თამაშთა თეორიამ. მოდელში კიდევ ერთი მოთამაშის (მთავრობის) შეყვანით თამაშთა თეორია ხსნის მხარეთა სტრატეგიულ ურთიერთქმედებას ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილების მიღებისას: ტერორისტები თავიანთი მოქმედებების დაგეგმვისას

[18] Киреев Н.В. Моделирование преступного поведения в экономической теории // Юридическая наука и практика: Вестник Нижегородской академии МВД России. – Нижний Новгород, 2013. – № 21. – С. 91–95.

აფასებენ თავდასხმის სხვადასხვა წესების დანახარჯებს და სარგებლიანობას, ხოლო მთავრობებმა უნდა შეაფასონ და საუკეთესოდ გაანაწილონ ტერორიზმთან ბრძოლის რესურსები. ამ დაპირისპირებაში ტერორისტები მთავრობას თავს ახვევენ გარკვეულ დანახარჯებს, ხოლო მთავრობა, თავის მხრივ, შეიძლება შეეცადოს თუნდაც მის მინიმიზირებას. ეს მიდგომა გვიჩვენებს, რომ გადაწყვეტილებები რომელსაც იღებს ერთი მხარე, გავლენას ახდენს მეორის გადაწყვეტილებებზე. ამგვარად, ტერორიზმი დაიყვანება ორი ურთიერთმოქმედი ეკონომიკური აგენტის თამაშამდე[19].

თამაშთა თეორია საშუალებას იძლევა გამოვიდეთ სარგებლიანობის ფუნქციის ჩარჩოებიდან და აჩვენებს ისეთი სიტუაციის აღმოცენების შესაძლებლობას, რომელიც პატიმრების დილემის მსგავსია. თამაშთა თეორია ასევე აჩვენებს რომ, მკაცრი ანტიტერორისტული ზომები, რომელიც მიიღება გარკვეული მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, არსებითად ამცირებს ტერორისტულ თავდასხმებს, რომლის ობიექტიც შეიძლება იყოს ის[20].

თუმცა ტერორისტული ქცევის ეკონომიკური ანალიზი შეიძლება გამარტივებულად მოგვეჩვენოს, გარკვეულწილად, ის მტკიცდება რეალური ცხოვრებით. კერძოდ, ტერორისტულ ქცევაზე ანტიტერორისტული ზომების გავლენის ზოგიერთმა ეკონომეტრიკულმა კვლევამ აჩვენა, რომ მეტალოდეტექტორების დაყენებამ აეროპორტებში (1972 წლიდან) გამოიწვია საჰაერო ტრანსპორტზე ტერაქტების მნიშვნელოვანი შემცირება[21].

მენეჯმენტის ბევრი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ ტერორისტული აქტები ხდება არა ირაციონალური ინდივიდუალური მოტივების გავლენით. პრაქტიკა ამტკიცებს, რომ ტერორისტული ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ თავიანთ

---

[19] Lericolais M. Terrorisme international et mesures de sùreté: Analyse économique du comportement du voyageur sur le réseau de transport aérien mondial / Université Lumière. – Lyon II, 2011.

[20] Dépigny M. De l’usage de la théorie économique pour modéliser les comportements terroristes. – Lion, 7 p, 2009.

[21] Иноземцев В. Болезнь бедных: Как терроризм влияет на экономику // РБК: Мнения. 2016.

საქმიანობაში სტრატეგიული მიდგომით, რომელიც დასავლური კორპორაციების სტრატეგიული დაგეგმვის მსგავსია[22].

ტერორისტული ორგანიზაციების (მაგ. „ალ-ქაიდა“) დოკუმენტების ანალიზი, რომელიც მიზნად ისახავს აშშ-ის და სხვა ქვეყნების ეკონომიკის დანგრევას, აჩვენებს, რომ მისი მიღწევისთვის ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები გეგმავდნენ, ეიძულებინათ აშშ დაეხარჯა უზარმაზარი სახსრები საკუთარი ეკონომიკური და სახელმწიფო სტრუქტურების დაცვაზე. ეს გეგმები არ ტოვებს არც თვითნებურის და არც იმპულსურის შთაბეჭდილებას[23]. ალ-ქაიდას ფინანსური დოკუმენტებით დგინდება, რომ დაჯგუფება სარგებლობდა ფინანსური მართვის თანამედროვე მეთოდებით. ამ მიზნისთვის მას სპეციალური ფინანსური სამსახურიც გააჩნდა. ერაყში მისი საქმიანობის მხარდასაჭერად ასევე შეიქმნა ორგანიზაციის ქვედანაყოფებს შორის შემოსავლების განაწილების ინფრასტრუქტურა[24], რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ტერორისტული ორგანიზაციების უნარს რაციონალურად დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა. ისლამურმა სახელმწიფომ, რომელიც თავდაპირველად წარმოადგენდა ისლამისტი თეორეტიკოსების ექსტრემისტული დაჯგუფეფების და პარტია ბაასის ყოფილი აქტივისტების კონგლომერატს, ისტორიულად მოკლე ვადაში შეძლო არამარტო შეეთავაზებინა „საყოველთაო ხალიფატის“ შექმნის სოციალურად მიმზიდველი იდეა, არამედ ისარგებლა რა ამერიკის ერაყში შეჭრის შემდეგ რეგიონში აღმოცენებული სიტუაციით, „არაბული გაზაფხულით“ და სირიის კრიზისით, კონტროლი დაემყარებინა ერაყის და სირიის ტერიტორიაზე დაახლოებით 50-70 ათასი კმ^2-ის ტერიორიაზე 6-7 მლნ მოსახლეობით[25].

---

[22]Durmarque D., Rappin B. Le terrorisme comme organisation rationnelle // Rev. Internationale de Psychosociologie et de gestion des comportements organisationnels. – Paris, 2016. – N 54. – P. 297–301.

[23] Dépigny M. De l’usage de la théorie économique pour modéliser les comportements terroristes. – Lion, 2009. 7 p.

[24] Новые риски финансирования терроризма: Отчет ФАТФ. – Париж: ФАТФ/ ОЭСР, 2015. – 77 с.

[25] Панкратенко И.Н. ИГИЛ сегодня: На пути к полноценному государству. – М.: Центр стратегических оценок и прогнозов, 2015. – 29 с.

ინსტიტუციონალური თეორიის ფარგლებში, ტერორისტული საქმიანობის მოდელის თავისებურ გვთავაზობენ მ. კირეევი და ზ. ტაგიროვი. ინსტიტუციონალური თეორია დანაშაულს განიხილავს როგორც სარისკო ბიზნესის ნაირსახეობას. მოდელს საფუძლვად უდევს ძალოვანი მეწარმეობის ცნება, რომელიც განისაზღვრება როგორც სტრატეგიათა და გადაწყვეტილებათა ნაკრები, რომელსაც შეუძლია ორგანიზებული ძალის კონვერტირება ფულში ან სხვა საბაზრო დოვლათში (ფასიან ქაღალდებში, უძრავ ქონებაში და ა.შ.). ძალოვანი მეწარმეობის ძირითადი რესურსია სოციალურად ორგანიზებული ძალა ან ფიზიკური ძალადობა - როგორც რეალური, ისე პოტენციური.

ტერორისტული თავდასხმის აღნიშნული მოდელი სამსაფეხურიანია. პირველი საფეხური - პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა მოთხოვნების წამოყენება მუქარით,რომ მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოახდენენ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის პარალიზებას; მეორე საფეხური - დემონსტრაციული თავდასხმა (ან მისი მუქარა) ცალკეულ ეკონომიკურ სტრუქტურაზე და მისი პარალიზება; მესამე საფეხური - მოთხოვნების გამეორება უკვე უფრო მკაცრი ფორმით, ძალის რეალური ან შესაძლო დემონსტარციის ეფექტზე დაყრდნობით[26], თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები არ განიხილავენ ამ მოდელის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობას და, შესაბამისად, არ გვთავაზობენ იმ ზომებს, რომელიც შეიძლება მიიღოს სახელმწიფომ მსგავსი სიტუაციის განვითარების ბლოკირებისთვის.

ტერორისტული საქმიანობის ანალიზისადმი ეკონომიკური მიდგომის გარკვეული ნაკლოვანებების მიუხედავად (მისი კრიტიკოსების ძირითადი არგუმენტია ტერორიზმის ისეთი ფუნდამენტური მახასიათებლის იგნორირება როგორიცაა მოსახლეობისთვის შიშის და საფრთხის ატმოსფეროს შექმნა), ამ მიდგომის მომხრეთა დამსახურებაა აქცენტი ტერორისტული ორგანიზაციების მოქმედების რაციონალურობაზე. ეს საშუალებას იძლევა მაღალი ალბათობით

[26] Киреев М.П., Тагиров З.И. Терроризм и экономика // Сервис в России и за рубежом (электронный журнал). – М., 2016. – Т. 10, № 5. – С. 49–57.

განისაზრვროს ტერორისტული თავდასხმების პოტენციურად მოწყვლადი ობიექტები და მათი განხორციელების წესები.

ტერორიზმის მიზნების გათვალისწინებით, როგორიცაა შიშის დათესვა, პანიკა, ვითარების დესტაბილიზება და სხვა. ტერორისტული შეტევის ობიექტებია მოსახლეობის მუდმივად ყოფნის და კონცენტრირებული დასახლების ადგილები, ადამიამიანთა მასობრივი თავშეყრის ადგილები(ბაზრები, სავაჭრო ცენტრები, მასობრივი ღონისძიებები და ა.შ.); სახიფათო წარმოებების ქიმიურად სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებით და ქიმიური დაბინძურების ზონების გაჩენა, ბირთვული დანადგარები და ატომური ენერგიის წარმოების, გამოყენების და ტრანსპორტირების სხვა ობიექტები; საჰაერო, სარკინიგზო და სხვა ტრანსპორტი, მეტროპოლიტენი, წყალმომარაგების სისტემა და წყალგამწმენდი ნაგებობები და ა.შ. სახელმწიფოს, თავის მხრივ, შეუძლია მიიღოს ზომები ტერორიზმის წინააღმდეგ აქტიური ან პასიური ფორმით. პასიური პასუხი გულისხმობს ტექნოლოგიური ბარიერების შექმნას უფრო მკაცრი ანტიტერორისტული კანონების მიღებას, უფრო მკაცრ სასჯელს, ხარჯების გაზრდას ანტიტერორისტულ ბრძოლაზე და საერთაშორისო შეთანხმებების გამოყენებას. აქტიურ ზომებს მიეკუთვნება საპოლიციო რეიდები, ტერორისტულ ჯგუფებში ჩანერგვა და ა.შ. უკანასკნელი ათწლეულის მოვლენებმა დაამტკიცა, რომ როგორ პოლიტიკურ მოტივაციასაც არ უნდა აყენებდნენ ტერორიზმის თეორეტიკოსები, მას მაინც ეკონომიკური ხასიათის შეფერილობა აქვს. ტერორისტების საბოლოო მიზანს წარმოადგენს საზოგადოებაში ეკონომიკურ ურთიერთობათა ცვლილება და საკუთრების გადანაწილება[27]. ძალადობა ნებისმიერი ფორმით, მათ შორის, ტერორიც რაციონალური ქცევის შედეგია, რომელსაც საფუძვლად უდევს მოგებისადმი გამოდევნება, ხოლო „ალ-ქაიდას“ მსგავსი ტერორისტული ჯგუფები ხელმძღვანელობენ არა იდეოლოგიური

[27] Грачев С.И., Колобов О.А. Наиболее устойчивые детерминанты современного терроризма // Вестник академии военных наук. – М., 2009. – № 2 (27).

მოსაზრებებით, არამედ სოციალური და ეკონომიკური კაპიტალის მიღების შესაძლებლობით[28].

კავშირი განათლების დონეს, სიღარიბესა და ტერორიზმს შორის. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდგომ წლებში, თითქმის შრი-ლანკის ტერატქამდე, პოლიტიკოსების უმეტესობამ შეიცვალა შეხედულება ტერორიზმის წარმომავლობის შესახებ, მაგრამ ის იდეა, რომ ამ მოვლენას ბადებს სიღარიბე და უმეცრება კვლავ შენარჩუნებულია. მაგალითად, ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჯერემი კორბინმა მიმდინარე წელს თავის სიტყვაში გამოხატა თანაგრძნობა ჰამასის სასიკვდილოდ განწირული ტერორისტების მიმართ. მან ივარაუდა, რომ ახალგაზრდები პალესტინაში უერთდებიან ტერორიზმს უიმედობის და სხვა შესაძლებლობების არარსებობის გამო. ერთი შეხედვით ლოგიკურია, რომ ტერორიზმი და სიდუხჭირე ურთიერთადაკავშირებულია. ეს ლოგიკა მომდინარეობს დანაშაულის ტრადიციული ეკონომიკური თეორიიდან, რომელიც წამოაყენა ნობელის პრემიის ლაურეატმა გ. ბეკერმა, აგრეთვე თვითმკვლელობის ტრადიციული ეკონომიკური თეორიიდან, რომელიც განავითარეს ეკონომისტებმა დენიელ ჰამერმეშმა და ნილ სოსმა[29]. თითქოს ცხადია, რომ თვითმკვლელობისა და დანაშაულისადმი მიდრეკილების იგივე ინდიკატორები, კერძოდ, განათლების ან რესურსების არქონა, შეიძლება აღმოვაჩინოთ იმ ადამიანებთანაც, რომლებიც მიდრეკილნი არიან ტერორისტული აქტების განხორციელებისაკენ, რაც ხშირად ერთდროულად დანაშაულიცაა და თვითმკვლელობაც. პოლიტიკოსების აზრით, სამი ფაქტორის - სიღარიბის, ცუდი განათლების და ტერორიზმის - შეხამება ადვილად გადაწყვეტადს ხდის პრობლემას. სიღარიბის შემცირება და განათლების გაუმჯობესება ტერორიზმს გააქრობს, მაგრამ რეალობა არ შეესაბამება პოლიტიკურ მოლოდინებს.

---

[28] Pongo M.K., Landry T. Terrorisme international et marchés de violence. – Québec: Les Presses de l'Université Laval, 2005. – 144 p.

[29] Hamermesh Daniel S. and Neal M. Soss, "An Economic Theory of Suicide," Journal of Political Economy 82, no. 1 (Jan. - Feb., 1974): 83-98.

ამჟამად, ეკონომისტ-მკვლევართა უმეტესობა უარყოფს იმ იდეას, რომ ტერორიზმი დაკავშირებულია სიღარიბესა და გაუნათლებლობასთან. 2001 წლიდან გამოქვეყნებული იქნა მთელი რიგი ნაშრომები, რომელთა კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ინდივიდუალური ეკონომიკური პირობების გავლენა ტერორიზმზე. ამ კვლევებით შეგროვდა მონაცემები ძირითადი ტერორისტული დაჯგუფებების შესახებ, მათ შორის, ჰიზბალას მუსლიმი ტერორისტების დაჯგუფების წევრებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ და მოქმდებდნენ აშშ-ში (1993-2008), პალესტინური „ისლამური ჯიჰადის“ (1987-2002).

სტატისტიკურმა ანალიზმა არ აჩვენა პირდაპირი დამოკიდებულება ტერორიზმსა და სიღარიბეს შორის ინდივიდუალურ დონეზე, პირიქით, ემპირიული კვლევებით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ტერორისტებს უფრო ხშირად აქვთ მყარი ფინანსური მდგომარეობა, მიეკუთვნებიან მაღალ სოციალურ ფენას, ან უბრალოდ ცხოვრობენ სიღარიბის ზღვარს ზემოთ. ამ კვლევების ძირითადი დასკვნა ისაა, რომ ეკონომიკური ფაქტორები ინდივიდუალურ დონეზე გავლენას არ ახდენს ტერორიზმზე.

ბევრი კვლევა შეისწავლის დამოკიდებას განათლების დონესა და ტერორიზმს შორის. ითვლებოდა, რომ ტერორისტების განათლების დონე ძალიან დაბალია ან მათ საერთოდ არ აქვთ განათლება. მაშასადამე, მათი დასაქმების შესაძლებლობა ნაკლებია, ვიდრე განათლებული ადამიანების და შესაბამისად, ნაკლებია ტერორიზმის ალტერნატივებიც. მეცნიერები უარყოფენ ამ გაბატობენულ თვალსაზრისსაც და აჩვენებენ, რომ ტერორისტები ხშირად ფლობენ რეგიონში საშუალო მაჩვენებელზე უფრო მაღალ განათლების დონესაც კი.

რჩება კიდევ ერთი მაკროეკონომიკური პირობების ეფექტი საზოგადოების დონეზე. შესაძლებელია, ტერორისტული აქტების მოტივატორია არა პერსონალური სიღარიბე და განათლების არარსებობა, არამედ მთლიანად საზოგადოების სიღარიბე. პირველადი გამოკვლევები ადასტურებდნენ იმ მოსაზრებას, რომ სოღარიბე და ტერორიზმი ფუნდამენტურ კავშირშია. ეკონომიკური დაცემის და აღმავლობის შესწავლის წინასწარმა შედეგებმა ნამდვილად აჩვენა, რომ ეკონომიკური პირობების გაუარესება ზრდის ტერაქტების ალბათობას, ხოლო ის

ადგილები, სადაც ტერაქტები მოხდა, ხასიათდება ნაკლები ეკონომიკური ღიაობით, მაგრამ კრიტიკოსებმა მალე აღმოაჩინეს ამ ნაშრომებში სერიოზული ნაკლოვანებები. კერძოდ, ეს კვლევები განიხილავდა იმ ადგილებს, სადაც ხდებოდა ტერაქტები (ე.ი. ამ ტერაქტების მიზნებს) და არა იმ ქვეყნებს ან ხალხებს, საიდანაც გამოვიდნენ ტერორისტები სინამდვილეში (ე.ი. თავდამსხმელთა წარმომავლობას). უახლესი კვლევები, მაგ. ეკონომისტების ა. კრუგერის და დ. ლაიტინის ნაშრომები[30] სხვა შედეგებს იძლევა. ტერორიზმსა და მაკროეკონომიკას შორის ურთიერთკავშირის მათეული ანალიზი საპირისპირო დასკვნამდე მიდის: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყანაში, სადაც დაიბადა ტერორისტი, არავითარ გავლენას არ ახდენს ტერაქტის განხორციელებისადმი მიდრეკილებაზე. უფრო მეტიც, ანალიზი აჩვენებს, რომ როდესაც მშპ მოსახლების ერთ სულზე ქვეყანაში იზრდება, ტერორსტების რიცხვი მხოლოდ მატულობს.

ისტორია ამ დასკვნას ადასტურებს. ეკონომიკური კეთილდღეობის სხვადახვა შეფასებების თანახმად, 2000 წლის დასაწყისში, პალესტინური ტერიტორიების ეკონომიკა აღმავლობას განიცდიდა. და იმავე წელს კემპ-დევიდში ჩატარებული სამიტის ჩავარდნის შემდეგ, პალესტინელებმა დაიწყეს ტერორისტული კამპანია, რომელიც ცნობილი გახდა როგორც მეორე ინტიფადა[31]. სისხლიანი ტერაქტების რიცხვის მკვეთრი ზრდა, რომლებშიც ხშირად ხედავდნენ იმას, თუ რა მძიმე პირობებში ცხოვრობენ პალესტინელები, რეალურად, დაიწყო პლესტინის ეკონომიკური აღმავლობის მომენტში. მაგრამ ძალადობის ზრდის კვალობაზე, პალესტინური ტერიტორების ეკონომიკურმა ძლიერებამ დაიწყო შემცირება. 2005 წელს, როდესაც 1000-ზე მეტი ისრაელელი და 3000 პალესტინელი მშვიდობიანი მოსახლის და მებრძოლის დაღუპვის შემდეგ ინტიფადამ დაიწყო ჩაცხრომა, პალესტინური ეკონომიკა განიცდიდა უახლეს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ღრმა დაცემას.

---

[30] Krueger Alan B., David D. Laitin. “A Cross-Country Study of the Origins and Targets of Terrorism”, Princeton University and NBER, January 18, 2007

[31]ინტიფადა - ისრაელის ტერიტორიაზე მცხოვრები პალესტინელი არაბების დაუმორჩილებლობის მოძრაობა.

არსებული მონაცემებიდან შეიძლება ორი დასკვნის გაკეთება: ეკონომიკური პირობები და განათლების დონე ინდივიდუალურ დონეზე გავლენას არ ახდენს ტერორიზმზე, ხოლო მშპ მოსახლეობის ერთ სულზე იმ ქვეყანაში, საიდანაც არიან ტერორისტები წარმოშობით, არა აქვს კავშირი ტერაქტების სიხშირესთან. 2000-აიანი წლების შუახანებისთვის ექსპერტთა და მეცნიერთა უმრავლესობამ უარი თქვა ტრადიციულ წარმოდგენაზე ტერორიზმის ფესვების შესახებ. მაგრამ აღმოცენდა ახალი თეორია, რომელიც აკავშირებდა სიღარიბეს, განათლებას და ტერორიმზს და რომელიც შეეცადა განეზოგადებინა მიღებული ახალი ინფორმაცია.

2005 წელს ეთან ბუენო დე მესკიტამ (ჩიკაგოს უნივერსიტეტი) წამოაყენა თეორია[32], რომელიც ეხებოდა კავშირს ტერორისტებზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. ე. ბუენო დე მესკიტას აზრით, ინდივიდთა დიდ რაოდენობას სურს იყოს ტერორისტი და *„თუ ტერორისტული ორგანიზაციები ირჩევენ სასიკვდილოდ განწირულებს მოხალისეთა დიდი მიწოდებიდან, მათ შეულიათ აარჩიონ უფრო კვალიფიციური თვითმკვლელი-ტერორისტები ცუდი ეკონომიკური პირობების დროს“.* თუ ტერორისტულ დაჯგუფებს შევთავაზებთ არჩევანს, ისინი ამოარჩევენ ადამიანებს კეთილდღეობის ან განათლების უფრო მაღალი დონით. წანამძღვარი იმის შესახებ, რომ ტერორისტული დაჯგუფებები ირჩევენ მოხალისეთა დიდი რაოდენობიდან, წარმოიშვა ძირითადად მონათხრობებიდან. ბუენო დე მესკიტა ახდენს ჰამასის ოფიცრის ციტირებას, რომელიც ამბობს, რომ „მათი ყველაზე დიდი პრობლემა, ეს არის ახალგაზრდა ადამიანების ურდოები, რომლებიც გვიკაკუნებენ და მოითხოვენ, რომ ისინი გავგზავნოთ“. მოკლედ რომ ვთქვათ, არსებობს პოტენციური ტერორისტების დიდი „მიწოდება“, რომელთაც სურთ ებრძოლონ უსამართლობას და ეს საშუალებას აძლევს ტერორისტულ დაჯგუფებებს, შეარჩიონ ყველაზე „ხარისხიანი“ კანდიდატები ან ისეთები,რომელთაც აქვთ საუკეთესო განათლება ან შემოსავლების უკეთესი დონე.

ე. დე მესკიტას შერჩევის თეორიამ განვითარება ჰპოვა გარკვეულ წრეებში. გამოქვეყნდა ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი, მიძღვნილი იმ იდეისადმი, რომ

[32] De Mesquita B. E. „The Quality of Terror “., American Journal of Political Science (AJPS),Volume 49, Issue, pp. 515-530, 2005

ტერროროსტების ხარისხი დაკავშირებულია მათ კეთილდღეობასთან, ასაკთან და განათლებასთან. 2007 წელს ეკონომისტებმა ბ. ბენმელეჩმა და კ. ბერებიმ[33] აღმოაჩინეს, რომ უფრო ასაკოვანი ტერორისტები, რომლებსაც აქვთ მეტი გამოცდილება და განათლების მაღალი დონე, ჩვეულებრივ კლავენ უფრო მეტ ადამიანს, აყენებენ მეტ ზიანს მნიშვნელოვანი სამიზნის დაზიანებისას და, დიდი ალბათობით, გაურბიან პასუხისმგებლობას. ანალიზის გაღრმავების მიზნით, და ეკონომიკურ პირობებთან შესაძლო კავშირის მოსაძებნად, მთელი საზოგადოების დონეზე ჩატარებულ იქნა დამატებითი კვლევა, რომელიც ეხებოდა კავშირს ეკონომიკურ პირობებსა და ტერორისტების მახასითებლებს შორის. ბ. ბენმელეჩმა, კ. ბერებიმ და ე. კლორმა[34] დაადგინეს, რომ ეკონომიკური პირობების გაუარესება ერთ მომენტში (მაგ. უმუშევრობის ზრდა) ზრდის იმის ალბათობას, რომ შემდეგ მომენტში თვითმკველელი ტერორისტები იქნებიან უფრო განათელებულები, უფრო ასაკოვნები და უფრო გამოცდილები. ამ კვლევებმა პირველად აჩვენეს, რომ თუმცა ეკონომიკური პირობების გაუარესება არ ზრდის თავდასხმათა რიცხვს, ის, პოტენციურად, კორელაციაშია ტერაქტების დამუშავების და ეფექტიანობის ამაღლებასთან. ეს შედეგები ადასტურებს ე. ბუენო დე მესკიტას თეორიას, რომ ტერორისტული დაჯგუფებები ფილტრავენ კანდიდატებს ყველაზე „ხარისხიანების“ ძიებაში.

უკანასკნელი კვლევები ეჭვქვეშ აყენებს ბუენო დე მესკიტას მოდელის უნივერსალურობას. 2015 წელს გაჩაღდა ახალი ტერორისტული კამპანია პალესტინაში. თავდახმები ხარისხობრივად განსხვავდებოდა ძალადობის წინა ტალღებისგან ამ რეგიონში, ვინაიდან თავდამსხმელები ახლა უკვე მოქმედებდნენ მარტო და არა მსხვილი ტერორისტული დაჯგუფების სახელით. ტერორისტული მუქარის ინდივიდუალური ხასიათის გამო, ამ კამპანიას ხშირად უწოდებენ „მარტოსული მგლების“ ინტიფადას. ძალადობამ მიწყნარება დაიწყო 2017 წელს და

[33] BenmelechE., Berrebi C. “Human Capital and the Productivity of Suicide Bombers”, Journal of Economic Perspectives, Vol. 21, No. 3, pp. 223-238, 2007

[34] Benmelech E., Berrebi C., Klor E. F. „Economic Conditions and the Qualityof Suicide Terrorism’, The Journal of Politics, Vol. 74, No. 1, January 2012, Pp. 1–16

შემდგომ კვლევებში კ. ბერები და მ. ვაისბროდი ცდილობენ, გააანალიზონ მასში მონაწილე ადამიანების მახასიათებლები. ჯერჯერობით, მათ შეძლეს იმის დადგინა, რომ, თუმცა, ამ „ახალ ტერორიზმში“ ბევრია ისეთი, ვინც ვერ მიიღო უმაღლესი განათლება, მათ შორის, არც თუ ისე ცოტაა განათლებული ადამიანებიც შეძლებული წრეებიდან.

მთლიანობაში, ტერორისტთა შორის განათლებული პროფესიონალების და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა და შეძლებული ოჯახებიდან გამოსულთა რაოდენობა ძლიერ აჭარბებს საშუალო მაჩვენებლებს. მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტული ორგანიზაციები „ფილტრავენ“ ტერორისტობის კანდიდატებს (როგორც ამბობდნენ ე. ბუენო დე მესკიტა და სხვები), მაგრამ უმაღლეს განათლებას და სიმდიდრეს და ტერორიზმს შორის კავშირის ფორმირებაში მნიშველოვან როლს თამაშობს სხვა ფაქტორებიც, შერჩევის პროცესის გარდა.

1.4. ტერორიზმის შეკავების ოპტიმალური სტრატეგიის არჩევა

თუ ტერორისტის „კარიერის“ არჩევანი რაციონალური მოსაზრებებით ხორციელდება, მაშინ ტერორთან ბრძოლა ამ არჩევანის ხარჯების გაზრდას საჭიროებს, რაც ჩვეულებრივი მოქალაქის ცხოვრების წესიდან ტერორისტის ცხოვრების წესზე გადასვლას არახელსაყრელს ხდის.

ანტიტერორისტული ბრძოლის მეთოდების ეკონომიკური დასაბუთებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ დანაშაულის ეკონომიკის (economics of crime) სტანდარტული მოდელი, რომელიც აღწერს პოტენციური სამართალდამრღვევის არჩევანს:

$R = (1 - p) \times S + p \times (S - D) = S - p \times D.$

პოტენციური სამართალდამრღვევი უარს იტყვის კანონის დარღვევაზე, თუ წმინდა მოგება იქნება უარყოფითი, ე.ი. $S < p \times D$. S, თავის მხრივ, დამოკიდებულია კანონმორჩილი ქცევის ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებზე, თუ დანაშაულებრივი კარიერის არჩევა მას მიუღწეველს ხდის. ასეთ შემთხვევაში ტერორისტისთვის:

$$S = Willeg - Wleg,$$ სადაც

Willeg - „ხელფასი“ არალეგალური საქმიანობიდან,

Wleg - ხელიდან გაშვებული „ხელფასი“ ლეგალური საქმიანობიდან.

ტერმინი „ხელფასი“ ამ შემთხვევაში გამოიყენება ზოგადი მნიშვნელობით, ინდივიდის მიერ მიღებული ყველა სარგებლიანობის (როგორც მატერიალურის, ასევე მორალურის) ჩათვლით.

იმისათვის, რომ ტერორისტის კარიერის არჩევა არახელსაყრელი იყოს, საჭიროა:

$$Willeg - Wleg < p \times D, \text{ ანუ } Willeg < p \times D + Wleg.$$

Willeg პარამეტრი განისაზღვრება იმ მატერიალური და მორალური მოგებით, რომლითაც ტერორისტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები იზიდავენ/აკავებენ რიგით წევრებს. სამართალდამცავ ორგანოებს ამ პარამეტრზე ზემოქმედება ტერაქტების დაფინანსებასთან ბრძოლით შეუძლიათ. თუმცა, პოლიტიკურ ტერორიზმთან მიმართებით, ფულის ძლიერ სუბსტიტუტს წარმოადგენს მორალური სარგებლიანობა (დაღუპულ „ალაჰის მებრძოლთა“ ნეტარება სამოთხეში, გარშემომყოფთა პატივისცემა სიცოცხლეში და ა. შ.), რომელზე ზეგავლენაც სამართალდამცავ ორგანოებს არ შეუძლიათ.

საზოგადოების ზეგავლენას უფრო მეტად ექვემდებარება ცვლადები, რომლებიც მდებარეობს უტოლობის მარჯვენა მხარეს (P და D) და Wleg. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ადამიანები რეაგირებენ არა იმდენად ამ მაჩვენებელთა რეალურ მნიშვნელობაზე, რამდენადაც ინფორმაციაზე მათ შესახებ. მაგალითად, მასმედიის აქცენტირებამ ანტიტერორისტული ბრძოლის წარუმატებლობაზე ტერორის ახალ მონაწილეთა მიზიდვაში, შეიძლება, „აგიტაციის“ როლი შეასრულოს. და, პირიქით, ხშირი და დამაჯერებელი ინფორმაცია ტერორისტთა დაკავება/დაღუპვის შესახებ ამცირებს ტერორში მონაწილეობის მიმზიდველობას მაშინაც კი, თუ, სინამდვილეში, სასჯელის სიმძიმე და ალბათობა უმნიშვნელოდ იცვლება.

არსებობს თვალსაზრისი, რომ ტერორიზმთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი გზა - ესაა პოტენციური და თვით რეალური ტერორისტებისთვისაც კი მიმზიდველი

შესაძლებლობების შეთავაზება კანონმორჩილი ცხოვრებისათვის. ეს პოზიცია ყველაზე ზუსტად ჩამოყალიბებულია ამერიკელი ეკონომისტ-კრიმინოლოგის ბრუნო ფრაის წიგნში „ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემა - მათრახი თუ თაფლაკვერი?“[35]. ბ. ფრაის აზრით, ტერორიზმთან ბრძოლის ისტორია გვიჩვენებს, რომ ძალისმიერი მეთოდები, უმრავლეს შემთხვევაში, არაეფექტიანია და აუცილებელია ალტერნატივა ე.წ. პოზიტიური მიდგომის სახით - „თაფლაკვერის“ გამოყენება (სასურველი ქცევის წახალისება) არსებული სისტემის ქმედით რეფორმებთან კომპლექსში. დადებითი სტიმულების შექმნისათვის ბ. ფრაი გვთავაზობს ტერორში მონაწილეობის ფარული ხარჯების (ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობათა ხარჯების) ამაღლებისკენ მიმართულ შემდეგ ღონიესძიებებს:

- ტერორისტთა რეინტეგრაცია საზოგადოებაში: ტერორისტებისათვის იმ შეგრძნებების შექმნა, რომ ისინი მიეკუთვნებიან მთელ საზოგადოებას (მაგალითად, მათი ჩართვით საჯარო დებატებში) საშუალებას მისცემს მათ, როგორც მინიმუმ, დაეჭვდნენ თავიანთი შეხედულებების აუცილებლობაში;
- მომნანიებელთა წახალისება: სასჯელის შემსუბუქება ან სრულიად გათავისუფლება, მშვიდობიანი სამოქალაქო ცხოვრების მხარდაჭერა საწყის ეტაპზე;
- საზოგადოებაში დაფასებული შესაძლებლობების შეთავაზება ტერორისტულ საქმიანობაზე უარის თქმის სანაცვლოდ (მაგალითად, ტერორის იდეოლოგთა მიწვევა წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში, როგორც ეს იყო ა. ნეგრის - იტალიური „წითელი ბრიგადების“ იდეოლოგის - შემთხვევაში).

ბ. ფრაის პოზიციის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ საჭიროა არა არჩევანი „მათრახსა“ და „თაფლაკვერს“ შორის, არამედ „მათრახისა“ და „თაფლაკვერის“ ერთდოულად გამოყენება. თუ „მონანიებულ“ ტერორისტებს ლეგალური საქმიანობის ხელსაყრელ შესაძლებლობებს შევთავაზებთ ყოველგვარი სასჯელის გარეშე, ეს უფრო გააძლიერებს ტერორისტთა მოზღვავებას, ვიდრე შეამცირებს მათ. კერძოდ, ექს-ტერორროსტთა წარმატებული კარიერა შექმნის შთაბეჭდილებას, რომ ტერორში მონაწილება არის საფეხური პირადი კეთილდღეობის ამაღლების გზაზე.

[35] Frey Bruno S., Dealing with Terrorism: Stick or Carrot. Elgar Publishers, 2004

ამიტომ ყოფილი ტერორისტების საზოგადოებაში, რეინტეგრაციის პირობების შექმნასთან ერთად, აუცილებელია ძალისმიერი ზეწოლის გამოყენება მოქმედ ტერორისტებზე. ამასთან, უნდა გვახსოვდეს დანაშაულისა და სასჯელის ეკონომიკის მკვლევართა ის დასკვნა, რომ დასჯის ალბათობა უფრო მეტ შემაკავებელ ეფექტს ახდენს, ვიდრე სასჯელის სიდიდე.

ანტიტერორისტული პოლიტიკის ორი ტიპის („მათრახის“ და „თაფლაკვერის“) შეფარდებითი ეფექტიანობის შემოწმებისთვის რუსი ეკონომისტების მიერ ჩატარებულ იქნა კრიმინომეტრული გამოკვლევა, ისრაელის სტატისტიკაზე დაყრდნობით, ანტიისრაელური ტერაქტების მსხვერპლთა შესახებ 1949-2004წწ[36]. ამ პერიოდის განმავლობაში ისრაელის მთავრობა იყენებდა როგორც სტრატეგიას „კბილი კბილის წილ“ (1949-1992წწ.), ასევე დამშვიდების სტრატეგიას დათმობის და ეკონომიკური დახმარების მეშვეობით (1993 წლიდან). მიუხედავად ამისა, ტერაქტების მსხვერპლთა რიცხვი ისრაელში 2000-იან წლებში მკვეთრად გაიზარდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტერორიზმთან ბრძოლა ისრაელში მაღალი საინფორმაციო გამჭვირვალობის პირობებში მიმდინარეობს, როდესაც ყველასათვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია როგორც ტერორის მსხვერპლთა, ასევე ანტიტერორისტული ბრძოლის ეფექტიანობის შესახებ.

ტერორიზმის მიზეზების ანალიზიდან შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება:

- ტერორიზმთან ეფექტიანი ბრძოლა პრინციპულად შეუძლებელია მხოლოდ რომელიმე ცალკეული სახელმწიფოს ძალებით- ის უნდა რეგულირდებოდეს მთლიანად თანამედროვე მსოფლიოსისტემის დონეზე;
- ეროვნულ დონეზე ტერორიზმის დონის რეგულირების მთავარ ინსტრუმენტს გრძელვადიან პერიოდში წარმოადგენს სოციალური პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს სხვადასხვა ეთნიკურ და კონფესიონალურ ჯგუფთა უთიერთობას, აგრეთვე, მთავრობის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია;

[36] Жаворонков С., Яновский К., Шульгин С., Затковецкий И., Ротенберг В., Политико-экономические аспекты борьбы с терроризмом, М.: ИЭПП, 2005

- ტერორიზმის განვითარებაზე გავლენას ახდენს არამხოლოდ და არა იმდენად საკუთრივ ანტიტერორისტული ღონისძიებები, რამდენადაც მოძრაობა "სამართლით მმართველობის" რეჟიმისკენ, რომელიც კეთილსასურველ შესაძლებლობებს ქმნის მოქალაქეთა ლეგალური თვითრეალიზაციისათვის, ტერორისტული საქმიანობისგან მათი ჩამოცილებისთვის;
- აუცილებელია არამარტო ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ტერორისტულ ორგანიზაციათა წინააღმდეგ, არამედ ამ ღონისძიებათა მაქსიმალურად გაშუქება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში პოტენციურ ტერორისტებზე პრევენციული ზეგავლენისათვის.

თავი 2. ტერორიზმის ფინანსური წყაროები

2.1. ტერორიზმის დაფინანსების წყაროები და მასშტაბები

ტერორიზმი, როგორც სტაბილური მოვლენა, შეუძლებელია მხოლოდ „ენთუზიაზმზე“ დაყრდნობით. ტერაქტების ორგანიზებისთვის და მასმედიაში მათი გაშუქების სტიმულირებისთვის საჭიროა დიდი ფინანსური ხარჯები.

თანამედროვე ტერორიზმს გააჩნია სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი (ნახ. 2.1.). ამ წყაროთა თანაფარდობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. როგორც აღნიშნავს ტერორიზმის დაფინანსების ამერიკელი მკვლევარი სტივ კაიზერი[37], 1990-2000-იან წლებში ხდება ტერორის თავისებური „პრივატიზება“ - სპონსორ-სახელმწიფოთა „გამოძევება“ საქველმოქმედო/არასამთვარობო ორგანიზაცია-სპონსორების და კერძო პირების მიერ (ნახ. 2.2.). იმავდროულად ხდება დაფინანსების წყაროთა დივერსიფიკაცია - ტერორისტთა დახმარება მცირე „პორციებით“ მრავალი წყაროდან, რის შედეგადაც მისი დაფინანსების დანგრევა გაცილებით უფრო რთული გახდა.



ნახაზი 2.1.თანამედროვე ტერორიზმის ფინანსური წყაროები და შემადგენელი ნაწილები

[37] Kiser S. Financing Terror. An Analysis and Simulation to Affect Al Qaeda's Financial Infrastructures. RAND, 2005

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე ტერორიზმის ფინანსური დახმარება „ძლიერი“ ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ასეთი მხარდაჭერა ხდებოდა „ცივი ომის“ დროს (მაგალითად, სკანდალი 1986 წელს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლების მიერ ნიკარაგუას მემარჯვენე ტერორისტული დაჯგუფებებისთვის იარაღის ფარულ მიწოდებასთან დაკავშირებით). მაგრამ თანამედროვე ეპოქაში ამგვარი დახმარების მტკიცებულებები არ არსებობს.



ნახაზი 2.2. ტერორიზმის დაფინასნსების ცვლილების მაკროტენდენციები ს.კაიზერის მიხედვით[38].

ტერორისტთა დახმარების ტრადიციული წყარო - ესაა რომელიმე ქვეყნის დახმარება, რომელიც იყენებს ტერორისტებს, როგორც ინსტრუმენტს თავისი მიზნების მისაღწევად, რომლებიც თვით ტერორისტებისთვის, შეიძლება, არც კი იყოს ცნობილი. „ცივი ომის“ პერიოდში „იდეოლოგიურად ახლობელი“ ტერორისტების დახმარებით დაკავებული იყო მრავალი ქვეყანა, თვით უდიდესი ქვეყნების ჩათვლით. მაგრამ თანამედროვე პირობებში ეს წყარო თანდათან იწურება. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2000-იანი წლების დასაწყისში

[38] Kiser S., Financing Terror. An Analysis and Simulation to Affect Al Qaeda's Financial Infrastructures. RAND, 2005

შეადგინა „შავი სია“, რომლის თანახმადაც ტერორისტულ ორგანიზაციათა დახმარებაში მონაწილეობენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ირანი, ერაყი, სირია, ჩრდილოეთ კორეა, კუბა და სხვ.

თანამედროვე ტერორისტთა დაფინანსების უფრო მნიშვნელოვანი წყაროა კერძო პირთა სპონსორობა სხვადასხვა ტიპის სათვისტომოების, ჰუმანიტარული დახმარების საზოგადოებების, რელიგიური ორგანიზაციების და სხვ. მეშვეობით. „მესამე სამყაროში“ დასავლური ფასეულობების მკვეთრი უარყოფის მიუხედავად, ეს მათ ხელს არ უშლის, აითვისონ „დასავლური კაპიტალიზმი“ და დააგროვონ კაპიტალი, რომელიც შემდეგ გამოიყენება „ანტიდასავლური“ ტერაქტების დასაფინანსებლად. ამ მხრივ, ცნობილი ფიგურა იყო ოსამა ბინ ლადენი, მილიონერი საუდის არაბეთიდან, რომელიც თავდაპირველად იყო ანტისაბჭოთა ავღანელი მოჯაჰიდების სპონსორი, ხოლო შემდეგ თითონ ჩაუდგა სათავეში ტერორს. საუდის არაბეთი აშშ-ის მოკავშირეა, მაგრამ მისი ბევრი მოქალაქე სპონსორობას უწევს ისლამურ ტერორიზმს (კონსპიროლოგების აზრით, ეს ფაქტი ადასტურებს ისლამური ტერორის მარიონეტულ ხასიათს). ცნობილია, აგრეთვე, რომ ირლანდიელი მებრძოლები თითქმის 1990-იან წლებამდე იღებდნენ აქტიურ დახმარებას აშშ-ის ირლანდიური სათვისტომოებისგან, თუმცა, ოფიციალური ვაშინგტონი ყოველთვის კატეგორიულად კიცხავდა ოლსტერის კათოლიკე-ტერორისტებს.

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმი სულ უფრო ნაკლებად საჭიროებს დახმარებას გარედან და გადადის თვითმომარაგებაზე. საუბარია ტერორისტული ორგანიზაციების ჩართვაზე საერთაშორისო კრიმინალურ წარმოებაში - ნარკობიზნესი, კონტრაბანდა და ა.შ. ტერორისტული ორგანიზაციები ბევრი ნიშნით მაფიის მსგავსია: არალეგალურია, ფლობს ძალისმიერ რესურსებს, აგებულია პირად ნდობაზე. ამიტომ ისინი წარმატებით შედიან სწორედ ორგანიზებული დამნაშავეობისთვის ტიპურ კრიმინალურ დარგებში. ლათინური ამერიკის ტერორისტები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი კოკაინის ბიზნესთან, აზიის ტერორისტები - ჰეროინთან, დასავლეთ აფრიკის დაჯგუფებები - ალმასების კონტრაბანდასთან. კრიმინალური შემოსავლების „გარეცხვისთვის“,

ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატების მსგავსად, ისინი ქმნიან საფარველს სუპერმარკეტების, ბენზინგასამართი სადგურების, სატრანსპორტო კომპანიების და სხვ. სახით. შედეგად ხდება ტერორიზმის კომერციალიზაცია, იგი იძენს „ჩვეულებრივი“ მაფიის ნიშნებს.

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ გაჩნდა მოსაზრება, რომ ტერორისტებმა „ისწავლეს ფულის კეთება“ თვით ტერაქტებიდან. აშშ-ში 11 სექტემბრის ტერაქტების შესახებ საფონდო ბირჟაზე ცნობილი იყო წინასწარ, - წერს ვორონოვი, - ტერაქტებამდე რამოდენიმე დღით ადრე მკვეთრად გაიზარდა იმ ვაჭრობის მოცულობა, რომლებიც ორიენტირებული იყო ავიაკომპანიების- „United Airlines” და “American Airlines” აქციების კოტირების სავარაუდო დაცემაზე, რომელთა თვითმფრინავებიც გაიტაცეს ტერორისტებმა. ვაჭრობის მოცულობა აჭარბებდა ჩვეულებრივ დონეს 20-25-ჯერ[39]. თუმცა ეს შემთხვევა მაშინვე გახდა აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კომისიის გამოძიების ობიექტი, ვერ მოხერხდა იმის გარკვევა, ვინ „მოითბო ხელი“ მოსალოდნელი ტერაქტების ინფორმაციაზე.

ტერორისტულ ორგანიზაციათა ფინანსების სიდიდე არ ექვემდებარება ზუსტ შეფასებას. არსებობს მოსაზრება, რომ „ტერორის ეკონომიკის ზომები შეადგენს 1,5 ტრილიონ დოლარს ყოველწლიურად (ეს არის, დაახლოებით, მსოფლიო მთლიანი პროდუქტის 5%)“[40]. იგი ეფუძნება მსოფლიო ჩრდილოვანი ეკონომიკის შეფასებას, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივაა დაკავშირებული ტერორიზმთან. ტერორის თანამედროვე ეკონომიკის (New Economy for Terror) მკვლევარი ლორეტა ნაპოლეონი მას აფასებს 500 მილიარდ დოლარად, ტერორისტულ ორგანიზაციათა ყველა სახის შემოსავლების ჩათვლით (მათ შორის, ლეგალური საწარმოებიდან)[41].

უფრო ზუსტად შეიძლება შეფასდეს ცალკეულ ტერორისტულ ორგანიზაციათა დაფინანსების მასშტაბები. მაგალითად, 1990-იან წლებში პალესტინის გათავისუფლების მოძრაობის ორგანიზაცია „ ფატჰის“ წლიური

---

[39] Воронов, Ю.П., Экономические функции терроризма // Экономика и организация промышленного производства, № 1, 2002

[40] Костюгова В., «Черный шум» и экономика террора, 2005

[41] Napoleoni L., Money and Terrorism // Economist. January 2005

ბიუჯეტი შეადგენდა 8-14 მილიარდ დოლარს, რაც აჭარბებს იემენის ან ბაჰრეინის მშპ-ს მოცულობებს[42]. ასეთი დაფინანსება, შეიძლება, აიხსნას იმით, რომ 1993 წელს „ფატჰმა“ ოფიციალურად უარი თქვა არალეგალურ შეიარაღებულ ბრძოლაზე ისრაელის წინააღმდეგ, რის გამოც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა იგი ტერორისტულ ორგანიზაციათა რეგისტრიდან გამოიყვანა.

სრულიად არალეგალურ მდგომარეობაში მყოფ ტერორისტულ ორგანიზაციებს უფრო მოკრძალებული შემოსავალი აქვთ. 1990-იანი წლების ბოლოსთვის კოლუმბიელი „ნარკოპარტიზანების“ (დაახლოებით, 20 ათასი მებრძოლი) ბიუჯეტი 600 მილიონ დოლარს შეადგენდა. 2000-იანი წლების დასაწყისისთვის „ალ. ქაიდას“ (1.5-3 ათასი წევრი) ბიუჯეტი - 20-50 მილიონ დოლარს, „ჰამასის“ (1 ათასი წევრი) - 10 მილიონ დოლარს, „ჰეზბოლასი“ - 50 მილიონს[43]. აღსანიშნავია, რომ ჩეჩენი ტერორისტების ყოველწლიურ შემოსავლებს 2000-იან წლებში აფასებენ 90 270 მილიონი დოლარის ინტერვალში.

ტერორისტული ორგანიზაციების შემოსავლების ყველაზე მსხვილ წყაროდ კვლავ რჩება დანაშაულებრივი საქმიანობის ფართო სპექტრი. მაგალითად, 2014 წელს ისლამური სახელმწიფოს შემოსავლებმა მთლიანობაში შეადგინა 2.9 მლრდ დოლარი, 2015-ში შემცრიდა 2.4 მლრდ დოლარამდე, რაც ძირითადად დაკავშირებულია ნავთობის შემოსავლების არსებით შემცირებასთან კოალიციის ძალების და რუსეთის საჰაერო დარტყმებსა და ნავთობის გადაზიდვის დეზორგანიზაციასთან. 2014 წელს შემოსავლების ძირითადი წყარო იყო მიტაცებული ტერიტორების ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსები, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო, ნავთობგადამამუშავებელი. 2014 წელს ისლამური სახელმწიფო შემოსავლებმა ნავთობიდან შეადგინა 1 მლრდ დოლარი, რაც 2015 წელს შემცრიდა 400-500 მლნ-ით. მისმა წილმა ორაგნიზაციის მთლიან შემოსავლებში შეადგინა შესაბამისად 38% და 25%[44].ისლამური სახელმწიფოს

[42] Хорос В. “Крона”, “корни” и “климат” терроризма // Мировая экономика и международные отношения, № 3, 2002

[43] Schneider F., The hidden financial flows of Islamic terrorist organisations: Some preliminary results from an economic perspective, 2002

[44] Le financement de l’Etat islamique: Année 2015. – Paris: Centre d’Analyse du Terrorisme, 2016. – 33 p.

ძირითადი დაფინასების წყარო 2015 წელს გახდა გამომძალველობა. სხვადახვა გადასახადის გათვალსიწინებით(ერაყელი და სირიელი ჩინოვნიკების ხელფასზე, რომლებიც ცხოვრობდნენ კონტროლირებად ტერიტორიაზე, საბაჟო მოსაკრებელი კონტროლირებად ტერიტორიაზე შემავალი სატვირთოებიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, რელიგიურ უმცირესობათა გადასახადები); პერიოდული გადასახდელები (წყალზე, ტელეფონზე) და ა.შ. ჯარიმები შარიათის კანონების ნებისმიერი დარღვევისთვის; კონფისკაციები მიტოვებული სახლების შემდგომი გაყიდვით. 2015 წელს ისლამურ სახელმწიფოს გამომძალველობამ მოუტანა 800 მლნ დოლარი 33%, რაც 2014 წელს მხოლოდ 360 მლნ დოლარიიყო. ამასთან, ისლამური სახელმწიფო ისწრაფვის ამ სისტემის ლეგალიზებისკენ. თავისი აქციების დასაფინასებლად, შექმნის დღიდან ისლამური სახელმწიფო მიმართავს მეწარმეთა და პოლიტიკოსების და რელიგიური მოღვაწეების მოტაცებას გამოსასყიდის მიღების მიზნით. ამ გზით 2014 წელს მან „გამოიმუშავა“ 120 მლნ დოლარი, თუმცა 2015 წელს ეს რიცხვი რამდენადმე შემცირდა რეგიონიდან უცხოელების გამგზავრების გამო. 2015 წლის დასაწყისში სირიაში მოტაცებული იყო 200 ქრისტიანი ასირიელი, რომელთათვის გამოსასყიდმა შეადგინა რამდენიმე მილიონი დოლარი. „ისლამური სახელმწიფო“ ასევე რეგულარულად იტაცებს იეზიდებს, რომელთა გათავისუფლების ფასი ერთ ადამიანზე 4000 დოლარამდეა. ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის შემოსავალი 100 მლნ დოლარი იყო 2015 წელს[45]. ისინი იყებენ სექსუალურ მონებად გაყიდვის ხერხებს შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ, ასევე ანტიკვარიატით ვაჭრობას. ისლამურმა სახელმწიფომ შექმნა სპეციალური ბიურო, რომელიც დაკავებულია არქეოლოგიური გათხრებით და ამგვარად მოახდინა გათხრების ადგილის სისტემატური გაქურდვის „ლეგალიზება“. ბიურო ან გასცემს ნებართვას გათხრების წარმოებაზე და ნაპოვნი ობიეტქების გაყიდვაზე (ეს საქმიანობა იბეგრება 20-50%-იანი გადასახადით) ან აწარმოებს გათხრებს და გაყიდვებს დამოუკიდებლად. ამის შედეგად, ოფიციალურად განადგურებულად გამოცხადებული ბევრი არტეფაქტი მოგების წყარო ხდება, ისინი არალეგალურად მიიმართება თურქეთში ან იორდანიაში, ხოლო შემდეგ ჩნდება ანტიკვარიატის

[45] Le financement de l’Etat islamique: Année 2015. – Paris: Centre d’Analyse du Terrorisme, 2016, p. 19

საერთაშორისო ბაზრებზე, მაგრამ ექსპონატების დიდი ნაწილი ამჟამად ინახება თავისუფალი პორტების საწყობებში და ბაზარზე გავა რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც მათი ნამდვილი წარმომავლობის დადგენა რთული იქნება. იუნესკოს მონაცემებით, ერაყიდან და სირიიდანგატანილიმრავალიწვრილი ანტიკვარული ობიექტი (მონეტები, სამკაულები, პატარა ქანდაკებები) იყიდება კოლექციონერებზე ელექტრონულიაუქციონის საშუალებით ვებგვერდებზე როგორიცა e-bay, ან სპეციალიზირებულ საიტებზე[46]. 2015 წელს „ისლამურმა სახელმწიფომ“ ანტიკვარიატის არაკანონიერი გაყიდვიდან, დაახლოებით, 30 მლნ დოლარი მიიღო, რაც საერთო შემოსავლების 1%-ია[47].

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურად ერთვებიან ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ საქმიანობაში (ნარკოტრაფიკი, კონტრაბანდა, ფულის არალეგალური გადარიცხვა და სხვ.). მაგ. თალიბანის მთლიანი შემოსავლებიდან, რომელმაც 2011-2012 წლებში შედგნინა 400 მლნ დოლარი, მესამედი მიიღეს ოპიატებით ვაჭრობიდან[48]. დასავლეთ აფრიკის მეამბოხეთა დაჯგუფები აქტიურად მონაწილეობენ ალმასების კონტრაბანდაში. ამასთან, რაც უფრო მსხვილია ტერორსიტული ორგანიზაცია, მით უფრო აქტიურად მონაწილოებს საერთაშორისო კონტრაბანდაში(ჩვეულებრივ, ნარკოტიკების წარმოებასა და ექსპორტში, მაგრამ შესაძლებელია სხვა ვარიანტებიც)[49]. არსებობს ტერორისტებისთვის მნიშვნელოვანი არაკანონიერი საქმინობის სხვა ფორმებიც, რომელსაც მათთვის მნიშვნელოვანი შემოსავლები მოაქვს, კერძოდ, უკანასკენელ პერიოდში ტერორისტები სულ უფრო ხშირად მიმართავენ პერსონალური მონაცემების მიტაცებას, საკრედიტო ბარათების თაღლითური გზით გამოყენებას

[46] Rapport du Secrétaire général sur la menace que représente l'État islamique d'Iraq et du Levant (Daech) pour la paix et la sécurité internationales et sur l'action menée par l'Organisation des Nations Unies pour aider les États Membres à contrer cette menace / Nations Unies, Conseil de sécurité. – New-York, 2016. – 27 p.

[47] Le financement de l'Etat islamique: Année 2015. – Paris: Centre d'Analyse du Terrorisme, 2016, p. 2

[48] Новые риски финансирования терроризма: Отчет ФАТФ. – Париж: ФАТФ/ ОЭСР, 2015, с. 25

[49] Наумов Ю.Г., Латов Ю.В. Роль организованной преступности в финансировании терроризма и экстремизма // Вестник РАЕН. – М., 2016. – № 4. – С. 53–57.

ფულის მისაღებად. აგრეთვე სადაზღვევო და საკრედიტო თაღლითობას (ავტოსაგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ინსცენირება).

ზოგიერთი სპეციალისტი ტერორიზმს განიხილვას როგორც მომგებიანი ბიზნესის სახეობას. ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ ზუსტი ინფორმცია ტერაქტის განხორციელების დროსა და ადგილზე, შეუძლიათ მნიშნელოვანი მოგება მიიღონ. ზოგიერთი მონაცემით, ბინ ლადენის პარტნიორები 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის მომზადების შესახებ ინფორმაციას იყენებდნენ ბირჟებზე სპეკულაციისთვის. ეს ფაქტი ნაწილობრივ მტკიცდება ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ორაგნიზაციის[50] მიერ. რომელიც მივიდა დასკვნამდე რომ მოგება, რომელიც მიიღეს ტერაქტამდე რამდენიმე დღის განმავლობაში გაიზარდა ასეულობით მლნ დოლარით, რაც მოწმობს ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებას[51]. ტეროროსტული ორგანიზაციებისთვის სხვა მომგებიანი მიმართულებაა მსხვილი საერთაშორისო კორპორაციებისპროექტები, რომლებიც დაინეტრსებულნი არიან ან კონკურენტების ჩამოცილებით ან ბიზნესკლიმატის შევცვლით მსოფლიოს გარკვეულ რეგიონებში დივერსიული აქტების დახმარებით, თუმცა ასეთი პროექტების შემკვეთების დადგენა საკმაოდ რთულია. ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე ავღანეთის და პაკისტანის ტერიტორიის გავლით გაზსადენისა და ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ. ამ იდეას მხარი დაუჭირა ბევრმა უცხოურმა კომპანიამ, უპირველეს ყოვლისა "უინოკალმა". ამ პროექტის განხილვის დაწყება „დაემხთვა" თალიბანის მოძრაობის საქმიანობის გააქტიურებას, რომელსაც კომპანია იუნოკალმა გამოუყო 25 მლნ დოლარი როგორც შემოწირულობა და საჩუქრი თავისი ლეგალური ბიუჯეტიდან, რათა მიეღო კონტრაქტი ამ მილსადენის მშენებლობაზე. თუმცა საბოლოო ანგარიშით, პროექტი არ იქნა რეალიზებული[52]. მსგავსი შემთხვევა გამოვლენილ იქნა კოლუმბიაში, იტალიურ-არგენტინული ნავთობის კომპანია

[50] Organisation Internationale de Commissions de Valeurs, IOSCO

[51] Medero G.S. Les sources de financement légal et illégal des groupes terroristes d´aujourd´hui // Revista de Paz y Conflictos. – Granada, 2011. – N 4.

[52] Napoleoni L., Money and Terrorism // Economist. January 2005 - http://www.fride.org/eng/Publications/publication.aspx?item=686 (მონახულებისდრო: 01.07.2019)

SICIM-ის მაღალი თანამდებობის პირების მიმართ გამოძიების პროცესში. ამის საბაბი გახდა მათი კავშირი ეროვნულ-განმათავისუფლებელ არმიასა და კომუბიის რევოლციურ შეიარაღებულ ძალებთან. გენერალურმა პროკურორმა იპოვა ირიბი მტკიცებულება, რომ SICIM-ის თანამშრომლები დაეხმარნენ არმიას, მოწყობილობა-დანადგარების მწყობრიდან გამოყვანის მეშვეობით, კონკურენტების ანუ სხვა ნავთობის კომპანიების ჩამოცილებაში,რომლებიც მუშაობდნენ რეგიონში[53].

2.2. ტერორიზმის დაფინანსების მოდელები

ეკონომიკის რეგიონალური მოდელების ანალოგიურად, არსებობს ტერორიზმის დაფინანსების რეგიონული მოდელებიც - ლათინოამერიკული, დასავლეთაფრიკული, დასავლეთევროპული, ახლოაღმოსავლური და ა.შ. მათი შედარებით შეიძლება გამოიყოს ტერორისტულ ორგანიზაციათა დაფინანსების სისტემის სიმწიფის დონეები - იატაკქვეშა ჯუფებისთვის სახსრების შეგროვებიდან (ყველაზე ტიპური სიტუაცია) მობილური ტერორისტული რაზმების დაფინანსებამდე (სიტუაცია კოლუმბიაში) და, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ ტერიტორიულ წარმონაქმნთა ეკონომიკის ორგანიზაციამდე (ჩეჩნეთი 1990-იან წლებში).

ერთ-ერთი მოდელია ადმინისტრაციულად ინსტიტუციონალიზირებული „ნაცრისფერი ზონების“ ტერორისტული დაფინანსება. ტერმინი „ ნაცრისფერი ზონა“ (gray zone) აღნიშნავს რეგიონებს საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფოების ტერიტორიაზე, რომლებიც ან საერთოდ ვერ კონტროლდება ლეგალური მთავრობების მიერ, ან კონტროლდება ნაწილობრივ (ქურთისტანი თურქეთში, მთიანი ყარაბახი აზერბაიჯანში, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოში, შრი-ლანკის ჩრდილოეთი, კოლუმბიის სამხრეთი და დასავლეთი და ა.შ.). „ნაცრისფერ ზონათა“ შორის შეიძლება გამოიყოს ორი ტიპი: ან ოპოზიციური ორგანიზაციები ქმნიან ალტერნატიულ ადმინისტრაციულ სისტემას (როგორც, მაგალითად, მთიან ყარაბახში), ან ტერიტორია ხდება განუწყვეტელ

[53] Новые риски финансирования терроризма: Отчет ФАТФ. – Париж: ФАТФ/ ОЭСР, 2015, с. 65–66

პარტიზანულ და ანტიპარტიზანულ მოქმედებათა არეალი (როგორც კოლუმბიაში). პირველ სიტუაციაში ოპოზიციური ხელისუფლება ცდილობს მოიპოვოს ახალი სახელმწიფო წარმონაქმნის ლეგალიზაცია, რაც შეუთავსებელია ტერორისტულ საქმიანობასთან. იგი რამდენადმე უნიკალურია. ხოლო პარტიზანული ტიპის „ნაცრისფერი ზონების“ ტერორისტული დაფინანსება გვხვდება უფრო ხშირად. ერთ-ერთი მაგალითია კოლუმბია. თანამედროვე კოლუმბიაში მოქმედებს ორი ძირითადი მეამბოხე ორგანიზაცია - „კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები“ (FARC) და „ნაციონალური განმათავისუფლებელი არმია“ (ELN). მათი რიგები, დაახლოებით, 25 ათას მებრძოლს ითვლის. მეამბოხეები ქვეყნის ტერირტორიის, დაახლოებით, 40%-ს აკონტროლებენ. მათ გვერდით არსებობს, აგრეთვე, მემარჯვენე ტერორისტული ორგანიზაციებიც (ე.წ. “სიკვდილის ესკადრონები“). კოლუმბიელი მეამბოხეები აქტიურად მდიდრდებიან კოკაინის და ჰეროინის ბიზნესის კონტროლის ხარჯზე. დღეისათვის კოლუმბიაზე მოდის მსოფლიოში ადამიანთა გატაცების თითქმის ნახევარი. 2000 წელს აქ ოფიციალურად რეგისტრირებული იყო 3,7 ათასი შემთხვევა (ანუ ყოველდღიურად, საშუალოდ, იტაცებდნენ 8 ადამიანს).

ტერორიზმის დაფინანსების კოლუმბიური მოდელი, როდესაც ტერორისტული ორგანიზაცია აკონტროლებს ფართო ტერიტორიას დინამიურ რეჟიმში (კონტროლირებადი ტერიტორია არამდგრადია, ხშირად ყალიბდება „ორხელისუფლებიანობა“), გვხვდება პლანეტის სხვა რეგიონებშიც.

ტერორიზმისთვის ყველაზე ტიპურია სიტუაცია, როდესაც იგი მოქმედებს სრულ იატაკქვეშეთში და არა აქვს შესაძლებლობა, მიიღოს რამდენადმე მსხვილი შემოსავლები ბაზირების ადგილიდან. ამ შემთხვევაში დაფინანსება, ძირითადად, გარედან ხორციელდება. ძლიერი საგარეო კავშირების მქონე იატაკქვეშა ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების მოდელის მაგალითია „ალ-ქაიდა“, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ საერთაშორისო ტერორიზმის სიმბოლო გახდა. აღსანიშნავია, რომ საერთაშრისო ტერორიზმი სპეციალიზირდება კრიმინალური ბიზნესის იმ სახეობებზე, რომლებიც აგრეთვე დაკავშირებულია საერთაშორისო საქმიანობასთან. თუმცა ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი

ნაწილი „ალ-ქაიდაში“ ლეგალური წყაროებიდანაც (ისლამურ ორგანიზაციათა შემოწირულობები) შედის (იხ. ცხრ. 2.1.).

ცხრილი 2.1.

„ალ-ქაიდას“ ბიუჯეტი 1999-2001 წწ. (ფ. შნაიდერის შეფასებით)[54]

შემოსავლის წყაროები	**წილი მთლიან შემოსავალში (%)**
ნარკობიზნესი	30-35
დახმარება საგარეო სპონსორებიდან (სახელმწიფოების, რელიგიური ჯგუფების ან ცალკეული პირების)	25-30
კლასიკური კრიმინალური საქმიანობა (ადამიანთა გატაცება და სხვ.)	10-15
არალეგალური ვაჭრობა ალმასებით	10-15
სხვა წყაროები (ლეგალური და არალეგალური)	5-25

გარედან დაფინანსების არარსებობის შემთხვევაში ტერორისტები გადადიან ადგილობრივი ჩრდილოვანი ეკონომიკის ექსპლუატაციაზე (ტერორიზმის დაფინანსების მოდელი სუსტი საგარეო კავშირებით), რითაც მაქსიმალურად უახლოვდებიან მაფიოზურ ორგანიზაციებს. სწორედ ამ გზით მიდიოდა ირლანდიის რევოლუციური არმია (ირა) თავისი საქმიანობის უკანასკნელ პერიოდში[55]. ტერორიზმის დაფინანსების მოდელების ტიპოლოგიზაცია წარმოდგენილია ცხრ. 2.2.-ში. ცხადია, ეს ტიპოლოგია წარმოადგენს ყველაზე „წმინდა“ ტიპებს, რეალურ სინამდვილეში ხშირად გვხვდება გარდამავალი მოდიფიკაციები.

[54] Schneider F., The hidden financial flows of Islamic terrorist organisations: Some preliminary results from an economic perspective, 2002

[55] Организованная преступность и финансирование терроризма в Северной Ирландии // Борьба с преступностью за рубежом, № 2, 2004

ცხრილი 2.2.

ტერორიზმის დაფინანსების მოდელები

მახასიათებლები	**მოდელი №1:** ადმინისტრაციულად ინსტიტუციონალიზირებული „ნაცრისფერი ზონა“	**მოდელი №2:** პარტიზანული „ნაცრისფერი ზონა“	**მოდელი №3:** იატაკქვეშა ორგანიზაცია ძლიერი საგარეო კავშირებით	**მოდელი №4:** იატაკქვეშა ორგანიზაცია სუსტი საგარეო კავშირებით
მაგალითები	ჩეჩნეთის რესპუბლიკა 1992-1999 წწ., ავტონომიური ზონა კოლუმბიაში 1998-2002 წწ., ავღანეთი 1996-2001 წწ.	FARCდაELN კოლუმბიაში 1980-იან წლებიდან, ქურთების მუშათა პარტია თურქეთში 190-იანი წლებიდან.	„ალ-ქაიდა“ 1990-იანი წლებიდა, ჩეჩენი ტერორისტები 1999 წლის შემდეგ.	„ირა“ ჩრდილოეთ ირლანდიაში 1990-2000 წწ.
შემოსავლის ძირითადი წყაროები	რესურსების დატაცება (ჩეჩნეთი), ნარკოტიკების კონტრაბანდა (კოლუმბია, ავღანეთი)	ნარკოტიკების და სხვა საქონლის კონრაბანდა, „ხარკი“ მოსახლეობისგან	დიასპორების და რელიგიურ ოგანიზაციათა სპონსორობა	ადგილობრივი ჩრდილოვანი ეკონომიკა (კონტრაბანდა, რეკეტი, ძარცვა)
ყოველწლიური შემოსავლების მოცულობა(მლნ დოლ.)	რამდენიმე მილიარდამდე	600 მლნ (კოლუმბია), არანაკლებ 300 მლნ (ქურთები მუშათა პარტია)	20-50 მლნ (ალ-ქაიდა), 90 მლნ (ჩეჩნეთი)	10 მლნ-მდე

ტერორისტთა რიცხოვნობა	დაახლოებით 40 000 (ჩეჩნეთის შეიარაღებული ფორმირებები1 994წ.)	10-16 ათასი (ქურთების მუშათა პარტია), 20-26 ათასი (კოლუმბიის ნარკოპარიზანები)	1-6 ათასი (ჩეჩნეთი 2000-იანი წლები)	500-მდე

ტერორიზმთან ბრძოლა, საერთაშორისო კანონმდებლობის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან დაიწყო. 1977 წელს მიღებულ იქნა ტერორიზმის დევნის ევროპული კონვენცია. მაგრამ გასნაკუთრებული ორიენტაცია ტერორიზმის დაფინანსებაზე 1990-იან წლებს უკავშირდება. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ტერორიზმის კომერციალიზაცია. მთავარი მოვლენა ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში გახდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1999 წელს მიღებული ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წელს. განსაკუთრებულ როლს ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლაში ასრულებს საერთაშორისო ორგანიზაცია FATF (Financial Action Task Force), რომელიც ახდენს ფინანსური ინსტიტუტების და ფინანსური დაზვერვის ორგანოთა საქმიანობის კოორდინირებას. იგი შეიქმნა 1989 წ. "დიდი შვიდეულის" გადაწყვეტილებით. ამჟამად იგი 39 ქვეყანას აერთიანებს. FATF ასრულებს თავისებური ფინანსური ინტერპოლის როლს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსაკუთრებით საშიშ ფინანსურ სამართალდარღვევებთან მებრძოლი ეროვნული ორგანოებისთვის.

ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის პროცესი საჭიროებს ამ ბრძოლის შესაძლებლობების საზღვრების დადგენას. პრობლემა იმაშია, რომ თვით ყველაზე მსხვილი და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ტერაქტებიც კი ზოგჯერ ძალიან „იაფი ღირს" (ცხრ. 2.3.). 10-15 ათასი დოლ. ოდენობის თანხებმა ადვილად შეიძლება გაჟონოს საკმაოდ მკაცრი ფინანსური კონტროლის სისტემის პირობებშიც კი. გარდა ამისა, ტერორისტებს შეუძლიათ ამ თანხების დაგროვება გარე დაფინანსების

გარეშეც - ჩრდილოვან ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობით, ან თვით ლეგალური ბიზნესის ფარგლებშიც.

ცხრილი 2.3.

ყველაზე მსხვილი ტერაქტების „ღირებულება“

ტერორისტული აქტები	**„ღირებულება“ (აშშ დოლარებში)**
აფეთქება პეტერბურგის მეტროპოლიტენში (2017 წლის 3 აპრილი)	2,5 ათასი
პარიზში ისლამური სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ტერაქტი(2015 წლის13 ნოემბერი)	34 ათასი
მოსკოვის აეროპორტ „დომოდედოვო“- შიგანხორციელებული ტერაქტი (2011 წლის 24 იანვარი)	8 ათასი
საჰაერო თავდასხმა მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე (აშშ, 2001 წლის 11 სექტემბერი)	300-500 ათასი
ბოომბის აფეთქება სასტუმრო „მარიოტში“ ჯაკარტაში (ინდონეზია, 2002 წლის აგვისტო)	30 ათასი
ბობმების აფეთქება ბალიზე (ინდონეზია, 2002 წლის ოქტომბერი)	50 ათასი
დანაღმული სატვირთო ავტომობილების აფეთქება სტამბულში (2003 წლის ნოემბერი)	40 ათასი
ბომბების აფეთქება მადრიდის მატარებლებში (ესპანეთი, 2004 წლის მარტი)	10 ათასი
ბომბების აფეთქება ლონდონში (დიდი ბრიტანეთი, 2003 წლის ივლისი)	15 ათასი

ამრიგად, ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის მთავარი პრობლემა მდგომარეობს ფინანსური მონიტორინგის დანახარჯებსა და მიღებულ შედეგებს შორის თანაზომიერების მიღწევაში. FATF- ის და სხვა ანალოგიურ ორგანიზაციათა რეკომენდაციების დაცვა ქმნის დამატებით დატვირთვას ბანკებისთვის, მაგრამ ლიტერატურაში ჯერ არ არსებობს შეფასებები, რა დოზით აკავებს ეს საქმიანობა ტერორიზმის დაფინანსებას.

თავი 3. ტერორიზმის გავლენა ეკონომიკურ კეთილდღეობაზე

3.1. ტერორიზმის ეკონომიკური შედეგები განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისთვის

მიუხედვად იმისა, რომ თანამედროვე ტერორიზმი ჩამოყალიბდა როგორც „სუსტი სამხრეთის“ „პარტიზანული“ ბრძოლის მექანიზმი „ძლიერი ჩრდილოეთის“ წინააღმდეგ, დივერსიფიცირებული ეკონომიკის მქონე მდიდარი ქვეყნები გაცილებით ადვილად უმკლავდებიან ტერორიზმის ეკონომიკურ შედეგებს, ვიდრე ღარიბი ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ვიწრო ეკონომიკური სპეციალიზაცია და ძლიერ არიან დამოკიდებულნი გარე ფაქტორებზე. თუ ტერაქტის შედეგად ირღვევა საწარმოო საქმიანობა, დივერსიფიცირებული ეკონომიკის ერთ დარგში არსებული რესურსები შეიძლება გადავიდეს მეორეში, რომელიც არ დაზარალებულა ტერაქტისგან. გარდა ამისა, მდიდარი ქვეყნები ფლობენ მეტ და უფრო ხარისხიან რესრუსს ტერორიზმთან ბრძოლისთვის, რაც, თეორიულად, ხელს უწყობს ტერაქტების რიცხვის შემცირებას მათ ტერიტორიებზე.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკები, რომლებიც სპეციალიზირდებიან საქმიანობის მხოლოდ რამდენიმე სახეობაზე, ნაკლებად მდგრადია ტერორიზმის გამოვლინებებისადმი. ისეთი რესურსები, როგორიცაა სამუშაო ძალა ან კაპიტალი, შეიძლება გადავიდეს დაზარალებული დარგებიდან სხვა, ნაკლებად მწარმოებლურ დარგებში ქვეყნის შიგნით ან მთლიანად წავიდეს სხვა ქვეყანაში[56]. სწორედ ეს ხდება სირიაში, ადგილობრივ ბიზმესმენთა უმრავლესობამ დატოვა ქვეყანა და გაიტანა თავისი აქტივები. მაგალითად, კომპანიათა 26%, რომელიც დარეგისტრირებულია 2015 წელს თურქეთში, ეკუთვნის სირიელ ბიზმესმენებს, რომლებიც გაიქცნენ უცხოეთში[57].

[56] Бандиопадхия С., Сандлер Т., Юнас Дж., 2015, с. 26–27; Иноземцев В., 2016; Латов Ю.В., 2012, с. 16

[57] Панкратенко И.Н. ИГИЛ сегодня: На пути к полноценному государству. – М.: Центр стратегических оценок и прогнозов, 2015. – 29 с.

ტერორიზმის ზეგავლენის სხვადასხვა ხარისხი განვითარებულ და განვითარებად ეკონომიკებზე მტკიცდება ეკონომიკურ ზრდაზე ტერორიზმის ზეგავლენის ანალიზით აზიის 42 ქვეყანაში (7 ქვეყანა - განვითარებული ეკონომიკით და 35 ქვეყანა - განვითარებადი ეკონომიკით). ანალიზმა ჩავენა, რომ ტერორიზმი არ ახდენდა არსებით გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე განვითარებულ ქვეყნებში, მაშინ როცა განვითარებად ქვეყნებში ყოველი ტრანსნაციონალური ტერორისტული აქტი (1 მლნ მცხოვრებზე) იწვევდა ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებას დაახლოებით 1.4%-ით[58].

ისრაელის ბანკის შეფასებით, 2000-იან წლებში ტერორისტულმა საქმიანობამ ქვეყანას მიაყენა ზარალი მშპ-ის 4%-ის ოდენობით. ტერორისტების საქმიანობის გამო ჩრდილოეთ ირლანდია დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა გაერთიანებული სამეფოს ყველაზე ღარიბ და სუსტად განვითარებულ რეგიონად, უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით. მხოლოდ 1990-იანი წლების შუა ხანებში, როდესაც ირა-ს (ირლანდიის რევოლუციური არმია) ტერორისტული აქტიურობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რეგიონის ეკონომიკამ დაიწყო აღდგენა[59].

ამავე დროს, ტერორიზმი, განსაკუთრებით სამოქალაქო ომთან ერთად, უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკაზე. მაგალითად, ექსპერტების შეფასებით, სირიის ეკონომიკის მდგომარეობა დღეს უარესია, ვიდრე იყო გერმანიის და იაპონიის მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ქვეყნის მშპ შემცირდა 60 მლრდ დოლარიდან (2010 წელს), დაახლოებით, 14 მლრდ დოლარამდე (2015 წელს), ე.ი. თითქმის 75%-ით. მაშინ, როცა 1945 წელს საბრძოლო მოქმედებების ბოლოს, გერმანიის მშპ შემცირდა მხოლოდ 66%-ით, ხოლო იაპონიისა - 54%-ით.

წინასწარი შეფასებით, სირიის აღდგენა რომ დაწყებულიყო 2018 წელს და ეკონომიკის ზრდა შენარჩუნდეს 4.5%-ის დონეზე წელიწადში, საჭირო იქნება

[58] Бандиопадхия С., Сандлер Т., Юнас Дж., 2015, с. 27

[59] Латов Ю.В. Экономические потери от актов терроризма // Противодействие терроризму. Проблемы XXI века. – М., 2012. – № 2. – С. 18

დაახლოებით 20 წელი, რომ ქვეყანამ მიაღწიოს მშპ-ის ომამდელ (2010 წლის) დონეს[60].

3.2. ტერორიზმის გავლენა ინვესტიციებზე, საერთაშორისო ვაჭრობასა და ცალკეულ დარგებზე

ტერორიზმისაგან ეკონომიკური დანაკარგების შეფასება, შეიძლება, განვიხილოთ ორ ასპექტში: 1) დანაკარგები, მიყენებული ცალკეული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისათვის და 2) დანაკარგები მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის ცალკეული დარგებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მატერიალური ფასეულობების განადგურებასა და დაზიანებასთან ერთად, ტერაქტები იწვევს შიშის და დაუცველობის გრძნობის ფორმირებას საზოგადოებაში. ამის შედეგად, როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ისე უცხოელებს ეცვლებათ დამოკიდებულება იმ ადგილებისადმი რომლებიც გახდა ტერაქტის ობიექტი. ისინი აღიქმება როგორც ნორმალური ცხოვრებისთვის და ბიზნესის წარმოებისთვის შეუსაბამო[61].

ტერორისტული აქტივობის ზრდა კონკრეტულ ადგილას ჩვეულებრივ იწვევს ინვესტიციების მომგებიანობისადმი მოლოდინების შემცირებას და, მაშასადამე, მათ გადანაცვლებას სხვა რეგიონებში, რაც ამცირებს მწარმოებლურ კაპიტალს ტერორიზმისგან დაზარალებულ ქვეყანაში, აგრეთვე ტექნოლოგიების ნაკადს, რომელიც ზრდის ამ მწარმოებლურობას, მაგალითად, 1970-იანი წლების შუახანებიდან 1991 წლამდე ტერაქტების შედეგად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) ესპანეთში შემცირდა 13.5%-ით, ხოლო საბერძნეთში 11.9%-ით. ტერორიზმის შედეგად მწარმოებლური რესურსების თავდაპირველი დანაკარგები შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს პოტენციური უცხოელი ინვესტორების

[60] Панкратенко И.Н. ИГИЛ сегодня: На пути к полноценному государству. – М.: Центр стратегических оценок и прогнозов, 2015. – 29 с.

[61] Латов Ю.В. Экономические потери от актов терроризма // Противодействие терроризму. Проблемы XXI века. – М., 2012. – № 2. – С. 16

უფრო უსაფრთხო ქვეყნებში პერეორიენტაციის გამო. ტერორიზმის აღმოცენების სავარაუდო რისკის შედარებით მცირე ამაღლებამ შეიძლება გამოიწვიოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არაპროპორციულად დიდი შემცირება ქვეყანაში და მოუტანოს არსებითი ზარალი მის ეკონომიკას.

ტერორიზმის დეპრესიული ეფექტი ვლინდება იმაში, რომ ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც ტერაქტების სიხშირე აჭარბებს საშუალო მაჩვენებელს, 122 ქეყნისთვის (17.51 შიდა ტერაქტებისთვის და 1.3 ტრანსნაციონალური ტერაქტებისთვის)[62] პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და საგარეო დახმარების უფრო დაბალი დონეა.

მეცნიერთა შორის არსებობს განსხვავებული შეხედულებები საერთაშორისო ვაჭრობაზე ტერორიზმის გავლენის შესახებ. ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ არსებობს მაღალი რისკები ვაჭრობისთვის იმ ქვეყნებში, რომლებიც ექვემდებარებიან ტერორისტულ თავდასხმებს. ეს მოსაზრება მტკიცდება 200 ქვეყნის ანალიზით, 1960-1993 წლების პერიოდში, რომელმაც აჩვენა, რომ წლის განმავლობაში ტერაქტების რიცხვის გაორმაგებისას ქვეყანა-პარტნიორების წყვილში, მათ შორის ვაჭრობა იმავე პერიოდში ეცემა თითქმის 4%-ით. თუნდაც ერთი ტერაქტის განხორციელებისას, ორი პარტნიორი-სახემწიფოდან ერთ-ერთის ტერიტორიაზე, ვაჭრობა მათ შორის მცირდება 91%-მდე იმ დონიდან, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ტერორიზმის არარსებობისას. ზოგიერთი შეფასებით, ტერორიზმის და სხვა შიდა და გარე კონფლიქტების დამამუხრუჭებელი გავლენა ვაჭრობაზე 30%-იანი ბაჟის შემოღების ექვივალენტურია. ამავე დროს, ვაჭრობაზე ტერაქტების გავლენის უფრო ზომიერი შეფასებები აჩვენებს, რომ ტერორიზმი ახდენს მასზე მცირე და თვით ნულოვან გავლენასაც კი მოკლევადიან პერიოდში, თუმცა საშუალოვადიან პერიოდში (ტერაქტიდან წელიწადნახევარზე მეტი) გავლენა მნიშვნელოვანია.

უფრო სრულ სურათს იძლევა რესურსების გადანაწილების შესაძლებლობების გათვალისწინება. თუ ტერორიზმისგან მეტისმეტად დაზარალდა ერთი რესურსი (მაგალითად, მიწა) მეორესთან (მაგალითად, სამუშაო

[62] Бандиопадхия С., Сандлер Т., Юнас Дж., 2015, с. 27

ძალასთან) შედარებით, რესურსები გადაედინება შრომატევად დარგებში. ამასთან, თუ ქვეყანა შრომატევადი საქონლის ექსპორტიორია, შრომატევად დარგებში შეიძლება მოხდეს წარმოების ზრდა და ექსპორტის გადიდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუმცა ტერორიზმის შედეგად, ტრანსაქციური ხარჯების ზრდის გამო, შეიძლება შემცირდეს რომელიმე კონკრეტული პროდუქციით ვაჭრობა, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება მოხდეს მთლიანად ვჭრობის როგორც შემცირება, ისე ზრდა.

ცხრილი 3.1.

ტერორიზმისგან ყველაზე დაზარალებული ქვეყნები მოკლულთა რაოდენობის მიხედვით

2000	2002	2004	2006	2008	2010	2012	2014	2016	2017	
16	14	6	4	3	3	1	3	2	1	ავღანეთი
30	24	1	1	1	1	2	1	1	2	ერაყი
57	23	18	7	18	11	4	2	4	3	ნიგერია
21	28	32	20	5	7	7	6	6	4	სომალი
57	52	29	31	27	50	5	5	3	5	სირია
12	10	5	6	2	2	3	4	5	6	პაკისტანი
57	52	16	21	50	53	24	19	13	7	ეგვიპტე
15	22	23	18	7	10	15	15	9	8	კონგო (დემ. რესპ)
57	52	40	45	46	17	46	9	17	9	ცენტრ. აფრიკის რესპ.
1	3	4	3	4	4	7	15	12	10	ინდოეთი

წყარო: START GTD, IEP Calculation

გლობალური ტერორიზმის ინდექსის (GTI) 2018 წლის ანგარიშის თანახმად, ტერორიზმის მიზეზით სიკვდილიანობა მესამე წელია მცირდება, 2014 წლის პიკური მაჩვენებლის შემდეგ. გლობალური ტერორიზმის მონაცემთა ბაზის (GTD)მიხედვით, 1970 წლიდან 2017 წლამდე ტერორისტული აქტებისა და დაღუპულთა და დაშავებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა 2014 წელს (16 309 ტერორისტული აქტი, 44 490 დაღუპული და 41 128 დაშავებული).

ადამიანური სიცოცხლის შთანთქმის თვალსაზრისით, ტერორიზმისგან მიღებული ზარალის შეფასება შეუძლებელია (ცხრილი 3.2.), მაგრამ ლიტერატურაში შეიძლება მოიძებნოს ტერორიზმისგან ქვეყნების ეკონომიკათა დანაკარგების შეფასებები:

- 2016 წლის 22 მარტს ბრიუსელის აეროპორტსა და მეტროსადგურ მალბეკში, ტერორისტული აფეთქებების შედეგად, ბელგიის ეკონომიკის დანაკარგმა შეადგინა მშპ-ის 0.1%, დაახლოებით, 454 მლნ დოლარი;
- 2015 წლის 13 ნოემბერს პარიზის კლუბში „ბატაკლან“ ტერაქტი საფრანგეთის ეკონომიკას 2 მლრდ ევრო დაუჯდა და მან შეადგინა საფრანგეთის მშპ-ის 0.1%;
- დანაკარგები 2004 წლის 11 მარტს მადრიდში განხორციელებული ტერაქტებიდან შეფასებულია 212 მლნ ევროდ, რაც მადრიდის მშპ-ის 0.6% ანუ ესპანეთის მშპ-ის 0.03%-ია;
- ისლამელი ტერორისტების მოქმედებები ალჟირში 1996-2001 წწ. დაუჯდა ამ ქვეყნის ეკონომიკას 16 მლრდ. დოლარი;
- პალესტინელი ტერორისტების მიერ 2002 წ. ნოემბერში კენიაში განხორციელებული ტერაქტების სერიის შემდეგ, ტურისტების ნაკადი მკვეთრად შემცირდა: თუ ადრე ყოველწლიურად ტურისტებიდან 500 მლნ. დოლარს იღებდა, ტერაქტების შემდეგ ტურისტული ინდუსტრიის დანაკარგები დღე-ღამეში 1 მლნ. დოლარს შეადგენდა;
- 2002 წ. ოქტომბერში ინდონეზიაში კუნძულ ბალიზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ ამ ქვეყნის ეკონომიკის ზარალმა მეპ-ის 1% შეადგინა;
- კოლუმბიაში, სადაც აქტიურად მოქმედებენ როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენე ტერორისტული დაჯგუფებები, უცხოური ინვესტიციები იშვიათობად იქცა, ხოლო ცხოვრების დონე 45%-ით უფრო დაბალია, ვიდრე, უშუალოდ, ლათინურ ამერიკაში.

ცხრილი 3.2.

ყველაზე ცნობილი ტერაქტები 2001-2019 წწ.

წელი	ტერორისტული აქტები
2019	21 აპრილი - დაიბომბა 3 ეკლესია და 3 ფეშენებელური სასტუმრო შრი-ლანკის ტერიტორიაზე (დაიღუპა 258, დაშავდა 500-ზე მეტი)
2018	27 იანვარი - სასწრაფო დახმარების მანქანით თავდასხმა განხორციელდა ქაბულში ავღანეთის სამთავრობო ოფისებთან (დაიღუპა 103, დაშავდა 235) 13 ივლისი - სუიციდური ბობმების ამოქმედება პაკისტანის ერთ-ერთი პარტიის კანდიდატის ლიკვიდაციის მიზნით მასტუნგში, პაკისტანი (დაიღუპა 149, დაშავდა 186) 25 ივლისი - სუიციდური ბომბების აფეთქება, მძევლების აყვანა და სროლა სირიაში (დაიღუპა 255 + 63 ტერორისტი, დაშავდა 180)
2017	11 მარტი, 15 მარტი - 3 შეიარაღებული თავდასხმა დამასკოში, სირია (დაიღუპა 114, დაშავდა 150-ზე მეტი) 15 აპრილი - აფეთქებები ალეპოში, სირია (დაიღუპა 126 (მათ შორის 60 ბავშვი), დაშავდა 60-ზე მეტი) 21 აპრილი - შეარაღებული თავდასხმა ავღანეთის სამხედრო ბაზაზე ბალხის პროვინციაში, ავღანეთი (დაიღუპა 256, დაშავდა 160-ზე მეტი) 20 მაისი - თავდასხმა საჰაერო ბაზაზე, ლიბია (დაიღუპა 141, დაშავდა 100-ზე მეტი) 31 მაისი - დაიბომბა ქაბულის დიპლომატიური კვარტალი, ავღანეთი (დაიღუპა 150, დაშავდა 413) 14 ოქტომბერი - დაიბომბა მოგადიშუ, სომალი (დაიღუპა 655, დაშავდა 303) 24 ნოემბერი - მანქანების აფეთქება და სროლა ბირ ალ-აბედში, თავდასხმა სინაის მეჩეთზე, ეგვიპტე (დაიღუპა 311, დაშავდა 128)
2016	11 იანვარი - თავდასხმა მაღაზიებსა და მეჩეთზე შარაბანში, ერაყი (დაიღუპა 100-ზე მეტი, დაშავებულთა ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი) 16 იანვარი - სირიელი ჯარისკაცებისა და მოსახლეობის მასობრივი ხოცვა, სირია (დაიღუპა 300-ზე მეტი, დაშავებულთა ზუსტი რიცხვი დაუდგენელია)

	21 თებერვალი - სიიდაჰ-ზეინაბის მეჩეთთან ბომბების ამოქმედება, სირია (დაიღუპა 134, დაშავდა 180) 17 მაისი - ბაღდადის დაბომბვა, ერაყი (დაიღუპა 101, დაშავდა 194-ზე მეტი) 23 მაისი - თვითმკვლელი ბომბების ამოქმედება ჯაბლეჰსა და ტარტუსში, ერაყი (დაიღუპა 184, დაშავდა 200) 3 ივლისი - მასობრივი დაბომბვა ბაღდადში, ერაყი (დაიღუპა 342, დაშავდა 246-ზე მეტი) 24 ნოემბერი - თვითმკვლელი ტერორისტების მიერ აფეთქებული სატვირთო ჰილაჰში, ერაყი (დაიღუპა 125, დაშავდა 95)
2015	3-7 იანვარი - მასობრივი ხოცვა ბაგაში, ნიგერია (დაიღუპა 150-ზე მეტი, დაშავებულთა დაზუსტებული ინფორმაცია არ არსებობს) 20 მარტი - მეჩეთის დაბომბვა სანაში, იემენი (დაიღუპა 137, დაშავდა 345) 1 აპრილი - შეიარაღებული თავდასხმა გარისას უნივერსიტეტზე, კენია (დაიღუპა 151, დაშავდა 79) 25 ივნისი - მასობრივი ხოცვა კობანიში, სირია (დაიღუპა 146) 1-2 ივლისი - შეიარაღებული თავდასხმა სხვადასხვა მეჩეთზე კუკავაში, ნიგერია (დაიღუპა 145, დაშავდა 17) 17 ივლისი - ხალხმრავალ ადგილას ავტომობილის აფეთქება კან ბანი საადში, ერაყი (დაიღუპა 120, დაშავდა 170) 20 სექტემბერი - ბომბების ამოქმედება მაიდუგურში, ნიგერია (დაიღუპა 135, დაშავდა 150-ზე მეტი) 10 ოქტომბერი - თავი აიფეთქეს თვითმკვლელმა ტერორისტებმა ანკარაში, თურქეთი (დაიღუპა 102, დაშავდა 508) 31 ოქტომბერი - ბომბის აფეთქება (სავარაუდოდ) მთვითმფრინავში სიანის თავზე, ეგვიპტე (დაიღუპა ყველა 224 მგზავრი) 13 ნოემბერი - მძევლების აყვანა, სროლა და სუიციდური ბომბების ამოქმედება პარიზში, საფრანგეთი (დაიღუპა 130, დაშავდა 200-ზე მეტი)
2014	12 ივნისი - თავდასხმა ერაყის საჰაერო ძალების კადეტებზე ტიკრიტში, ერაყი (დაიღუპა 1566)
2008	26 ნოემბერი - აფეთქებები და შეიარაღებული თავდასხმა მუმბაის 12 სხვადასხვა წერტილში, ინდოეთი (დაიღუპა 166, დაშავდა 300-ზე მეტი)

2007	3 მარტი - რუსული კომპანიის ავტობუსის აფეთქება ალჟირში (დაიღუპა 4, დაიჭრა 5 ადამიანი) 22 ნოემბერი - ავტობუსის აფეთქება ჩრდილოეთ ოსეთში (დაიღუპა 5, დაიჭრა 12 ადამიანი)
2006	24 აპრილი - აფეთქებები დაჰაბაში (დაიღუპა 33, დაიჭრა 150 ადამინი) 17 მაისი - ინგუშეთის შინაგან საქმეთა მინისტრის აფეთქება (დაიღუპა 7 ადამიანი)
2005	12 ივნისი - მოსკოვი-გროზნოს მატარებლის აფეთქება (დაიჭრა 42 ადამიანი) 23 ივლისი - აფეთქებები შარმ ელ-შეიხის კურორტზე (დაიღუპა 88, დაიჭრა 200-ზე მეტი) 7 და 21 ივლისი - აფეთქებები ლონდონში ავტობუსსა და მეტროში (დაიღუპა 52, დაიჭრა 700-ზე მეტი) 13 ოქტომბერი - თავდასხმა ნალჩიკზე (დაიღუპა 45, დაიჭრა 100)
2004	6 თებერვალი, 31 აგვისტო - აფეთქებები მოსკოვის მეტროში (დაიღუპა 51, დაშავდა 175) 11 მარტი - აფეთქებები მადრიდის მატარებლებში (დაიღუპა 191, დაშავდა 2000-მდე) 21 აპრილი - საუდის არაბეთის უშიშროების სამინისტროს აფეთქება (დაიღუპა 10, დაშავდა 125) 21-22 ივნისი - „ბოევიკების“ შეჭრა ინგუშეთში (დაიღუპა 98, დაიჭრა 104) 1-3 სექტემბერი - სკოლის დაკავება ბესლანში (დაიღუპა 334, დაშავდა ასეულობით ადამიანი)
2003	5 ივნისი - სამხედრო აეროდრომის პერსონალის ავტობუსის აფეთქება მოზდოკში (დაიღუპა 19, დაშავდა 24 ადამიანი) 1 აგვისტო - სამხედრო ჰოსპიტალის აფეთქება მოზდოკში (დაიღუპა 50, დასავდა 82 ადამიანი) 5 აგვისტო - აფეთქება სასტუმრო ჯაკარტაში (დაიღუპა 14, დაშავდა 150) 15 ნოემბერი - აფეთქებების სერია სტამბულში (დაიღუპა 62, დაშავდა 450-ზე მეტი ადამიანი)

	5 დეკემბერი - ელექტრომატარებლის აფეთქება ესენტუკში (დაიღუპა 47, დაშავდა 10 ადამიანი), 9 დეკემბერი - აფეთქება მოსკოვში სასტუმრო „ნაციონალთან“ (დაიღუპა 6, დაშავდა 14)
2002	12 ოქტომბერი - აფეთქება ღამის კლუბში კუნძულ ბალიზე (დაიღუპა 202, დაშავდა 309 ადამინაი), 23-26 ოქტომბერი - 700-მდე მძევლის აყვანა „ნორდ-ოსტის“ შოუზე მოსკოვში (დაიღუპა 130 ადამიანი), 28 დეკემბერი - ჩეჩნეთის მთავრობის სახლის აფეთქება გროზნოში (დაიღუპა 71, დაშავდა ასეულობით ადამიანი)
2001	24 მარტი - ავტომობილების აფეთქება მინვოდში, ესენტუკსა და შერკესკში (დაიღუპა 21, დაშავდა 140), 11 სექტემბერი - ტერაქტი ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქება - დაიღუპა 2749, დაშავდა 2261 ადამიანი)

(შედგენილია: https://en.wikipedia.org/wiki/List_of_major_terrorist_incidents#2019 და Global Terrorism Database-ის მონაცემთა მიხედვით)

უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმის გავლენა „მესამე სამყაროს“ ქვეყნების ეკონომიკაზე ძლიერია, მაგრამ შედარებით მოკლევადიანი ხასიათისაა. გამონაკლისია კოლუმბია და ლიბანი, რომელთა ეკონომიკა განიცდის არამარტო მოკლევადიან რყევებს, არამედ, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, შესამჩნევად სუსტად ვითარდება.

ტერორიზმისგან ძლიერ შეიძლება დაზარალდეს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაც:

- ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ბასკური ტერორისტული დაჯგუფებების საქმიანობაა იმის მიზეზი, რომ ბასკეთი რჩება ესპანეთის ეკონომიკურად ჩამორჩენილ მხარედ: ბასკონიაში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები 10%-ით დაბალია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში;
- 2000-იან წწ. ისრაელში ტერორისტების მკვეთრად გააქტიურების შედეგად ეროვნული ეკონომიკა აღმოჩნდა კრიზისში, მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა უცხოური ინვესტიციები და ა.შ. ისრაელის ბანკის

გამოთვლებით, ტერორისტების მიერ ქვეყნისთვის მიყენებულმა ზარალმა მშპ-ის 4% შეადგინა;

- ტერორიზმის შედეგად ჩრდილოეთი ირლანდია დიდხანს რჩებოდა გაერთიანებული სამეფოს ყველაზე ღარიბ და სუსტად განვითარებულ რეგიონად. ეკონომიკური განვითარება სწრაფი ტემპებით დაიწყო მხოლოდ 1990-იანი წლებიდან, როდესაც „ირა“-ს აქტიურობა მკვეთრად შემცირდა;
- აშშ-ში 2001წ. 11 სექტემბრის ტერაქტების შედეგად ძირითადი საფონდო ინდექსები 1998წ. კრიზისის დონემდე დაეცა (კერძოდ, დოუ ჯონსის ინდექსი აღმოჩნდა 8500 პუნქტით ქვემოთ). ტერაქტიდან ერთი წლის განმავლობაში აშშ-ის ფასიანი ქაღალდების ბაზრის დანაკარგებმა 2 ტრლნ. დოლარი შეადგინა. პოლიტიკური ანალიზის ამერიკული ეროვნული ცენტრის ექსპერტებმა 2003 წ. ამ ტერაქტიდან აშშ-ის ეკონომიკის პირდაპირი დანაკარგები შეაფასეს 100 მლრდ. დოლარად (მოგვიანებით იგი შეფასდა უფრო დიდ თანხად - 135 მლრდ. დოლარად). ვინაიდან ზარალი განიცადეს მსოფლიოს სხვა ქვეყნებმაც, ამ ტერაქტებიდან ჯამური მსოფლიო ეკონომიკური ზარალი 2 ტრლნ. დოლარად ფასდება.

ტერორიზმის გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია ცალკეული დარგების ეკონომიკაზეც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურიზმი, დაზღვევა და ნავთობმომპოვებელი სფეროები. ყველა ეს დარგი ძლიერ გლობალიზირებულია, ამიტომ მათზე გავლენას ახდენს ნებისმიერი ტერაქტი, თვით მეზობელ რეგიონშიც კი (მაგალითად, თვითმფრინავის გატაცება ან აფეთქება ავიაგადაზიდვების შემცირებას იწვევს თითქმის მთელ მსოფლიოში). ტერორის შედეგების გლობალიზაციის ეფექტი ყველაზე შესამჩნევად აისახა ტურისტული ინდუსტრიის მსოფლიო კრიზისში 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ. საინტერესოა, რომ ტურიზმის სფეროში ყველაზე მეტად დაზარალდა არა აშშ, არამედ სხვა ქვეყნები. უცხოელ ტურისტთა რიცხვი აშშ-ში შემცირდა 13%-ით, ხოლო, მაგალითად, საფრანგეთში - 20%-ით. სტამბულში ჩამსვლელთა რაოდენობა შემცირდა 50-60%-ით (წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით). სადაზღვევო კომპანიები, რომელთაც, დაახლოებით, 40 მლრდ დოლარის კომპენსირება უნდა მოეხდინათ,

თავიანთი ექსტრაორდინალური დანაკარგების ნავთობის ბიზნესზე გადაკისრებას შეეცადნენ. მაგალითად, კომპანია „Lloyds“-მა, აშშ-ის მოვლენების შემდეგ, “ომის დაწყების რისკის“ მქონე ქვეყნების სიაში შეიყვანა ეგვიპტე, პაკისტანი და სპარსეთის ყურის ქვეყნები. ამასთან, გაიზარდა სადაზღვევო პრემიები იმ გემებისთვის, რომელთაც გადაჰქონდათ ნავთობი სპარსეთის ყურიდან ან გადიოდნენ სუეცის არხს. შედეგად, გაძლიერდა ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდის ტენდენცია. ამავე დროს, ტერაქტები მასტიმულირებელ გავლენას ახდენენ ეკონომიკის ზოგიერთ დარგზე (მაგალითად, შეიარაღების და უსაფრთხოების სისტემების, აგრეთვე კომუნიკაციის საშუალებათა მწარმოებელი დარგები).

ყოველწლიურად საფრანგეთში ჩადის 80 მლნ-ზე მეტი ადამიანი მთელი მსოფლიოდან, ტურისტულ სექტორზე მოდის ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 7% (დაახლოებით 196 მლრდ დოლარი). 2016 წლის მაისში საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 2015 წლის 14 ნოემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ტურისტების რიცხვი რუსეთიდან შემცირდა 3-ჯერ, იაპონიიდან 56%-ით, ჩინეთიდან 14%-ით[63]. ექსპერტები საფრანგეთის ზარალს ამ ტერაქტიდან აფასებენ 3 მლრდ დოლარად. 2015 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით ფრანგული ტურისტული კომპანიის Accor-ისაქციები, რომელიც ფლობს სასტუმროების საერთაშორისო ქსელს, დაეცა 7.5%-ით, ავიაკომპანია Air France-ის 6.5%-ით, სარკინიგზო ოპერატორის „ევროტუნელი“ და პარიზის აეროპორტების შარლ დე გოლის და ორლის აქციები 4%-ით[64]. სხვადასხვა შეფასებით თუ ნიცაში ტერაქტიდან საფრანგეთი დაკარგავს ტურისტების ნაკადის თუნდაც ერთ მესამედს, ეკონომიკის დანაკარგებმა შეიძლება მიაღწიოს 65 მლრდ დოლარს.

ტერორიზმის შედეგები ეკონომიკისთვის არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ სექტორებით. აშშ-ის სადაზღვევო სექტორის დანაკარგები 11 სექტემბრის

---

[63] Цена страха: Кому выгоден теракт в Ницце? / Федеральное бизнес-агентство «Экономика сегодня». – 15.07.2016. – https://rueconomics.ru/185312-cena-straha-komu-vygoden-terakt-v-nicce (მონახულების დრო 11.06.2019)

[64] Нечет Т. Из-за терактов Франция потеряла на туризме три миллиарда долларов // Комсомольская правда. – М., 2015. http://kp.ua/author/3169/ (მონახულებისდრო: 20.05.2019)

ტერაქტიდან ერთ-ერთი ვერსიით შეფასებულია 30-58 მლრდ დოლარით[65]. ტერაქტის კიდევ ერთი შედეგი იყო ამერიკული სადაზღვევო კომპანიების მიერ სადაზღვევო პრემიის გაზრდა საშუალოდ 30%-ით, რაც შეეხო ეკონომიკის ბევრ დარგს ავიამშენებლობას, ტრანსპორტს, ენერგიის წარმოებას და სხვა.

ახალი გამოწვევები თანამედროვე ეკონომიკაში ბადებს შესაბამის მიწოდებას, ხოლო ახალი საფრთხეები ასტიმულირებს ინოვაციებს და ტექნოლოგიურ პროგრესს. მაგალითად, ტერორიზმის მაღალი საფრთხის გამო ისრაელმა მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა აითვისა უსაფრთხოების სისტემების წარმოება და ამჟამად მათ ექსპორტსაც ეწევა. ასეთი სისტემების წარმოების და მომსახურების ბაზრების მოცულობა შეადგენს 8-9 მლრდ დოლარს. აქტიურად ვითარდება დაკავშირებული დარგებიც (ინფრომაციის შენახვის სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფა, საუბრის და სახეების ამოცნობა და ა.შ.). გარდა ამისა,უსაფრთხოების საკითხებით დაკავებულ სტრუქტურებში იქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

3.3. ტერორიზმის ეკონომიკური დანახარჯების გაზომვა

იმისათვის, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული სხვადასხვა ეკონომიკური ხარჯები განისაზღვროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების განსხვავება. მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტული თავდასხმები მნიშვნელოვნად აზიანებს ქონებას და იწვევს მსხვერპლს, ტერორიზმის ხარჯები დაკავშირებულია არაპირდაპირ ხარჯებთანაც.

ტერორიზმის პირდაპირი ხარჯები მოიცავს დაზიანებული ან განადგურებული ქარხნების, აღჭურვილობების, საცხოვრებლების, შენობა-ნაგებობებისა და პროდუქციის ღირებულებას. მას შემდეგ, რაც ეკონომიკური საქმიანობა მოიშლება, დაკარგული ხელფასები და შემოსავლის ნებისმიერი სხვა ფორმა ტერორიზმის პირდაპირი ხარჯების ნაწილი ხდება.

[65] Rigoulet-Roze D. Le coût économique du terrorisme: L'équation impossible? // Problèmes écon. – Paris, 2016. – N 3138, p. 57

როგორც აშშ-ის ეკონომიკის ანალიზისა და სტატისტიკის ადმინისტრირების ბიუროს 2001 წლის ანგარიშიდან[66] ჩანს კერძო საკუთრების განადგურებით მიღებულმა ზარალმა (ჩამოვარდნილი ოთხი თვითმფრინავის ღირებულების ჩათვლით) შეადგინა 14 მლრდ დოლარი, ხოლო სახელმწიფო ორგანოების დანაკარგი კი 2.2 მლრდ იყო. სამუშაო პროცესის შეჩერების შედეგად დაკარგულმა ხელფასებმა 3.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, დასუფთავების ხარჯები კი 10 მლრდ აშშ დოლარად შეფასდა.

9/11-ის პირდაპირი ხარჯები
სტრუქტურები და აღჭურვილობა: • კერძო ბიზნესი: 14 მლრდ აშშ დოლარი • სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობა: 1.5 მლრდ აშშ დოლარი • ფედერალური მთავრობა: 0.7 მლრდ აშშ დოლარი დასუფთავების ხარჯები: 10.0 მლრდ აშშ დოლარი ხელფასები: 2.5 მლრდ აშშ დოლარი კერძო სექტორში დასაქმებულები: 3.3 მლრდ აშშ დოლარი საჯარო სექტორში დასაქმებულები: 0.8 მლრდ აშშ დოლარი

აშშ-ის ტრანსპორტირების დეპარტამენტის 2005 წლის მემორანდუმის თანახმად, ადამიანის სიცოცხლის შესაბამისი სტატისტიკური ღირებულება, სავარაუდოდ, 5.8 მლნ აშშ დოლარია. ამის გათვალისწინებით, თავდასხმების შედეგად დაზარალებულთა ტკივილისა და ტანჯვის გამოკლებით, 9/11-ის პირდაპირი ხარჯების შეფასება 45.9 მლრდ აშშ დოლარად შეიძლება.

იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკა რეცესიაში იყო, 9/11-ის შემდეგ უმუშევრობის დონე მკვეთრად გაიზარდა. აშშ-ის შრომის სტატისტიკის ბიურო (2003)[67] იტყობინება, რომ 145 ათასმა თანამშრომელმა დაკარგა სამუშაო ამ

[66] SURVEY OF CURRENT BUSINESS December 2001 •Volume 81 • Number 12 https://fraser.stlouisfed.org/files/docs/publications/SCB/2000-09/SCB_122001.pdf (მონახულების დრო: 12.05.2019)

[67] Current Labor Statistics https://www.bls.gov/opub/mlr/2003/ (მონახულების დრო: 07.07.2019)

თავდასხმის შედეგად. პ. ნავაროსა და ა. სპენსერის[68] გამოთვლით ზარალი 47 მლრდ აშშ დოლარია. ჰ. კენროიტერისა და სხვების[69] მიხედვით, 9/11- ის პირდაპირი დანაკარგები იყო 80-90 მლრდ აშშ დოლარი. ამ ყველაფერს თუ დავამატებთ სავაჭრო ცენტრის აღდგენის ხარჯებს, ეს სავარაუდოდ გაორმაგებს ამ რიცხვს. გასათვალისწინებელია სადაზღვევო კომპანიების დანაკარგები თავდასხმის შედეგად დაზარალებულთათვის ანაზღაურებული თანხით. გარდა ამისა, თავდასხმების შედეგად ბევრი სხვა ირიბი ხარჯი არსებობს. თავდასხმის არაპირდაპირი ხარჯების ზუსტად გაზომვა გაცილებით უფრო რთულია. ნიშანდობლივია, რომ ეს დანაკარგები სექტორებს შორის თანაბრად არ გადანაწილდებულა, მან განსაკუთრებით დააზარალა მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია. ჩ. ბოგუსლასკის, ჰ.იტოსა და დ. ლის[70] შეფასების მიხედვით, თავდასხმების შემდეგ საჰაერო ტრანსპორტზე მოთხოვნა 7.4%-ით შემცირდა, რაც დაახლოებით 1.5 მლრდ დოლარია. ნავარომ და სპენსერმა გამოითვალეს ამერიკის საფონდო ბირჟებზე სავაჭრო აქციების კაპიტალიზებული ღირებულება 9/11-მდე და 9/11-ის შემდეგ. მათ აღმოაჩინეს, რომ საბაზრო აქციების საერთო ღირებულება 1.7 ტრლნ აშშ დოლარით შემცირდა. გლობალური უსაფრთხოების ანალიზის ინსტიტუტი აფასებს, რომ 9/11-ის ღირებულება აჭარბებს 100 მლრდ დოლარს, მათ შორისაა 40 მლრდ დოლარი საგანგებო ფედერალური ფონდისთვის (აეროპორტის უსაფრთხოების გაძლიერება, მთავრობის აეროპორტის უსაფრთხოების დაცვა, თვითმფრინავების ანტიტერორისტული მოწყობილობით აღჭურვა, ავღანეთში ოპერაციების ღირებულება და სხვ.). რადგან აღნიშნული ზოგიერღი ხარჯი სამომავლოდ ტერორისტული ქმედებებისგან თავის დასაცავადაა განსაზღვრული, რთულია მთლიანად 9/11-ის დანახარჯებს მიაწერო.

---

[68] Navarro, Peter and Aron Spencer, "September 11, 2001: Assessing the Costs of Terrorism," Milken Institute Review, Fourth Quarter 2001, 16-31.

[69] Kunreuther, Howard, Erwann Michel-Kerjan and Beverly Porter. "Assessing, Managing and Financing Extreme Events: Dealing with Terrorism," Working Paper 10179, National Bureau of Economic Research, Cambridge, MA. 2003.

[70] Boguslaski Charles, Ito Harumi and Lee Darin., Entry Patterns in the Southwest AirlinesRoute System, Review of Industrial Organization 25: 2004, 317–350

რ. შაპირო[71], გ. ბეკერი და კ. მერფი[72] მიიჩნევენ, რომ ტერორისტული მოვლენები და ბუნებრივი კატასტროფები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებაიან. ტერორისტები ცდილობენ მიიღონ სარგებელი შიშისა და დაშინების ზოგადი ატმოსფეროს შექმნით. იზოლირებული ბუნებრივი კატასტროფები და ერთჯერადი ტერორისტული თავდასხმები განიხილება როგორც მოკლევადიანი საფრთხეები. ამის საპირისპიროდ, ტერორიზმის მდგრადი დონის მქონე რეგიონებში (როგორიცაა - ისრაელი, კოლუმბია, ქაშმირი და ბასკური რეგიონი) მცხოვრები ადამიანები მუდმივად ტერორისტული მოვლენების მოლოდინში არიან. ამიტომაც, ისინი სრულად იყენებენ თავიანთ რესურსებს, რათა უზრუნველყონ საკუთარი თავისა და ქონების დაცვა მომავალი ტერორისტული თავდასხმებისაგან. მსგავსი სახელმწიფო უსაფრთხოების ხარჯები უფრო მაღალია, ვიდრე გრძელვადიან ეკონომიკურ საქმიანობაზე გადასახადი.

აღსანიშნავია, რომ ტერორიზმის ეკონომიკურ შედეგებთან გამკლავებისას მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის ზომა. დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში პოლიტიკის შემქმნელებს შეუძლიათ გამოიყენონ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები ფართომასშტაბიანი ტერორისტული თავდასხმების შედეგების გადასალახად. 9/11 თავდასხმების შემდეგ, კერძო სექტორის ლიკვიდურობის მოთხოვნის ზრდის საპასუხოდ, ფედ-მა მკვეთრად შეამცირა მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები, და 12 სექტემბერს კი გაზარდა მოკლევადიანი კრედიტი ყოველდღიურად საშუალოდ 24 მლრდ აშშ დოლარიდან 61 მლრდ აშშ დოლარამდე. ამის საპირისპიროდ, ბევრი მცირე ეკონომიკის მთავრობას არ აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს ციკლური მონეტარული ან ფისკალური პოლიტიკა. განვითარებად ქვეყნებში, ცენტრალურ ბანკებს არა აქვთ საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე ხელმისაწვდომობა და ფისკალურ ხელისუფლებას არ შეუძლია გადაამისამართოს მძიმე ხარჯების დონე.

[71] Shapiro, Robert, "Al-Qaida and the GDP: How Much Would Terrorism Damage the U.S. Economy? Less Than You'd Expect." Slate, 2004.

[72] Becker, Gary S. and Kevin M. Murphy, "Prosperity Will Rise Out of the Ashes." Wall Street Journal (Eastern edition), 29 October 2001, A.22.

როგორც ტ. სანდლერმა და ვ. ენდერსმა[73] აღნიშნეს, არსებობს მასშტაბის ეფექტი, სადაც ზიანის ნებისმიერ დონეს ექნება უფრო მკვეთრი გავლენა პატარა ქვეყანაში, ვიდრე დიდში. გარდა ამისა, მსხვილი ეკონომიკები უფრო მიდრეკილნი არიან დივერსიფიცირებისკენ, ვიდრე მცირე ეკონომიკები. მაგალითად, ტერორისტულმა კამპანიამ, რომლის სამიზნე ტურისტებია, შეიძლება გაანადგუროს პატარა ქვეყნების ეკონომიკა, რომლის მშპ-შიც ტურიზმს დიდი წილი აქვს. აშშ-მა კი ტურიზმის შემოსავლები მალევე დაიბრუნა.ტ. სენდლერი და ვ.ენდერსი ამტკიცებენ, რომ ბაზარზე დაფუძნებული ეკონომიკა შედარებით კარგად ახერხებს ტერორიზმით გამოწვეულ რისკებზე რეაგირებას. ზოგადად ტერორიზმი ხშირად საჭიროებს რესურსების გადანაწილებას სექტორებს შორის. ტერორიზმისგან დაზარალებისკენ მიდრეკილი სექტორები ამცირებენ როგორც მოხმარებას, ისე წარმოებას, თავს იკავებენ სარისკო საქმიანობისგან და ცდილობენ ჩაანაცვლონ უსაფრთხო საქმიანობით. რესურსების საჭირო რელოკაცია გამარტივებულია ფასების სისტემით, რომელიც სათანადოდ ასახავს რისკებს. მაგალითად, ა. აბადი და ს. დერმისი[74]გვიჩვენებენ, რამდენად სწრაფად შეიცვალა ჩიკაგოს ბაზრის ვაკანსიის მაჩვენებელი 9/11-ის შემდეგ ტერორიზმის რისკის შესაფასებლად. კომერციული უძრავი ქონების ფასები ეცემა, სადაც ვაკანსიების დონე მაღალია და იზრდება, სადაც ვაკანტური ადგილი დაბალია. ამრიგად, ფასების სისტემა ხელს უწყობს იმ ფირმებს, რომლებიც განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ტერორიზმის რისკებზე, რათა გადავიდნენ შედარებით უსაფრთხო ტერიტორიებზე და ხელს უწყობენ ფირმებს, რომლებიც არ არიან განსაკუთრებით მგრძნობიარენი ტერორიზმის რისკებზე იმოძრაონ ცენტრისკენ. ამ ტიპის სიგნალების მექანიზმი არ არსებობს მბრძანებლურ ეკონომიკაში.

---

[73] Sandler, Todd and Walter Enders. “Economic Consequences of Terrorism in Developed and Developing Countries: An Overview” in Philip Keefer and Norman Loayza, eds. Terrorism, Economic Development, and Political Openness (Cambridge Univ. Press: Cambridge, U.K.) 2008. pp, 17 – 47.

[74] Abadie, Alberto and S. Dermisi. “Is Terrorism Eroding Agglomeration Economies in Central Business Districts? Lessons from the Office Real Estate Market in Downtown Chicago,” Journal of Urban Economics, 2008, 64, 451-63.

კიდევ ერთი ბაზარი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არის სადაზღვევო ბაზარი. ყველა ბაზარი არ არის სრულყოფილი და არსებობს ბევრი რისკი, რომელიც არ არის სათანადოდ შეფასებული[75]. ეს განსაკუთრებით ეხება მასშტაბურ რისკებს, როგორიცაა ტერორიზმის რისკი, რაც მოიცავს კატასტროფულ ზარალს. სადაზღვევო ხარჯების გადაჭარბება იწვევს ბაზრის ჩავარდნას. ბაზრის გაუმართაობასთან დაკავშირებული არაეფექტიანობის ხარჯები, რასაკვირველია, ტერორიზმის საერთო ღირებულების ნაწილია. ჩავარდნის გადასალახად ამგვარი მაღალი რისკებით აშშ-ში კონგრესმა მიიღო ტერორიზმის რისკის დაზღვევის აქტი (TRIA), მოთხოვნით კომერციულმა მესაკუთრეებმა / დაზარალებულთა დამზღვევებმა უზრუნველყოს სერტიფიცირებული ტერორისტული ღონისძიებების ღირებულების გადაფარვა. TRIA- ს ფარგლებში, მთავრობა გადაუხდის სადაზღვევო კომპანიებს მათი დანაკარგების 85%-ს, მას შემდეგ რაც ისინი გადაუხდიან დაზარალებულებს. 2007 წელს კონგრესმა გააგრძელა პროგრამა, რომელსაც ერქვა ტერორიზმის რისკის დაზღვევის პროგრამის რეავტორიზაციის აქტი (TRIPA). მიუხედავად იმისა, რომ TRIA-მ და TRIPA-მ შეძლეს გაეზარდათ ტერორიზმის გადაფარვა, 2008 წლის მთავრობის ანგარიშვალდებულების ოფისის (GAO) ანგარიშის მიხედვით, სადაზღვევო კომპანიებს არ შეუძლიათ დაფარონ ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური ან ბირთვული (CBRN) თავდასხმებით გამოწვეული ზარალი. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ბაზრის ჩავარდნა ნარჩუნდება იმის გამო, რომ ვერ ხერხდება ფართომასშტაბიანი რისკების შეზღუდვა.

ტერორიზმს შეუძლია გამოიწვიოს ეკონომიკური დანახარჯები ვაჭრობის ჩაშლით, ქარხნებისა და ინფრასტრუქტურის განადგურებით და ადამიანთა სიცოცხლის მოსპობით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ტერორისტულ თავდასხმებს შეუძლია გამოიწვიოს არაპირდაპირი ხარჯები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ტურიზმის, საერთაშორისო ვაჭრობისა და მოკლევადიანი კაპიტალის ნაკადების გადინების გზით. თავიდან შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ

[75] Kunreuther, Howard and Michel-Kerjan Erwann. (2009) At War with the Weather: Managing Large Scale Risks in a New Era of Catastrophes. (MIT Press: Cambridge, Ma.)

ტერორიზმის დანახარჯების გაზომვა შესაძლებელია, ეკონომიკის თითოეული სეგმენტის და ინდივიდუალური ხარჯების შეკრებით. თუმცა, ასეთი მეთოდოლოგია პრობლემებთან არის დაკავშირებული. მაშინაც კი, თუ ცალკეულ სექტორულ ხარჯებს ზუსტად გავზომავთ, გაურკვეველი რჩება როგორ ავიცილოთ თავიდან ორმაგი დათვლა. მაგალითად, ე. ჩენის და ტ. სიმსის[76], კ. დრაკოს[77], რ. ელდერის და რ. მელნიკის[78] ნაშრომების მიხედვით, საფონდო ბირჟის ფასებზე ტერორიზმის ეფექტი ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, თუ აქტივების ბაზრები ეფექტურია, ეს შედეგები მხოლოდ ტერორიზმის რეალური დანაკარგების დისკონტირებულ ღირებულებას ასახავს. საავიაციო ინდუსტრიის მომგებიანობისა და ტურისტული შემოსავლის დაკარგვა, მართლაც, განსხვავებული გზებით გამოხატავს ერთი და იგივე ფენომენს. ბ. ბლუმბერგის, გ. ჰესისა და ა. ორფანიდესის[79] მიხედვით, დაანგარიშებულია მოსახლეობის ერთ სულზე ეკონომიკური ზრდის დანაკრგები ისეთ ქვეყნებში, სადაც ერთი ან მეტი ტრანსნაციონალური ტერაქტი მოხდა. შეფასდა 177 ქვეყანა 1996-2000 წლებში.

$$\Delta y_i = -1.200\ COM_i - 1.358\ AFRICA_i - 0.461 \ln y_0 + 0.142\ I/Y_i - 1.587\ T_i, \text{ (განტ. 1.)}$$

სადაც Δy_i არის i ქვეყნის ინდივიდუალური ზრდის მაჩვენებელი მთლიანი ნიმუშის მიხედვით, COM_i არის არასანავთობო სასაქონლო ექსპორტიორის ცვლადი, $AFRICA_i$ არის აფრიკული ერების ცვლადი, $\ln y_0$ წარმოადგენს მშპ-ის საწყის ღირებულებას, I/Y_i არის i ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის საინვესტიციო წილის საშუალო მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე, T_i მიუთითებს წლების საშუალო რიცხვს, რომელშიც მინიმუმ ერთი ტერორისტული მოვლენა იყო i ქვეყანაში. ყველა ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 1%-იანი დონით.

---

[76] Chen, Andrew H. and Thomas F. Siems, "The Effects of Terrorism on Global Capital Markets," European Journal of Political Economy, 2004, 20(2), pp. 249-66.

[77] Drakos, Konstantinos, "Terrorism-Induced Structural Shifts in Financial Risk: Airline Stocks in the Aftermath of the September 11th Terror Attacks," European Journal of Political Economy, 2004, 20(2), pp. 436-46.

[78] Eldor, Rafi and Rafi Melnick. "Financial Markets and Terrorism," European Journal of Political Economy, 2004, 20(2), pp. 367-86.

[79] Blomberg, S. Brock, Gregory D. Hess, and Athanasios Orphanides. "The Macroeconomic Consequences of Terrorism," Journal of Monetary Economics, 51(5), 2004, P. 1007-1032.

შეფასებები მიუთითებს აფრიკის ქვეყნების ზრდის მაჩვენებლებსა და არასანავთობო საქონლის ექსპორტიორთა 1.2%-იან ნიშნულზე, რაც სხვა ქვეყნებთან შედარებით, 1,358 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. ln y_0 კოეფიციენტი გამოსახავს ტენდენციას, რომ დიდ ქვეყნებს აქვთ უფრო დაბალი ზრდის ტემპები, ვიდრე პატარა ქვეყნებს, ხოლო I/Y_i კოეფიციენტი ასახავს იმ ქვეყნების ტენდენციებს, რომლებიც თავიანთი შემოსავლების მსხვილი აქციების ინვესტირებას ახდენენ მაღალი ზრდის ტემპით. ჩვენთვის მთავარი ტერმინი არის კოეფიციენტი ტერორიზმის ცვალებადობაზე. 1.587 კოეფიციენტი მიუთითებს იმაზე, რომ ყოველწლიურად ქვეყანა განიცდის ტერორისტულ ინციდენტს, მისი ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე არის 1,587 / 33 = 0.048 პროცენტული პუნქტი. შესაბამისად, თუ წელიწადში ერთი ინციდენტი მაინც ხდება, მისი ზრდა იქნება 1.567 პროცენტული პუნქტით ნაკლები. შედეგები, როგორც ჩანს, დამაჯერებელია და მათი დასკვნები საკმაოდ ძლიერია სხვა სპეციფიკაციებითა და სხვადასხვა შეფასების ტექნიკით. როდესაც ისინი ტერორიზმს და კონფლიქტის სხვა ფორმებს სვამენ იგივე განტოლებაში, ისინი აცხადებენ, რომ გარე ომებისა და შიდა კონფლიქტების ზრდის შედეგები უფრო დიდია, ვიდრე ტერორიზმის. ეს მოსალოდნელი შედეგიცაა, ვინაიდან ტერორიზმი არის ტაქტიკა, რომელსაც შეუძლია იყოს ან არ იყოს ჩაბმული ომში. შიდა კონფლიქტები, რომლებიც ტერორიზმს შეიცავს, გაცილებით უფრო დიდ დანაკარგებს განიცდის ეკონომიკურ ზრდაში, ვიდრე სხვა შიდა კონფლიქტები. ტ. სანდლერი, დ. არკე და ვ. ენდერსი[80], აჯამებენ ტერორიზმით გამოწვეული დანაკარგების ღირებულებას მშპ-ში. კერძოდ, ისინი იყენებენ განტოლებას (განტ. 1.) ექსპერიმენტის შესასრულებლად, რათა განსაზღვრონ, თუ რა არის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპი ტერორიზმის არსებობის ან არარსებობის დროს. განსხვავება რეალური და სავარაუდო მშპ-ის შორის ტერორიზმია. თუ გამოვიყენებთ მოსახლეობას (Pop), მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს 2005 წელს და 2004-2005 წლებში მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის ზრდის ტემპებს, შესაძლებელი იქნება

[80] Sandler, Todd, Dann Arce and Walter Enders. Transnational Terrorism. In Bjorn Lomborg, ed. Global Crises, Global Solutions, 2nd edition. Cambridge University Press, Cambridge. 2009. 516-562.

მშპ-ში ტერორიზმით გამოწვეული დანაკარგების გამოანგარიშება. იმის გათვალისწინებით, რომ ტერორიზმის კოეფიციენტია - 1,587 და რომ ტერორიზმის ცვლადი არის წლების საშუალო რაოდენობა, რომელშიც მინიმუმ ერთი ტერორისტული შემთხვევა იყო i ქვეყანაში,ტ. სანდლერი, დ. არკე და ვ. ენდერსი ანგარიშობენ თითოეული ქვეყნის ტერორიზმის ღირებულებას (C_i) შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$C_i = (T_i/5)(Pop \times per\ capita\ GDP) \times (2005\ growth/100) \times 0.048 \quad \text{(განტ. 2.)}$$

პირველი მეთოდის გამოყენებით 2005 წელს დაკარგული მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 19.412 მლრდ დოლარს შეადგენს. მეორე მეთოდის გამოყენებით 2005 წლის ღირებულება 17.363 მლრდ დოლარი იყო.

დიაგრამა 3.1.

2017 წლისთვის ტერორიზმის მიზეზით ყველაზე დაზარალებული ქვეყნების (მშპ)



წყარო: Global Terrorism Database

როგორც ტ. სანდლერი, დ. არკე და ვ. ენდერსი ვარაუდობენ, ტიპური მუშაკი წელიწადში 5000 დოლარს გამოიმუშავებს. ამგვარად, 2005 წელს ტრანსნაციონალური ტერორიზმის შედეგად 550 გარდაცვლილი ადამიანი, 2,750,000 აშშ დოლარის ოდენობის ეკონომიკური ზარალია. შემდეგ გამოთვლილია

შემოსავლის დანაკარგთა ნაკადის მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივობის სხვადასხვა ვარაუდებზე დაყრდნობით. 5%-იანი განაკვეთისა და 62.5 წლიანი სიცოცხლის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მთლიანი ეკონომიკური ზარალი შეადგენს 43,471,000 დოლარს. გარდა ამისა, შეფასდა დაშავებულთა ხარჯები, რაც სხვადასხვა დაზიანებებით მიიღეს. დაანგარიშების იგივე პრინციპით, 2005 წელს ტერორისტული აქტების შედეგად დაშავებულთა შორის მხოლოდ დამწვრობები შეფასდა 2,681,700 დოლარით, ხოლო თითოეული ტიპის ინვალიდობა 2,681,700 აშშ დოლარით და ასევე დაკარგული სიცოცხლე 65,093,083 დოლარით. გასათვალისწინებელია, რომ პირდაპირი ხარჯების ეს გაანგარიშება არ მოიცავს ტერორისტების მიერ დაზარალებულთა ტკივილისა და ტანჯვის ხარჯებს, ასევე არ არის შესული ტერორისტების მიერ გამოწვეული შიშის ღირებულება.

დიაგრამა 3.2.

2000-2016 წწ. ტერორიზმის მიზეზით გამოწვეული დანაკარგი მსოფლიო მასშტაბით



წყარო: Global Terrorism Database

ამ ყველაფერს ემატება ქვეყნის უსაფრთხოების დანახარჯები, რომელიც, ეჭვგარეშეა, ტერორიზმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანახარჯია. უსაფრთხოების

დანახარჯების დაანგარიშება ასევე განსაკუთრებით რთული საკითხია, რადგან მსგავსი ხარჯები ნაციონალურ ბიუჯეტში პირდაპირ არ არის მითითებული. როგორც ბ. ჰობიჯინი და ე. სეიჯერი[81] აფასებენ, აშშ-ის უსაფრთხოების ხარჯები 2001 წლის 56.0 მლრდ დოლარიდან 2005 წლის 99,5 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. ფედერალური მთავრობის ხარჯები გაიზარდა 32.4 მილიარდით, ადგილობრივი მთავრობების კი 1,7 მილიარდით, კერძო სექტორის ხარჯები 9.4-ით გაიზარდა. უსაფრთხოების ეს ხარჯები მთლიანობაში 43.5 მლრდ დოლარი, რაც აშშ-ის მშპ-ის 0.35%-ს უდრის.

შესაძლებელია ტერორიზმის არაპირდაპირი ხარჯები აჭარბებდეს კიდეც პირდაპირს. როგორც წესი, მიიჩნევენ, რომ ტერორიზმის ძირითადი ხარჯები სხვადასხვა პირდაპირი ხარჯებია, თუმცა, თუ ავიღებთ 9/11-ის შემთხვევას, თავდასხმის არაპირდაპირი ხარჯები ბევრად აღემატებოდა პირდაპირს. პირდაპირი ხარჯების არაპირდაპირისადმი დაბალი კოეფიციენტის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ეს ორი შეიძლება უარყოფითად იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან. ზოგიერთი არაპირდაპირი ხარჯი, როგორიცაა, მაგალითად, ტერორისტული აქტის ჩაშლისთვის განკუთვნილი ხარჯების ზრდა, რამდენადმე ამცირებს ტერორიზმის პირდაპირ ხარჯს. თუ სახელმწიფო უსაფრთხოების ხარჯები სრულყოფილად იცავს ქვეყანას ტერორიზმისგან, ყველა ტერორისტული თავდასხმის პირდაპირი ხარჯი იქნება ნული, რაც მიუთითებს რომ უსაფრთხოების ხარჯები ეფექტიანია.

მეტიც, ტერორისტული ჯგუფები უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი თავიანთი თავდასხმების არაპირდაპირი ხარჯების მაქსიმალურად გაზრდით, ვიდრე პირდაპირი ხარჯების მაქსიმიზებით. მათი მთავარი მიზანია მოსახლეობის დანახარჯების ზრდა, რათა მთავრობები დაემორჩილონ მათ ზოგიერთ ან ყველა მოთხოვნას.

ტერორისტული აქტების რაოდენობის ბოლოდროინდელი ზრდა მიანიშნებს, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული ხარჯები კვლავ გაიზრდება. მსხვილი დივერსიფიცირებული ეკონომიკისთვის, რომელიც ფასის მექანიზმზეა

[81] Hobijn, B., and E. Sager. "What Has Homeland Security Cost? An Assessment: 2001-2005." Current Issues in Economics and Finance, 2007, 13(2), 1-7,

დამოკიდებული, ასეთი ხარჯები შედარებით მცირე იქნება. განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ დაეყრდნონ ფასწარმოქნის მექანიზმს სექტორებს შორის რეალოკაციის მიზნით და მათ შეუძლიათ გამოიყენონ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა ფართომასშტაბიანი თავდასხმების გრძელვადიანი შედეგების შესამცირებლად. ტერორიზმის მაკროეკონომიკური ზრდის ხარჯები არის კონტრტერორიზმის - მომავალი ტერორისტული თავდასხმების ჩასაშლელად - გაზრდილი პოლიტიკის შედეგი. ტერორიზმის მიკროეკონომიკური ხარჯები მიმართულია ტურიზმის, ვაჭრობისა და სატრანსპორტო სექტორების კონცენტრირებისკენ და ქვეყნების წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდისკენ. მცირე ღია ეკონომიკები ასეთ სექტორებში გაცილებით უფრო კონცენტრირებულია, ვიდრე დიდი ეკონომიკები.

3.4. ტერორისა და ანტიტერორისტული საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობა

ტერორი გამოირჩევა, ერთდროულად, როგორც ძალიან მაღალი, ასევე ძალიან დაბალი ეფექტიანობით. თუ შევადარებთ დანახარჯებს ტერაქტებზე და მათგან მიღებულ დანაკარგებს, ტერორის ეფექტიანობა საოცრად მაღალია. მაგალითად, 11 სექტემბრის ტერაქტის შესასრულებლად დანახარჯი 0,5 მლნ დოლარი იყო, ხოლო აშშ-ის ზარალმა 100-135 მლრდ. დოლარი შეადგინა. წმინდა ფინანსური თვალსაზრისით, უკუგებამ შეადგინა 200 000%. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტერორიზმის დამფინანსებლები შეძლებენ, გაიმეორონ იგივე შედეგი ნახევარი მილიონი დოლარის ინვესტირებით. ტერორიზმი როგორც ბიზნესი, ხასიათდება ზღვრული უკუგების შემცირებით: წარმატებული ტერაქტების გამეორება ძალიან რთულია ან შეუძლებელი. გამოყენებული კონტრზომების გამო ყოველი ცალკეული ტერაქტი ორიგინალურ სქემას საჭიროებს. არსებობს რუტინული მეთოდიკა (მაგალითად, თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენება), რაც საშუალებას იძლევა, შეიქმნას ტერორისტული საფრთხის ფონი განსაკუთრებული დანახარჯების გარეშე. თუმცა, ცალკეული (სტრატეგიული და არა ტაქტიკური)

შედეგების თვალსაზრისით, ტერორიზმმა ჯერ თავისი ეფექტიანობა ვერ დაამტკიცა[82].

ტერორისტები ვერ ახერხებენ თავიანთი დეკლარირებული მიზნების მიღწევას. (მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთება ირლანდიასთან, ბასკონიის დამოუკიდებლობა და ა.შ.). ბევრ შემთხვევაში, ტერორისტების საქმიანობა, პირიქით, ართულებს მათი ლოზუნგების რეალიზაციას.

რაც შეეხება ანტიტერორისტული ბრძოლის ეფექტიანობას, აქ ტრადიციულ კრიტერიუმად იყენებენ მოკლულ/დაპატიმრებულ ტერორისტთა რიცხვს, რაც ნაკლებად ქმედითია: თუ ტერორისტები სარგებლობენ ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით (როგორც, მაგალითად, პალესტინაში), ერთი ტერორისტის განადგურება მხოლოდ ათავისუფლებს „სამუშაო ადგილს“ ახალი „მებრძოლებისთვის“. ტერორისტთა საერთო რიცხვი ამით არ იცვლება, არამედ, შეიძლება, გაიზარდოს კიდეც, ვინაიდან დაღუპულთა „გმირობა“ აძლიერებს ახალი „კადრების“ მოდინებას.

დანაშაულის ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, სამართალდამცავი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმია საზოგადოების მთლიანი დანახარჯების სიდიდე. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ჯ. სტიგლერის[83] აზრით, „ზღვრული შეკავებისთვის საჭიროა ზღვრული დანახარჯები“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო ძლიერია მართლწესრიგის დაცვა, მით უფრო მეტ ზეწოლას განიცდიან ნორმალური კანონმორჩილი მოქალაქეები, რომლებიც იძულებულნი არიან, არა მარტო შეინახონ თავიანთი გადასახადებით სამართალდამცავი ორგანოები, არამედ აიტანონ მრავალი არასასიამოვნო პოლიციურ-ბიუროკრატიული პროცედურა, რომელიც მიმართულია პოტენციური სამართალდარღვევის წინააღმდეგ. პრაქტიკა ამტკიცებს, რომ ავტორიტარულ/ტოტალიტარულ საზოგადოებაში (როგორც, მაგალითად, სსრკ-ში) ტერორიზმის დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე დემოკრატიულ

---

[82] ბალარჯიშვილი ი. დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა: თეორიული მემკვიდრეობა და თანამედროვე პრობლემები. თბილისი, „ინოვაცია“, 2010. გვ. 247.

[83] Stigler G. J. The Optimum Enforcement of Laws // Journal of Political Economy. Vol. 78, №3.1970, 526-536.

საზოგადოებებში. მეორე მხრივ, საზოგადოებას შეუძლია, საერთოდ არ გაიღოს ხარჯები ტერორიზმთან ბრძოლისათვის, მაგრამ ასეთ საზოგადოებაში გარდუვალია ტერაქტებიდან მიღებული ზარალის ზრდა. ამგვარად, ნებისმიერი უკიდურესობა ამ საკითხში არასასურველია. ოპტიმალური გამოსავალი საჭიროებს ტერორიზმის მთლიანი ხარჯების მინიმიზირებას, რაც მოიცავს როგორც განხორციელებული ტერაქტებიდან საზოგადოების დანაკარგებს, ასევე ანტიტერორისტულ ბრძოლაზე საზოგადოების დანახარჯებს.

ანტიტერორისტული საქმიანობის შესაფასებლად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა კ. ესკრიჯის მოდელის გამოყენება. რომლის მიხედვით, ამგვარი საქმიანობის მიზანი უნდა იყოს არა ტერორიზმის „აღმოფხვრა“, არამედ მისი „შეკავება საზოგადოების თვალსაზრისით ოპტიმალურ დონეზე“ (ნახ. 3.1.). თვით ეს „ოპტიმუმი“ საკმაოდ მოძრავია და დამოკიდებულია როგორც სამართალდამცავი ორგანოების მიერ საკუთარი რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე, ისე დამნაშავეთა საქმიანობის „ეფექტიანობაზე“. რაც უფრო მაღალია დანაშაულობის დონე, მით უფრო მეტია საზოგადოების დანაკარგები. ამიტომ Y მრუდი, რომელიც გვიჩვენებს ჩადენილ დანაშაულთაგან მიღებულ ხარჯებს, მიემართება ზემოთ. დანაშაულის რიცხვის შემცირებისთვის საზოგადოებამ უნდა დახარჯოს სულ უფრო მეტი სახსრები სამართალდაცვაზე. ამიტომ X მრუდი, რომელიც გვიჩვენებს დანახარჯებს სამართალდაცვაზე, მოემართება ზემოდან ქვემოთ. Z მრუდი, რომელიც გვიჩვენებს დანაშაულობიდან საზოგადოების ერთობლივ ხარჯებს, მიღებულია X და Y მრუდების შეკრებით.

საზოგადოების თვალსაზრისით, აუცილებელია, რომ ერთობლივი დანაკარგები არ აჭარბებდეს მინიმალურ სიდიდეს - Cmin. ამ წერტილში ჩადენილ დანაშაულთა ზღვრული ხარჯები აღკვეთილ დანაშაულთა ზღვრული სარგებლიანობის ტოლია.



ნახაზი 3.1. დამნაშავეობის ხარჯები

ამგვარად, ტერორიზმის განხილვა „დანახარჯები-სარგებლიანობის“ კონტექსტით საჭიროებს:

- ტერორიზმისგან მიღებული ზიანის და მასთან ბრძოლის დანახარჯების შეფასების სისტემის შემუშავებას და ამ მაჩვენებელთა მუდმივ მონიტორინგს;
- ამ მაჩვენებელთა გამოყენებას ანტიტერორისტული საქმიანობის შეფასების მთავარ ეკონომიკურ კრიტერიუმად;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, როგორც ანტიტერორისტული საქმიანობის მნიშვნელოვანი ელემენტის, აქტიურად გამოყენებას.

დასკვნა

დღეისათვის ტერორიზმი უკვე არა მხოლოდ მარტოხელა დივერსანტები, თვითმფრინავის გამტაცებლები ან მკვლელი კამიკაძეებია, არამედ წარმოდგენილია მძლავრი სტრუქტურების შესაბამისი აღჭურვილობით. ტერორიზმი გადაიქცა გლობალური მასშტაბის მეტად მომგებიან ბიზნესად განვითარებული შრომის ბაზრით (დაქირავებულები და სხვები) და კაპიტალდაბანდებით. თანამედროვე ტერორიზმის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი სტრუქტურირებული და ორგანიზებული ხასიათი. დღეს ტერორიზმი წარმოდგენილია როგორც ბრმა ძალადობა. ტერაქტების რაციონალურობა არ არის დამოკიდებული არც რეალურ შედეგებზე, არც მის ფასზე: მნიშვნელოვანია არა თვით ტანჯვა და მსხვერპლის სიკვდილი, არამედ შთაბეჭდილება, რომელსაც ისინი ახდენენ საზოგადოებაზე.

ტერორიზმის განვითარების მიზეზების ანალიზში გამოიყოფა ორი მიდგომა- გეოეკონომიკური და ეროვნულ-ორიენტირებული. გეოეკონომიკური მიდგომა, რომელიც ეფუძვნება განვითარების ეკონომიკური თეორიის მემარცხენე-რადიკალურ კონცეფციას, თანამედროვე ტერორიზმს განიხილავს როგორც მსოფლიო მეურნეობის პროდუქტს. ეროვნულ-ორიენტირებული მიდგომა, რომელიც დაკავშირებულია ან კრიმინომეტრიკის მეთოდებთან, ან ნეოინსტიტუციურ მიდგომასთან, პირიქით, ყურადღებას ამახვილებს ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მათში ტერორიზმის განვითარებას.

ტერორიზმის საერთაშორისო-პოლიტიკური დეტერმინანტები დომინირებს ეროვნულ-ეკონომიკურზე. ღიაობა და პოლიტიკური თავისუფლება ქმნის ქვეყანაში ტერორისტულ ორგანიზაციათა სტრუქტურების და იდეოლოგიის შეღწევის შესაძლებლობას ეროვნული მეურნეობის ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებისგან თითქმის დამოუკიდებლად. მხოლოდ დემოკრატიის მაღალი დონე ამცირებს მოქალაქეთა მისწრაფებას პოლიტიკური წინააღმდეგობის ძალადობრივი ფორმებისადმი.

ეროვნულ დონეზე ტერორიზმის დონის რეგულირების მთავარ ინსტრუმენტს გრძელვადიან პერიოდში წარმოადგენს სოციალური პოლიტიკა,

რომელიც არეგულირებს სხვადასხვა ეთნიკურ და კონფესიონალურ ჯგუფთა ურთიერთობას, აგრეთვე მთავრობის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია.

უკანასკნელი ათწლეულის მოვლენებმა დაამტკიცა, რომ როგორ პოლიტიკურ მოტივაციასაც არ უნდა აყენებდნენ ტერორიზმის თეორეტიკოსები, მას მაინც ეკონომიკური ხასიათის შეფერილობა აქვს. ტერორისტების საბოლოო მიზანს წარმოადგენს საზოგადოებაში ეკონომიკურ ურთიერთობათა ცვლილება და საკუთრების გადანაწილება. ძალადობა ნებისმიერი ფორმით, მათ შორის, ტერორიც რაციონალური ქცევის შედეგია, რომელსაც სააფუძვლად უდევს მოგებისადმი გამოდევნება, ხოლო ალ-ქაიდას მსგავსი ტერორისტული ჯგუფები ხელმძღვანელობენ არა იდეოლოგიური მოსაზრებებით, არამედ სოციალური და ეკონომიკური კაპიტალის მიღების შესაძლებლობით.

ტერორისტთა შორის განათლებული პროფესიონალების და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა და შემლებული ოჯახებიდან გამოსულთა რაოდენობა ძლიერ აჭარბებს საშუალო მაჩვენებლებს. როგორც უკანასკნელი კვლევები აჩვენებს, ტერორისტები ჩვეულებრივ საშუალოზე განათლებულები და მდიდრები არიან, თუმცა ვერ დგინდება რატომ არის ასე. ერთი მიდგომის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განათლების ფაქტორი თავისთავად ხელს უწყობს რადიკალიზაციას, ამიტომ განსაზღვრულ საზოგადოებაში, რაც უფრო მეტს სწავლობს ადამიანი, მით უფრო სავარაუდოა, რომ ის დაკავდება ტერორიზმით. მეორე თეორია ამბობს, რომ ტერორიზმი ეს არის ახალი პოლიტიკური პროტესტის და ამბოხის უფრო მომაკვდინებელი ფორმა, ხოლო აჯანყებები ისტორიაში ხშირად იწყებოდა მაღალი სოციალური წრეებიდან. მესამე ვერსიით, უფრო დაბალი სოციალურ-ეკონომიკური დონის ადამიანებს არ შეუძლიათ საკუთარ თავს ბუნტებში მონაწილეობის უფლება მისცენ, რადგან უნდა არჩინონ ოჯახები. მიუხედავად ამისა, ერთი რამ ცხადია, ტრადიციული წარმოდგენა მეტისმეტად ამარტივებს სინამდვილეს. ტერორისტული საფრთხე არ უნდა განვიხილოთ როგორც ერთგანზომილებიანი პრობლემა, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია, უბრალოდ, კეთილდღეობის და ინდივიდის განათლების დონის ამაღლებით.

თანამედროვე ტერორიზმს აქვს სამი წყარო (ქვეყნების დახმარება, თვითმომარაგება ჩრდილოვანი ეკონომიკის ხარჯზე, კერძო პირთა დახმარება) და სამი შემადგენელი ნაწილი („იდეოლოგური“ ტერორიზმი, “კონფესიონალური“ ტერორიზმი, „ეროვნული“ ტერორიზმი). ამ წყაროთა თანაფარდობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. 1990-2000იან წლებში ხდება ტერორის თავისებური „პრივატიზება“ - სპონსორ-სახელმწიფოთა „გამოძევება“ საქველმოქმედო/არასამთავრობო ორგანიზაცია-სპონსორების და კერძო პირების მიერ. იმავდროულად ხდება დაფინანსების წყაროთა დივერსიფიკაცია - ტერორისტთა დახმარება მცირე „პორციებით“ მრავალი წყაროდან, რის შედეგადაც მისი დაფინანსების დანგრევა უფრო რთული გახდა.

ტერორისტული აქტების რაოდენობის ბოლოდროინდელი ზრდა მიანიშნებს, რომ ტერორიზმთან დაკავშირებული ხარჯები კვლავ გაიზრდება. მსხვილი დივერსიფიცირებული ეკონომიკისთვის, რომელიც ფასის მექანიზმზეა დამოკიდებული, ასეთი ხარჯები შედარებით მცირე იქნება. განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ დაეყრდნონ ფასწარმოქნის მექანიზმს სექტორებს შორის რელოკაციის მიზნით და მათ შეუძლიათ გამოიყენონ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა ფართომასშტაბიანი თავდასხმების გრძელვადიანი შედეგების შესამცირებლად. ტერორიზმის მაკროეკონომიკური ზრდის ხარჯები არის კონტრტერორიზმის - მომავალი ტერორისტული თავდასხმების ჩასაშლელად - გარზდილი პოლიტიკის შედეგი. ტერორიზმის მიკროეკონომიკური ხარჯები მიმართულია ტურიზმის, ვაჭრობისა და სატრანსპორტო სექტორების კონცენტრირებისკენ და ქვეყნების წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდისკენ. მცირე ღია ეკონომიკები ასეთ სექტორებში გაცილებით უფრო კონცენტრირებულია, ვიდრე დიდი ეკონომიკები.

ტერორი გამოირჩევა, ერთდროულად, როგორც ძალიან მაღალი, ასევე ძალიან დაბალი ეფექტიანობით. თუ შევადარებთ დანახარჯებს ტერაქტებზე და მისგან დანაკარგებს, ტერორის ეფექტიანობა საოცრად მაღალია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტერორიზმის დამფინანსებლები შეძლებენ, გაიმეორონ იგივე შედეგი ყოველთვის, იგივე თანხების ინვესტირებით. ტერორიზმი, როგორც ბიზნესი, ხასიათდება

ზღვრული უკუგების შემცირებით: წარმატებული ტერაქტების გამეორება ძალიან რთული ან შეუძლებელია. თუმცა, ცალკეული (სტრატეგიული და არა ტაქტიკური) შედეგების თვალსაზრისით, ტერორიზმმა თავისი ეფექტიანობა ჯერ ვერ დაამტკიცა;

ანტიტერორისტული ბრძოლის ეფექტიანობის ტრადიციულ კრიტერიუმად იყენებენ მოკლულ-დაპატიმრებულ ტერორისტთა რიცხვს, რაც ნაკლებად ქმედითია: თუ ტერორისტები სარგებლობენ ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით, ერთი ტერორისტის განადგურება მხოლოდ ათავისუფლებს „სამუშაო ადგილს“ ახალი „მებრძოლებისთვის“. ტერორისტთა საერთო რიცხვი ამით არ იცვლება, არამედ შეიძლება გაიზარდოს კიდეც, ვინაიდან დაღუპულთა „გმირობა“ აძლიერებს ახალი “‘კადრების“ მოდინებას. ანტიტერორისტული საქმიანობის მიზანი უნდა იყოს არა ტერორიზმის აღმოფხვრა, არამედ მისი შეკავება საზოგადოების თვალსაზრისით ოპტიმალურ დონეზე.

ტერორიზმის განხილვა „დანახარჯები-სარგებლიანობის“ კონტექსტში საჭიროებს:

- ტერორიზმისგან მიღებული ზიანის და მასთან ბრძოლის დანახარჯების შეფასების სისტემის შემუშავებას და ამ მაჩვენებელთა მუდმივ მონიტორინგს;
- ამ მაჩვენებელთა გამოყენებას ანტიტერორისტული საქმიანობის შეფასების მთავარ ეკონომიკურ კრიტერიუმად;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, როგორც ანტიტერორისტული საქმიანობის მნიშვნელოვანი ელემენტის, აქტიურად გამოყენებას.

ლიტერატურა:

1. ბალარჯიშვილი. დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა: თეორიული მემკვიდრეობა და თანამედროვ ე პრობლემები. თბილისი, „ინოვაცია“, 2010;
2. Бандиопадхия С., Сандлер Т., Юнас Дж., 2015, с. 26–27; Иноземцев В., 2016; Латов Ю.В., 2012, с. 16
3. Бандиопадхия С., Сандлер Т., Юнас Дж. Ущерб от терроризма // Финансы и развитие. – Вашингтон: МВФ, 2015. – Июнь. – С. 26–28. https://www.imf.org/external/russian/pubs/ft/fandd/2015/06/pdf/bandyopa.pdf (მონახულების დრო: 0.07.2019)
4. Воронов, Ю.П., Экономические функции терроризма // Экономика и организация промышленного производства, № 1, 2002;
5. Гейфман А. Революционный террор в России, 1894-1917 / А. Гейфман; Пер. с англ. Е. Дорман. - М.: Крон-Пресс, 1997.
6. Горяинов С., Деньги террора. Кто оплатил Беслан? М.: Издательство «Европа», 2005;
7. Грачев С.И., Колобов О.А. Наиболее устойчивые детерминанты современного терроризма // Вестник академии военных наук. – М., 2009. – № 2 (27). http://militaryarticle.ru/voenno-promishlennii-kurer/2009-vpk/10901-naibolee-ustojchivyedeterminanty-sovremennogo (მონახულებისდრო: 06.07.2019)
8. Жаворонков С., Яновский К., Шульгин С., Затковецкий И., Ротенберг В., Политико-экономические аспекты борьбы с терроризмом, М.: ИЭПП, 2005;
9. Иноземцев В. Болезнь бедных: Как терроризм влияет на экономику // РБК: Мнения. – 30.03.2016. http://www.rbc.ru/opinions/society/30/03/2016/56fb68fd9a7947f07c04e6b7(მონახულების დრო: 0.07.2019)
10. Киреев М.П., Тагиров З.И. Терроризм и экономика // Сервис в России и за рубежом (электронный журнал). – М., 2016. – Т. 10, № 5. – С. 49–57. http://cyberleninka.ru/article/n/terrorizm-i-ekonomika (მონახულებისდრო: 17.06.2019)
11. Киреев Н.В. Моделирование преступного поведения в экономической теории // Юридическая наука и практика: Вестник Нижегородской академии МВД России. – Нижний Новгород, 2013. – № 21. – С. 91–95.
12. Костюгова В., «Черный шум» и экономика террора, 2005 http://www.nmnby.org/pub/110705/dead.html (მონახულებისდრო: 20.06.2019)
13. Латов, Ю.В., Экономический анализ современного терроризма, Учебное пособие для вузов, М.: Академия управления МВД России, 2009. - 88 с.

14. Наполеони Л. Новая экономика террора: Как финансируется терроризм // Форум по проблемам преступности и общества / Под ред. Шмидта А.П. – Нью-Йорк: ООН, 2006. – С. 31–49
15. Наумов Ю.Г., Латов Ю.В. Роль организованной преступности в финансировании терроризма и экстремизма // Вестник РАЕН. – М., 2016. – № 4. – С. 53–57.
16. Нечет Т. Из-за терактов Франция потеряла на туризме три миллиарда долларов // Комсомольская правда. – М., 2015. http://kp.ua/author/3169/ (მონახულებისდრო: 20.05.2019)
17. Новые риски финансирования терроризма: Отчет ФАТФ. – Париж: ФАТФ/ ОЭСР, 2015. – 77 с. http://www.eurasiangroup.org/files/FATF_docs/IGIL.pdf (მონახულებისდრო: 20.05.2019)
18. Организованная преступность и финансирование терроризма в Северной Ирландии // Борьба с преступностью за рубежом, № 2, 2004;
19. Панкратенко И.Н. ИГИЛ сегодня: На пути к полноценному государству. – М.: Центр стратегических оценок и прогнозов, 2015. – 29 с. http://csef.ru/media/articles/6426/9cbe448b46a5ab9e97d006ba5a0a299c.pdf (მონახულებისდრო: 22.05.2019)
20. Сото Э.де., Иной путь. Экономический ответ терроризму,Челябинск: Социум, 2008;
21. Старцев, Г. В. Экономические аспекты противодействия финансированию терроризма / Г. В. Старцев // Административное право и процесс. – 2013. – № 1. – С. 39–43.
22. Степанова Е.А., Роль наркобизнеса в политэкономии конфликтов и терроризма, М.: Издательство «Весь мир», 2005;
23. Хорос В. “Крона”, “корни” и “климат” терроризма // Мировая экономика и международные отношения, № 3, 2002;
24. Цена страха: Кому выгоден теракт в Ницце? / Федеральное бизнес-агентство «Экономика сегодня». – 15.07.2016. – https://rueconomics.ru/185312-cena-straha-komu-vygoden-terakt-v-nicce (მონახულების დრო 11.06.2019)
25. Abadie A. Poverty, Political Freedom and the Roots of Terrorism, 2004, http://ksghome.harvard.edu/~aabadie /povterr.pdf (მონახულებისდრო: 22.05.2019)
26. Abadie, Alberto and S. Dermisi. “Is Terrorism Eroding Agglomeration Economies in Central Business Districts? Lessons from the Office Real Estate Market in Downtown Chicago,” Journal of Urban Economics, 2008, 64, 451-63.
27. Barth J.R., Li T., McCarthy D., Phumiwasana T., Yago G., Economic Impacts of Global Terrorism: From Munich to Bali, 2006

http://www.milkeninstitute.org/pdf/econ_impact_terrorism.pdf (მონახულებისდრო: 29.05.2019)

28. Becker G.S. Crime and Punishment: An Economic Approach // Journal of Political Economy. – Chicago, 1968. – Vol. 76., N 2. – P. 169–217.
29. Becker, Gary S. and Kevin M. Murphy, "Prosperity Will Rise Out of the Ashes." Wall Street Journal (Eastern edition), 29 October 2001, A.22.
30. BenmelechE., Berrebi C. "Human Capital and the Productivity of Suicide Bombers", Journal of Economic Perspectives, 2007, Vol. 21, No. 3, pp. 223-238, https://www.jstor.org/stable/30033742?seq=1#page_scan_tab_contents (მონახულებისდრო: 29.06.2019)
31. Benmelech E., Berrebi C., Klor E. F. Economic Conditions and the Quality of Suicide Terrorism, The Journal of Politics, Vol. 74, No. 1, January 2012, Pp. 1–16 https://claudeberrebi.huji.ac.il/sites/default/files/claudeberrebi/files/2012-benmelech-berrebi-klor-jop-econditionsqualityst.pdf (მონახულების დრო: 07.07.2019)
32. Blomberg, S. Brock, Gregory D. Hess, and Athanasios Orphanides. "The Macroeconomic Consequences of Terrorism," Journal of Monetary Economics, 2004, 51(5), 1007-32.
33. Boguslaski Charles, Ito Harumi and Lee Darin., Entry Patterns in the Southwest Airlines Route System, Review of Industrial Organization 25: 2004, 317–350,
34. Chen, Andrew H. and Thomas F. Siems, "The Effects of Terrorism on Global Capital Markets," European Journal of Political Economy, 2004, 20(2), 249-66.
35. De Mesquita B. E. „The Quality of Terror", American Journal of Political Science (AJPS), 2005, Volume 49, Issue, pp. 515-530,
36. Dépigny M. De l'usage de la théorie économique pour modéliser les comportements terroristes. – Lion, 2009. – 7 p. http://www.congresafsp2009.fr/sectionsthematiques/st31/st31depigny.pdf (მონახულების დრო: 29.06.2019)
37. Drakos, Konstantinos, "Terrorism-Induced Structural Shifts in Financial Risk: Airline Stocks in the Aftermath of the September 11th Terror Attacks," European Journal of Political Economy, 2004, 20(2), 436-46.
38. Durmarque D., Rappin B. Le terrorisme comme organisation rationnelle // Rev. Internationale de Psychosociologie et de gestion des comportements organisationnels. – Paris, 2016. – N 54. – P. 297–301. https://www.cairn.info/resume.php?ID_ARTICLE=RIPS1_054_0295 (მონახულების დრო: 29.06.2019)
39. Eldor, Rafi and Rafi Melnick. "Financial Markets and Terrorism," European Journal of Political Economy, 2004, 20(2), 367-86.

40. Frey Bruno S., Dealing with Terrorism: Stick or Carrot. Elgar Publishers, 2004;
41. Freytag A., Krüger J., Schneider F., The Origins of Terrorism. Cross-Country Estimates with Discrete Choice and Count Data Methods, 2006. - http://www.econ.jku.at/Schneider/TerrorPaperJanuar06.pdf (მონახულების დრო: 29.06.2019)
42. Glaeser E.L., The Political Economy of Hatred // Quarterly Journal of Economics, 2005, P. 45-86 http://www.wcfia.harvard.edu/papers/792__19037-w9171.pdf (მონახულებისდრო: 29.06.2019)
43. Hamermesh Daniel S. and Neal M. Soss, "An Economic Theory of Suicide," Journal of Political Economy 82, no. 1 (Jan. - Feb., 1974): 83-98 .https://www.journals.uchicago.edu/doi/10.1086/260171 (მონახულების დრო: 29.06.2019)
44. Hobijn, B., and E. Sager. "What Has Homeland Security Cost? An Assessment: 2001-2005." Current Issues in Economics and Finance, 2007, 13(2), 1-7, http://www.newyorkfed.org/research/current_issues (მონახულების დრო: 01.07.2019)
45. Kiser S., Financing Terror. An Analysis and Simulation to Affect Al Qaeda's Financial Infrastructures. RAND, 2005;
46. Krueger Alan B., David D. Laitin. (2007). "A Cross-Country Study of the Origins and Targets of Terrorism", Princeton University and NBER, January 18, http://harris.princeton.edu/faculty/krueger/terrorism4.pdf (მონახულების დრო: 01.07.2019)
47. Kunreuther, Howard and Michel-Kerjan Erwann (2009). At War with the Weather: Managing Large Scale Risks in a New Era of Catastrophes. (MIT Press: Cambridge, Ma.),
48. Kunreuther, Howard, Erwann Michel-Kerjan and Beverly Porter (2003). "Assessing, Managing and Financing Extreme Events: Dealing with Terrorism," Working Paper 10179, National Bureau of Economic Research, Cambridge, MA.
49. Kuran T., Why the Middle East is Economically Underdeveloped: Historical Mechanisms of Institutional Stagnation // Journal of Economic Perspectives, Vol.18, 2004;
50. Le financement de l'Etat islamique: Année 2015. Paris: Centre d'Analyse du Terrorisme, 2016.33 p. https://f.hypotheses.org/wp-content/blogs.dir/2725/files/2016/04/Financement-EI-2015-Rapport.pdf (მონახულების დრო: 01.07.2019)
51. Lericolais M. Terrorisme international et mesures de sùreté: Analyse économique du comportement du voyageur sur le réseau de transport aérien mondial / Université Lumière. – Lyon II, 2011. https://tel.archives-ouvertes.fr/tel-00816114/document (მონახულების დრო: 01.07.2019)
52. Medero G.S. Les sources de financement légal et illégal des groupes terroristes d´aujourd´hui // Revista de Paz y Conflictos. – Granada, 2011. – N 4 http://www.ugr.es/~revpaz/articulos/Les_sources_de_financement_terroristes.html (მონახულების დრო: 01.07.2019)

53. Napoleoni L., Money and Terrorism // Economist. January 2005 - http://www.fride.org/eng/Publications/publication.aspx?item=686 (მონახულების დრო: 01.07.2019)
54. Navarro, Peter and Aron Spencer, "September 11, 2001: Assessing the Costs of Terrorism," Milken Institute Review, Fourth Quarter 2001, 16-31.
55. Pongo M.K., Landry T. Terrorisme international et marchés de violence. – Québec: Les Presses de l'Université Laval, 2005. – 144 p.
56. Rapport du Secrétaire général sur la menace que représente l'État islamique d'Iraq et du Levant (Daech) pour la paix et la sécurité internationales et sur l'action menée par l'Organisation des Nations Unies pour aider les États Membres à contrer cette menace / Nations Unies, Conseil de sécurité. – New-York, 2016. – 27 p. http://www.un.org/en/sc/ctc/docs/2016/N1602354_FR.pdf (მონახულების დრო: 01.07.2019)
57. Rigoulet-Roze D. Le coût économique du terrorisme: L'équation impossible? // Problèmes écon. – Paris, 2016. – N 3138. – P. 52–58.
58. Sandler T., Enders W., An economic perspective on transnational terrorism // European Journal of Political Economy, Vol. 20, 2004;
59. Sandler, Todd and Walter Enders. "Econ omic Consequences of Terrorism in Developed and Developing Countries: An Overview" in Philip Keefer and Norman Loayza, eds. Terrorism, Economic Development, and Political Openness (Cambridge Univ. Press: Cambridge, U.K.) 2008, pp, 17 – 47.
60. Sandler, Todd, Dann Arce and Walter Enders. Transnational Terrorism. In Bjorn Lomborg, ed. Global Crises, Global Solutions, 2nd edition. (Cambridge University Press, Cambridge. U.K.). 2009, 516-62.
61. Schneider F., The hidden financial flows of Islamic terrorist organisations: Some preliminary results from an economic perspective (2002) http://www.econ.jku.at/Schneider/financeterror.PDF (მონახულების დრო: 02.07.2019)
62. Shapiro, Robert, "Al-Qaida and the GDP: How Much Would Terrorism Damage the U.S. Economy? Less Than You'd Expect." Slate, 2004
63. Stigler G. J. The Optimum Enforcement of Laws // Journal of Political Economy. 1970, Vol. 78, №3.526-36,
64. Wintrobe R., Can Suicide Bombers Be Rational? University of Western Ontario, 2003
65. Terrorism - https://www.fbi.gov/investigate/terrorism(მონახულების დრო: 12.05.2019)
66. Terrorism - https://www.un.org/News/dh/infocus/terrorism/sg%20high-level%20panel%20report-terrorism.htm (მონახულების დრო: 12.05.2019)

67. Palestinian Rocket Attacks on Israel and Israeli Artillery Shelling in the Gaza Strip https://www.hrw.org/report/2007/06/30/indiscriminate-fire/palestinian-rocket-attacks-israel-and-israeli-artillery (მონახულების დრო: 12.05.2019)
68. Current Labor Statistics https://www.bls.gov/opub/mlr/2003/ (მონახულების დრო: 07.07.2019)
69. SURVEY OF CURRENT BUSINESS December 2001 •Volume 81 • Number 12 https://fraser.stlouisfed.org/files/docs/publications/SCB/2000-09/SCB_122001.pdf (მონახულების დრო: 12.05.2019)
70. FREEDOM IN THE WORLD 2017 https://freedomhouse.org/sites/default/files/FH_FIW_2017_Report_Final.pdf (მონახულების დრო: 01.07.2019)
71. List of major terrorist incidents https://en.wikipedia.org/wiki/List_of_major_terrorist_incidents#2019 (მონახულების დრო:30.06.2019.)
72. Foreign Terrorist Organizations https://www.state.gov/foreign-terrorist-organizations/(მონახულების დრო: 03.07.2019)
73. Global Terrorism Index, annual Reports http://economicsandpeace.org/reports/http://globalterrorismindex.org (მონახულებისდრო: 03.07.2019)
74. Information on more than 180,000 Terrorist Attacks (Global Terrorism Database (GTD)) https://www.start.umd.edu/gtd/ (მონახულებისდრო: 03.07.2019)